

619  
1988/2

ISSN 0130-1624

საქართველო  
ზოგადი განათლების



საქართველო  
1988

# საქართველო



## თბილისი:

საპირველმაისო დემონსტრაცია



# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. რ. გ. ჩნიკვაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის  
წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მიენიჭოს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის მსახიობს ამხ. რამაზ გრიგოლის ძე ჩნიკვაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მანთიშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 24 მარტი.



ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია, მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად, გულითადად ულოცავს რამაზ ჩნიკვაძეს დაბადების სამოც წლისთავს და სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას. ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.

ფოტო იური რიდალოვისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 5 (617), მაისი, 1988

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან  
ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიტერატურო-  
სამხატვრო ჟურნალი

## ნომერი შია:

ჯემალ მახრიშვილი: ნატანები. აბროფირმა-კოლმეურნეობა  
რობერტ მებრელიშვილი. ადამიანზე  
ზრუნვით  
რემ ღვინდოვი. ვინ იყო იაგორ ჭე-  
ლიძე?

სიმონ აპტი. ბედი

თეიმურაზ მორგოშია. სამი მიკრო-  
ფონის ერთი „ჯადოქარი“

სოლომონ ლეიშვილი. არსენა მა-  
რაბდელი

ლეილა მღებრიშვილი. ოპროს კა-  
მერა

არნოლდ გეგეჭკორი. გამოღვიძება  
დავით ასკურავა. კაკლის ხე (მო-  
თხრობა)

ჭურბა გომეშაშვილი. ერთი უცნობი  
სურათის ირგვლივ

მალხაზ რადიანი. კაცი, რომელმაც  
მოკლა სადათი

ქეთევან მელიქიძე. ცისარტყელას  
ფერები ტილოზე

ოლეს გონჩარი. ჯაფხულის ღამეს  
(მოთხრობა)

გიორგი პაპუაშვილი. სამასი სათე-  
ლი და ერთი კელაპტარი

სელმა ლაგერლოვი. კუნძულის დე-  
დოფალი

ეუი დიუშესკი. რისკი (იუმორესკა)  
კროსკორდი

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

## მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

## სარედაქციო კოლეგია:

ბულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ  
ბერიშვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა  
გიორგოშვილი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო  
ღურშიაძე, ვახტანგ ეხვანავაძე, ჯემალ მახ-  
რიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),  
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ  
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უნა ჯაფარიძე.



# აღმართი უკლავარი ლაგაზი

ქართული  
ხელოვნება

# მ

ნგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, რომლის დირექტორად 1965 წელს ოთარ ფაცაცია დაინიშნა, ერთი წამგებიანი, მცირე სიმძლავრის წარმოება იყო. ანდა საიდან უნდა მიეღოთ მოგება, როდესაც სვენეთში მოპოვებული თითოეული კუბური მეტრი კაცასიური წიფელი გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე ხის ის ნედლეული, რომლის მიღება ქვეყნის ჩრდილო-ვერობული მხრიდან შეეძლო.

ახალი დირექტორისთვის პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა, რომ კომბინატის წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება და მექაღალდეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

სიმაართე უნდა ითქვას, რომ იმხანად კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების პირობები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. დასახლებაში წყალგაყვანილობა და კანალიზაცია საერთოდ არ არსებობდა, ხალხი ცხოვრობდა ბარაკის ტიპის სახლებში, საავადმყოფოს ათ საწოლზე მეტი არ გააჩნდა, მეტად მაღალი იყო მუშათა დენადობა.

პირველ რიგში დირექტორმა კომბინატი შემოტანილი იაფი ნედლეულის ხმარებაზე გადაიყვანა. მალე მწყობრში ჩადგა მუყაოს დასამზადებელი ახალი მანქანა, რომელიც წელიწადში 32 ათას ტონა ნაწარმს გამოუშვებდა, აამუშავებს რიგით მესამე სახარში ქვაბი და მრავალი სხვა დანადგარი.


ასე თანდათან დაძლია საწარმომ ხანგრძლივი ჩამორჩენა და მალე რენტაბელური გახდა: უკვე მეათე ხუთწლეულში მოგება მ 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

საწარმოს განვითარების პერსპექტივები უშუალოდ იყო დამოკიდებული კაპიტალურ მშენებლობასთან. თვით კომბინატს საამისოდ სახსრები არ ჰყოფნიდა, ხოლო მოიჯარეები ვერ აკმაყოფილებდნენ მის მოთხოვნებს. ერთი სიტყვით, საჭირო იყო რეკონსტრუქცია, ახალი ობიექტების მშენებლობა.

თუ თავიდან სარემონტო-სამშენებლო სამმართველო წელიწადში 1,5 მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოებს ასრულებდა, დღეისათვის იგი 7 მილიონ მანეთს აღწევს. მშენებლის პროფესია „საქქაღალდმრეწვის“ გაერთიანებაში ერთერთი პრესტიჟული გახდა: მშენებელთა დაუღალავი შრომის შედეგად მექაღალდეთა დასახლებაში დროულად აშენდა საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, საწარმოო კორპუსები.

ჩვენ ერთი პრინციპი გვაქვს: პატიოსნად ვიზრუნოთ მუშა-მოსამსახურეებისთვის, — ამბობს დირექტორი. — ამისათვის საჭიროა, გაბედულად აიღო შენს თავზე პასუხისმგებლობა. თუ გულისხმიერი ხარ ხალხის მიმართ, საქმე ყოველთვის კარგად წავა...

დირექტორს არც ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის დაუკლია ყურადღება. 1987 წლის იანვრიდან გაერთიანების სათავო წარმოებამ შეწყვიტა სულფიდური ცელულოზის დამზადება. ამით თავიდან ავიცილეთ ჰაერის გაუუჟყიანება ქლო-



ფოტო შ. აივაზოვისა.

რით, გოგირდითა და ამიაკის ნაერთებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მავნე ნარჩენები აღარც შავი ზღვის აუზში გავრცელდება.

გაერთიანებაში კომპლექსურად წყდება სხვა მნიშვნელოვანი სამეურნეო თუ სოციალური პრობლემებიც. შეიქმნა მსხვილი დამხმარე მეურნეობა, რომელიც წელიწადში იძლევა 200 ტონა ბოსტნეულს, 100 ტონა ხორცს, ცოცხალ თევზს, თაფლს, ხილს.

არც ისი დიდი ხნის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით, დარბაზი სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის. გაერთიანებამ შავ ზღვაზე აიშენა 600-ადგილიანი საზაფხულო პიონერთა ბანაკი, დასასვენებელი ბაზა. გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი თანამედროვე 300-ადგილიანი საოჯახო პანსიონატის მშენებლობა თავისივე პოლიკლინიკით.

შარშან, საპირველმისოდ, მექაღალდეებმა მიიღეს კიდევ ერთი საჩუქარი — რესპუბლიკაში უდიდესი უნიკალური დიავნოსტიკურ-ამულატორიული ცენტრი აღდგენითი მეურნეობისათვის. აქ არის სავარჯიშო დარბაზი, ჰიდროთერაპიის, ფიზიოთერაპიის და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები. ცენტრი მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე.

მეთერთმეტე ხუთწლეულში სოციალურ-საყოფაცხოვრებო ანგარიშის ხარჯზე შრომის ნაყოფიერება გაერთიანების სათავო საწარმოში 12 პროცენტით გაიზარდა. იმავე ხუთწლეულში საწარმომ მიიღო 33 მილიონი მანეთის მოგება — დაგეგმილზე 7 მილიონი მანეთით მეტი. თუ ადრე მოგების 12-13 პროცენტი ხმარდებოდა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გა-

უმჯობესებას, მას შემდეგ რაც წარმოება სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, ეს ციფრი 70 პროცენტით გაიზარდა.

კადრების დაწინაურებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის აზრს. წინა წლებისაგან განსხვავებით ახლა გაბედულად აწინაურებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს, ქალებს, უპარტიოებს. მაგალითად, სერგი ჯიქია უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საქაღალდე საამქროში მუშაობდა ეკონომისტად და გამოირჩეოდა ინიციატივით, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით. ამიტომ აირჩია კოლექტივმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების გამგედ.

მუყაოს საამქროს მექანიკოსმა ვერა და ვერ ააწყო მუშაობა. არ გაჭრა არც საუბარმა, არც საკითხის განხილვამ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ მოთათბირებოდნენ კოლექტივს. შეკრიბეს საამქროს მუშები, აგრეთვე გაერთიანების ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული აქტივი. კრებას მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილება: საამქროს მექანიკოსად აირჩიეს ენერგიული ზეინკალი როინ ხუბუა და არც შემცდარან.

„მიზანდისახული“, „ენერგიული“. — ასე ახასიათებენ პარტიულ კომიტეტში ვახტანგ ნანავას, ახალგაზრდა სპეციალისტს. იგი სწავლობდა კრასნოდარის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ინსტიტუტში. რვა წლის წინ დაიწყო შრომითი საქმიანობა გაერთიანების სათავო წარმოებაში, მუშაობდა ოსტატ-ტექნოლოგად. თავი გამოიჩინა როგორც ინიციატივიანმა მუშაკმაც. ამიტომ კოლექტივმა მას ქაღალდის საამქროს თავკაცობა ანდო.

ვახტანგი გულდასმით დააკვირდა ქალაქის წარმოების ტექნოლოგიას და ზოგი რამ, როგორც რაციონალიზატორმა, ახლებურად შეცვალა და გააუმჯობესა. ამან წარმოებას 350 ათასი მანეთი წლიური ეკონომიკური ეფექტი მისცა, ხოლო პირველი ხარისხის პროდუქციის გამოსავალი ცხრა პროცენტით გაიზარდა.

ქალაქის დამამზადებელი მანქანის მემანქანეს ტრისტან მესხიას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ იყო დრო, როცა საწარმოზე გული აიყარა და წასვლაც კი უნდოდა.

— დიახ, ყველაფერი კარგად მახსოვს, — დარცხვენით იგონებს ახლა ტრისტანი, — სისუსტე გამოვიჩინე და ვნებათა დღევას ავყვე. დირექტორი რომ არა, ალბათ, მართლაც წავიდოდი, მაგრამ პატივცემული ოთარი გულისხმიერად მომექცა: დამშვიდდი, ყველაფერი ხეირიანად აწონდა-წონე და არ იჩქარო, უფროს ამხანაგებსაც მოელაპარაკე... რამ გავაფიცხა, შე კაი კაცო, წასვლას ყოველთვის მოასწრებო, — მირჩია მაშინ. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ მისი რჩევა სწორი გამოდგა...

— საიდან აქვს ამ კაცს ამდენი მოთმინება, ენერჯია, გულმოდგინება, შეუპოვრობა?! — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს დირექტორის მისამართით. აქვს, ბუნებას მიუმაღლებია.

მახსენდება ასეთი შემთხვევა: სსრ კავშირის სატყეო, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქალაქის სამინისტროს დაევალა ერთჯერად გამოსაყენებელი ჩაის პაკეტებისთვის წყალგაუმტარი ფორებიანი ქალაქის გამოშვება. გადაწყდა, რომ ასეთი წარმოება უკრაინაში შექმნილიყო. მაგრამ ფაცაცის ამის შესახებ საკუთარი მოსაზრება ჰქონდა: გაცილებით ხელსაყრელია ასეთი ფაბრიკის აგება იქ, სადაც უშუალოდ ხდება ჩაის გადამამუშავება — ჩვენს რესპუბლიკაში! ზუსტმა ეკონომიკურმა გაანგარიშებებმა ყველანი დაარწმუნეს ფაცაცის წინადადების სისწორეში.

— ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ფორებიან წყალგაუმტარ ქალაქს საზღვარგარეთ, ვალუტაზე ვყიდულობდით, — ამბობს ფაცაცია. — ახლა ამის აუცილებლობა აღარ არის. თუმცა ქვეყანაში ასეთი პროფილის მქონე ერთადერთი ფაბრიკის სიმძლავრეები ჯერ კიდევ არაა ათვისებული ბოლომდე. ამიტომ გადაწყვიტეთ, გამოვუშვათ ეგრეთ წოდებული უქსოვადი ქალაქის მასალები სამედიცინო მრეწველობისთვისაც.


ცხოვრებამ უკარნახა ოთარ ფაცაცის კიდევ ერთი საკითხის მოგვარება: ჩაის მრეწველობისთვის შესაფუთი ტარის წარმოების ორგანიზაცია. საქმე ისაა, რომ შესაფუთად გამოიყენებოდა ძვირადღირებული ფანერა. პირველად ჩვენს ქვეყანაში ენგურის ქალაქმწარმოებლებმა დაიწყეს ხუთფენიანი გოფირებული მუყაოს წარმოება. შედეგი? წელიწადში ასობით ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი.



ოთარ ფაცაცია ესაუბრება გერმანელ სპეციალისტებს — მემონტაჟეებს.  
დამხმარე მეურნეობა.  
დიაგნოსტიკურ-ამბულატორიული ცენტრის ხელი

ეკონომიკა ზუსტი მეცნიერებაა, რომელსაც არ უყვარს ნახტარევი, მარტოქეზული გადაწყვეტილებები. მისი ცხოვრება უმია საბოლოო შედეგი, რომელიც წარმოდგენას იძლევა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის სოციალურ-საყოფაცხოვრებო კლიმატზე. ანაზღაურდა თუ არა გაერთიანების წარმოებების გაფართოებისა და რეკონსტრუქციისთვის გაწეული დანახარჯები? დადებითად იმოქმედა თუ არა შრომის ნაყოფიერებაზე ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვამ? თვითონ განსაჯეთ. მეთერთმეტე ხუთწლეულში სასაქონლო პროდუქციის ნამატმა შეადგინა თითქმის 70 პროცენტი, შრომის ნაყოფიერება ამალდა 28 პროცენტით. სახარბიელო მაჩვენებლებია მიმდინარე ხუთწლეულშიც.

— მართალია, ჩვენმა კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ წინ უფრო რთული ამოცანები გველოდება, — ამბობს კომბინატის დირექტორი ოთარ ფაცაცია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ენერჯიული, მიზანმიმართული, მასშტაბური აზროვნების ადამიანი. — კარგად გვესმის, რომ გარდაქმნის პროცესი შეუქცევადია და აღარასოდეს დაუბრუნდებით ძველს, დრომოკმულს. ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ნათლად უნდა შეიგნოს, რომ უკეთესი მომავალი თვით ჩვენზეა დამოკიდებული...  
**როზარტ მებრელიშვილი.**



# ჰინ იყო იაგორ ჩელიძე?

**ს**იკვრივად, რომ მშენებლობა მას-  
შინ გაჩნდა, როცა ჩვენმა შო-  
რეულმა წინაპრებმა გამოქვა-  
ბულები დატოვეს და ბინის  
საჭიროება იგრძნეს. მასალები,  
რომლისგანაც ისინი თავიანთ ალაჩოყებს  
აშენებდნენ, ძალზე მარტივი იყო: ხის  
ტოტები, მერქნის ნარჩენები და თიხა. ეს  
ყველაფერი შეცვალა ქვამ, მერე მსოფ-  
ლიოს ყველა ქვეყანაში აგურის გამოყენე-  
ბა დაიწყო. და მხოლოდ მრავალი ათას-  
წლეულის შემდეგ მოჰყიდა ხელი ადამიან-  
მა სამშენებლო მასალის შექმნას, რომელ-  
საც ცემენტი ეწოდა.

ცემენტი უკვე იმ დროს ჩაიფიქრეს,  
როცა ჩვენი მშენებლები დარწმუნდნენ,  
რომ საშიში იყო კედლის აგება შემაკავში-  
რებელი მასალის გარეშე. თავდაპირვე-  
ლად მათ მოიშველიეს თიხა, სამშენებლო  
თაბაშირი და კირი. მათ საფუძველზე  
უხსოვარი დროიდან ამზადდებდნენ სამშე-  
ნებლო ხსნარებსა და ბეტონებს.

სამშენებლო საქმე იმითაც რთულდებოდა,  
რომ ბევრი შენობის აგება უხდებოდა  
ნოტიო ადგილებში — მდინარეებზე,  
ტბებსა და გზების ნაპირებზე. ძირითადად  
ეს იყო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, შუ-  
ქურები, გემთსაშენები, ხილები, რაბები,  
არხები. აქ უკვე საჭირო იყო ზემტკიცე  
ჰიდრაულიკური ცემენტი.

დღეს უკვე ძნელია იმის წარმოდგენა,  
რომ ჰიდრაულიკური ცემენტი, ანუ რო-  
გორც მას უწოდებენ, პორტლანდცემენტი,  
160 წელზე ცოტა მეტი ხნისაა, რომ  
გასული საუკუნის ოციან წლებში თვით-  
ნასწავლმა ინგლისელმა ჟოზეფ ასპდინმა  
და ქართველმა იაგორ ჭელიძემ (ფართო  
წრეებში მას იცნობდნენ როგორც ჩელი-  
ძეს) გამოიგონეს პირველი მისი მსგავსი  
მასალა.

...ბედმა არათანაბრად გაანაწილა დიდებ-  
და გამოგონებელთა შორის. ჟოზეფ ასპ-  
დინი მსოფლიო სახელითა და პატივითა სარ-  
გებლობდა. ქალაქ ლიდისის ერთ-ერთ სა-  
ხლზე, სადაც იგი დაიბადა, დაამაგრეს  
ბრინჯაოს დაფა სათანადო წარწერით. ამ  
გამოგონებამ „მთელი მსოფლიო ჟოზეფ-  
ფის მოვალე“ გახადა. იაგორ ჭელიძე კი  
მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა მანქან-  
ამ გასრისა და დავიწყებას მისცა. მის შე-  
სახებ ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან  
წლებამდე საერთოდ არაფერი არ იყო  
ცნობილი. მხოლოდ 1954 წელს მეცნიერ-  
მა-მშენებელმა ი. ლ. ზნაჩკო-იაგორსკიმ  
გამოაქვეყნა პირველი პატარა გამოკვლე-  
ვა ჩელიძის (ჭელიძის) შესახებ. მერე იგი  
კვლავ მიიყვანეს. ჭელიძის სახელს სრულ-  
ლიადაც არ იცნობს ჩვენი ახალგაზრდო-  
ბა. მასზე არ დაწერილა არც ერთი სოლი-  
დური წიგნი, ნაშრომი...

გადავხედოთ ისტორიას. როგორც ცნო-  
ბილია, XVII საუკუნის დამლევა და მე-

თვრამეტე საუკუნის დამდეგს აღმოსავ-  
ლეთ საქართველოში შექმნილი დაძაბული  
პოლიტიკური და სამხედრო ვითარების,  
თურქეთისა და სპარსეთის გაუთავებელი  
შემოსევების შედეგად საქართველოს  
მრავალი შვილი, მათ შორის ბევრი პრო-  
გრესული მოღვაწე, იძულებული გახდა,  
სამშობლოდან გადახვეწილიყო, მფარვე-  
ლობა რუსეთში ეძებნა... ერთ-ერთი მათ-  
განი იყო დავით ჭელიძე, რომელსაც დე-  
დოფალმა ანა ივანეს ასულმა მეფურად-  
მეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში პოლ-  
ტავის მახლობლად დაბა სოპოლკაში ათი  
კომლი ყმა აჩუქა. მისი შვილი — გერასი-  
მე ქართველ ჰუსართა პოლკში მსახურო-  
ბდა, მან თავი გამოიჩინა უცხოელ დამპყ-  
რობთა წინააღმდეგ ბრძოლებში და მიო-  
რის ჩინი ებოძა. 1771 წლის 19 მაისს გე-  
რასიმეს ვინმე თეკლე ვლადიმერის ასუ-  
ლთან შეეძინა შვილი, რომელსაც იაგორი  
დაარქვეს. 1780 წელს ოჯახი მუდმივ სა-  
ცხოვრებლად სარატოვის გუბერნიაში გა-  
დასახლდა. იმის მიუხედავად, რომ თექვს-  
მეტი წლის ჭაბუკი, იაგორის სპეციალური  
განათლება არ ჰქონდა, იგი მარის მი-  
წათმომწყობად იწყებს მუშაობას.

1800 წელს მან საბოლოოდ მიატოვა სა-  
რატოვი, მოსკოვს გადასახლდა და იქ და-  
იწყო მუშაობა. 1817 წლის ივნისში იგი  
დანიშნეს მოსკოვის შენობებისათვის სამ-  
ნაზველო სახელოსნოს დირექტორად.  
ცოტა ადრე შეიქმნა კომისია, რომელ-  
საც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა  
დაავალა 1812 წლის სამამულო ომში ნა-  
პოლეონის შემოსევის დროს დამწვარი  
მოსკოვის რეკონსტრუქციისა და აღდგე-  
ნის გეგმის შედგენა.

„მშენებლობის კომისიის“ დირექტო-  
რად დანიშნა სენატორი, თავადი მიხეილ  
დიმიტრის ძე ციციანოვი (ციციშვილი —  
1767-1841 წწ.), ცნობილი რუსი გეოდე-  
ზისტის დირექტი პავლეს ძე ციციანოვის  
(ციციშვილი—1722-1791 წწ) შვილიშვილი,  
ავტორი 1757 წელს რუსეთში გამოცემუ-  
ლი პირველი სახელმძღვანელო „სამიჯ-  
ნი მიწათმშობელობის მათემატიკური ახ-  
სნა“. ი. ჭელიძემ მალე გამოანახა მასთან  
საერთო ენა. როგორც იმდროინდელი  
დოკუმენტები იუწყებიან, „იგი გახდა მო-  
სკოვის ხელახალი დაგეგმარების სული და  
შთამაგონებელი“.

სამსახურში თავის გამოჩენისათვის  
იაგორ ჭელიძეს 1817 წლის 11 დეკემბერს  
ანას მესამე ხარისხის ორდენი უბოძეს,  
ხოლო 1817 წლის 22 ოქტომბერს კოლე-  
გიის ასესორის წოდება მიანიჭეს.

1818 წლის დეკემბერში მას დაავალეს  
„ახალი წყალსარიხი არხის გეგმის შედგე-  
ნა“, რაც მოსკოვის სანაპიროებს საგანა-  
ფხულო წყალდიდობის დროს თავიდან  
ააცილებდა დატბორვას. ამას მან წარმა-  
ტებით გაართვა თავი.

იაგორ ჭელიძეს გეგმებით ფილანქანი  
დააგეს მთელ მოსკოვში, ააგეს აუზები,  
შადრევენები, არხები, ხილები, გააშენეს ბა-  
ლები.

ამავე დროს იგი შეუდგა ფართო კვლე-  
ვით მუშაობას მშენებლობაში მწვინე  
ხელოვნური ქვის — მერტელის, ანუ ცე-  
მენტის გამოყენების შესახებ. 1825 წელს  
მოსკოვში ი. ჭელიძემ (ი. ჩელიძემ) გა-  
მოსცა წიგნი „სრული წესდება, თუ რო-  
გორ მოვაშალოთ იაფი და საუკეთესო მე-  
რტელი, ანუ ცემენტი, ძალზე მტკიცე მი-  
წისქვეშა მშენებლობისათვის“.

1826 წლის 29 აპრილს „მოსკოვსკი  
ველომოსტი“ გამოქვეყნდა ვრცელი ცხო-

ბა ამ წიგნის შესახებ, ხოლო მოსკოვის  
გზათა მიმოსვლის ოლქის მმართველმა ინ-  
ჟინერ-პოლიკოვნიკმა მ. იანშინმა ამ წიგნს  
უწოდა „ჩელიძის მრავალი წლის პრაქ-  
ტიკული შრომის ნაყოფი“.

იაგორ ჭელიძეს ცემენტი მოსკოვის  
აუზების აგებისას გამოცდის შემდეგ გა-  
მოიყენეს არხების, ხილების, კაშხალების,  
სარდაფების მშენებლობის, ქვისა და ხის  
ნაგებობათა მომართვისათვის.

იაგორ ჭელიძეს ეკუთვნის სხვა გამო-  
გონებაც საშენ მასალათა დარგში. 1829  
წლის 25 დეკემბერს სამხედრო გენერალ-  
გუბერნატორმა დ. ვ. გოლიცინმა განაცხა-  
და, რომ „ჩელიძემ მას წარუდგინა პრო-  
ექტი ბაზალტის მასისაგან წყალსადენი  
მილების დამზადების შესახებ, რომლებიც  
შეცვლიდნენ ხისა და აგურის მილებს“.   
გოლიცინს ძალზე სასარგებლოდ მიაჩნდა  
ბაზალტის მილების გამოყენება. პირველი  
ასეთი მილები გამოიყენეს მოსკოვში და  
მან წარმატებით გაუძლო დროის გამოც-  
დას.

იაგორ ჭელიძის გამოგონებას მაღალი  
შეფასება მისცეს პროგრესულ ინჟინერთა  
წრეების წარმომადგენლებმა — იმ დროის  
რუსეთის გზათა მიმოსვლის ორასმა ინჟი-  
ნერმა, რომლებმაც მისი წიგნი მიიღეს სა-  
მუშაოებზე გამოსაყენებლად. ამ წიგნით  
იზრდებოდნენ გზათა მიმოსვლის ინსტი-  
ტუტის მომავალი ინჟინერთა კადრები. იგი  
მშენებელ ინჟინერთა სამაგიდო წიგნი  
გახდა. მერე კი იაგორ ჭელიძე სამუდა-  
მოდ დაივიწყეს. მხოლოდ 118 წლის შემ-  
დეგ, 1948 წელს, აღმოაჩინეს წიგნი „მერ-  
ტელის ანუ ცემენტის შესახებ“, რამაც  
ხელმეორედ „დაბადა“ მისი ავტორი —  
იაგორ გერასიმეს ძე ჩელიძე (ჭელიძე) —  
შესაძლებელი გახადა, რამდენიმე დავკე-  
ფასებინა მისი მრავალფეროვანი საქმიან-  
ობა.

ი. ლ. ზნაჩკო-იაგორსკი სრულიად სამა-  
რთლიანად წერს: „მართალია ე. გ. ჩელი-  
ძის დიდი ხნით იყო დავიწყებული, მაგ-  
რამ მისი წვლილი არის მოსკოვის ბევრ  
ქუჩასა და მოედანზე, ბულვარზე, სანაპი-  
როზე და არქიტექტორის მრავალ თვალ-  
საჩინო ძეგლში“.

სამწუხაროა, რომ მას ასე ნაკლებ ვიც-  
ნობთ საქართველოში, სადაც მისი გვარის  
ფესვებია და, რომლის სიყვარული მან  
გულის სიდრემში სამუდამოდ შეინარჩუ-  
ნა. სამწუხაროდ, მისი პორტრეტიც კი არ  
შემორჩენილა. არც გარდაცვალების წელი  
იცის ვინმემ. დიდი საბჭოთა ენციკლო-  
პედიის პირველ ორ გამოცემაში ამ ნიჭი-  
ერ ადამიანზე სიტყვაც არ არის ნათქვამი,  
ხოლო ბოლო — მესამე გამოცემაში, სულ  
რამდენიმე სტრიქონია. არაფერია ნათქვა-  
მი მისი ეროვნული წარმოშობის შესახებ.  
გარდაცვალების წლად კი მიჩნეულია  
„დაახლოებით 1830 წელი“. ეს არის და  
ეს!

მართლაც რომ, მიუტევებელია!  
იაგორ ჩელიძის (ჭელიძის) სახელი და  
საქმეები ცნობილი უნდა გახდეს არა მარ-  
ტო საქართველოში, მთელ საბჭოთა კავ-  
შირში, მსოფლიოშიც. ეს ნამდვილად და-  
იმსახურა ჰიდროტექნიკური ცემენტის გა-  
მომგონებელმა, მოსკოვის რესტავრაციის  
აქტიურმა მონაწილემ.

ს

თიოდე წლის წინ დავიწყე წიგნის წერა ანტიფაშისტური მოძრაობის შესახებ მეორე მსოფლიო ომის წლებში. პოც-დამის სახელმწიფო არქივში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მასალების შეგროვებისას შევნიშნე მომცრო რუხი საქალაქი: „იაკობ ჯულაშვილი. დოსიე“. მასში სხვა საბუთებს შორის იყო ტყვედ ჩაეარდნილი სტალინის შვილის დაკითხვის ოქმების ასლები...

მაღე, ომის შემდეგ, გავრცელდა სხვადასხვანაირი ხმები და ჭორები, თითქმის იაკობ ჯულაშვილი ცოცხალი და უვნებელი იყო, უნახავთ ხან საფრანგეთში, ხან იტალიაში, ხანაც ლათინურ ამერიკაში. ვაჩინდნენ ცრუ თვითმხილველნი, თვითმარქვები, დაიწერა მრავალი სტატია და რამდენიმე წიგნი ფანტასტიკური ხასიათის გამონაგონებით. ჭეშმარიტება კი ასეთია...

იაკობ ჯულაშვილი დაიბადა 1907 წლის 19 მარტს ქუთაისის მახლობლად პატარა სოფელ ბაჯში. იაკობის დედა, ეკატერინე სვანიძე, სტალინის პირველი ცოლი, იმ დროს ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. კარდაკარ დადიოდა და შინამოსამსახურეობას ეწეოდა, რომ როგორმე თავი გაეტანათ მას და მის პატარა ბიჭს. ამასთანავე იმასაც ახერხებდა, დახმარებოდა მეუღლეს — იოსებს, რომელიც იმ დროს ბაქოს ციხეში პატიმრობაში იმყოფებოდა.

ეკატერინე როცა ტიფისგან გარდაიცვალა, იაკობი რვა თვისაც არ იყო. ბავშვის მოვლა ითავა ეკატერინეს უფროსმა დამ — ალექსანდრამ. ეს ქალი ობოლი ბიჭისათვის მეორე დედად იქცა. დაწყებითი განათლება იაკობმა მიიღო სოფლის სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში. 1921 წელს კი საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში, მამასთან. აქ ამთავრებს ათწლედს. მისი შემდეგი ცხოვრება ლენინგრადს დაუკავშირდა: აქ მუშაობს მუშად ელექტროსადგურში, სწავლობს მუშაგაყში, მოგვიანებით ეწყობა ერთ-ერთი ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე. აქვე, ლენინგრადში, იაკობმა შეირთო ცოლი. მისმა პირველმა ქორწინებამ სტალინის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ეს უკმაყოფილება წლების მანძილზე უფროსი შვილისადმი უსიამოვნებაში გადაიზარდა... იაკობი სწავლას აგრძელებს მოსკოვში რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში. დამთავრების შემდეგ სტალინის სახელობის ქარხანაშია.

1938 წელს მამის სურვილით იაკობ ჯულაშვილი გახდა ფელიქს ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის მსმენელი. ჩაირიცხა მეოთხე კურსზე. აკადემია 1940 წელს დაამთავრა და მიიღო უფროსი ლეიტენანტის წოდება. მაგრამ იაკობმა თხოვნით მიმართა აკადემიის უფროსს, რომ ნება დაერთოთ, კიდევ ერთი წლით გაეხანგრძლივებინა სწავლა, ვინაიდან თვლიდა, საფუძვლიანად ვერ მოასწრო ყველაფრის ათვისება. მიიღო ამის ნებართვა და იაკობმა აკადემიაში ისწავლა 1941 წლის მაისამდე. სტალინის შვილისათვის, რა თქმა უნდა, შეეძლოთ, მიეცათ შესაძლებლობა ზურგში, შტაბში ემსახურა. მიუხედავად ამისა, ომის პირველსავე დღეს მას გულმა ფრონტზე გაუშვა.

საბრძოლო ნათლობა 122-მილიმეტრიანი ჰაუბიცების ბატარეის მეტაურმა იაკობ ჯულაშვილმა მიიღო ბელორუსიაში, მოსკოვის მთავარ მიმართულებაზე. „ქრასნაია ზეზლა“ იმ დროს წერდა იაკობ ჯულა-

# სული



უზანში დაპატიმრების პერიოდში.

შვილის ბატარეის მებრძოლთა გმირობაზე ფაშისტთა ტანკებისა და ქვეითი ნაწილების განადგურებისას.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო არქივში, პოდოლსკში, მე ვნახე საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ მე-7 მექანიზებული კორპუსის მე-14 სატანკო დივიზიის მე-14 ბატარეის მეტაური, უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი წარდგენილია წითელი დროშის ორდენზე. თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 აგვისტოს დადგენილებაში ის არ ირიცხება, რადგან ამ დროს უკვე ტყვედ იმყოფებოდა.

1941 წლის 6 ივლისს გერმანელთა მესამე სატანკო ჯგუფმა დაიკავა პლაცდარში დასავლეთ დვინის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ვიტებსკის რაიონში. საბჭოთა ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც მტრის გარემოცვაში მოხვდნენ, აღმოჩნდა ჯულაშვილის ბატარეაც. დახარჯეს რა ყველა საბრძოლო მასალა და ვაზნა, ჯარისკაცები იბრძოდნენ ბოლომდე, მანამ, სანამ ბატარეა მთლიანად არ განადგურდა. სასწაულით გადარჩენილმა იაკობმა თავი მოუყარა ცოცხლად დარჩენილ ამხანაგებს, გაუნაწილა მათ ბრძოლის ველზე შეგროვებული იარაღი და წაუძღვა წინ უკანასკნელ შეტევაზე. ცდილობდა, გვერდვია რკალი და თავისიანებს შეერთებოდა, მაგრამ ბომბებისა და ყუმბარებისაგან დარეტიანებული იაკობი გონებას კარგავს და ომის დაწყებდან ოცდამეხუთე დღეს ტყვედ ვარდება.

აი, რა მომიყვა მოსკოველმა პენსიონერმა, ომისა და შრომის ვეტერანმა, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე უჟინსკიმ, ჰა-

მელბურგის (ბავარია) სამხედრო ტყვეთა ბანაკის (ოფიცერთა) ყოფილმა ტყვემ, სადაც ის იაკობ ჯულაშვილს შეხვდა:

— 1941 წლის 16 ივლისს, უფროს მდგომარეობაში მყოფი იაკობ ჯულაშვილი ტყვედ უვარდება ფაშისტებს. ეს მოხდა ლიოზნოს მახლობლად, ვიტებსკიდან დაახლოებით ორმოცი კილომეტრის მოშორებით.

სამხედრო ტყვეთა დიდ ჯგუფთან ერთად იაკობი მიჰყავთ ბორისოვოს მახლობლად, ბერეზინაზე მდებარე ე. წ. შემკრებ ბანაკში — „ზამმელლაგერ“. ბანაკი თავისთავად წარმოადგენდა ეკლიანი მავთულით შემოღობილ უზარმაზარ ველს. გარშემო ყარაულობდნენ ფაშისტთა პატრულები ადამიანზე დაგეშილ ქოფაკებთან ერთად. მინდორზე ბალახის ერთი ღერიც არ მოიძვევებოდა. ორიოდე იშვიათ ხეს ფოთოლი კი არა, ქერქიც შემოღობილი ჰქონდა. პირდაპირ მიწაზე ეყარა ათასობით ადამიანი.

იაკობ ჯულაშვილი სამხედრო ტყვეთა ჯგუფთან ერთად მოიყვანეს ამ ბანაკში. ყველანი მწყობრში დააყენეს და ესეგულმა ოფიცერმა თარჯიმნის მეშვეობით გასცა ბრძანება:

— კომუნისტები და ებრაელები, სამი ნაბიჯით წინ!


რამდენიმე კაცი გამოვიდა მწყობრიდან. ოფიცერმა თვითონ ჩამოიარა მწყობრი, იაკობის მახლობლად შეჩერდა, ავტომატი ჩასცხო მკერდში და დაუყვირა:

— რატომ არ გამოდიხარ? შენ ხომ ებრაელი ხარ!

— არა, მე ებრაელი არ ვარ, — მშვიდად უპასუხა იაკობმა.

— აბა გამოდი!





მაშინ ჩაერივნენ გვერდით მდგომი მეომრები და იმათგან ვილაყამ დაიყვირა:

— ეს ქართველია, სტალინის შვილი...

ჩემს წინ იაკობ ჯულაშვილის დაკითხვების ოქმები, დაკითხვებისა, რომელიც წარმოებდა გენერალ-ფელდმარშალ თეოდორ ფონ ბოკის საკომანდო პუნქტში.

პირველ დაკითხვას ხელმძღვანელობდა გერმანიის არმიის დაზვერვის მაიორი ვალტერ ხოლტერსი, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის სპეცსამსახურის მიერ იქნა გადაბირებული. დაკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ოთხი აზვერის თანამშრომელი და ვერმანტის უმაღლესი მთავარსარდლობისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კავშირის ოფიცერი, ვინმე შატტენფრო, რომელიც სპეციალურ ინფორმაციას ამზადებდა რიბენტროპისათვის. დაკითხვა შედგა 1941 წლის 18 ივლისს.

ოთხში, რომელშიც დაკითხვა წარმოებდა, მაგიდაზე გროვებდა ელაგა ქალაღები და რუკები, მათ ქვეშ კი ჩამალული იყო მიკროფონი.

### იაკობ ჯულაშვილის დაკითხვიდან:

— თქვენ ნებით ჩავარდით თუ შეგბერეს?

— შემოიპყრეს.

— რანაირად?

— 12 ივლისს ჩვენი ნაწილი ალყაში მოექცა. დაიწყო ძლიერი დაბომბვა. მე გადავწყვიტე, ალყა გამერღვია ჩვენებისკენ, მაგრამ დავრეტყინდი. რომ შემძლებოდა, თავს მოვიკლავდი.

— თქვენ თვლით, რომ ტყვეობა სამარცხვინოა?

— დიახ, ვთვლი.

— მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ საბჭოთა ჯარებს კვლავ აქვთ შანსი, ომის მსვლელობაში გარდატეხას მიაღწიონ?

— ომი ჯერ არ დამთავრებულა.

— რა მოხდება, თუ ჩვენ მალე მოსკოვს დავიკავებთ?

— ასეთი რამ მე არ შემძლია წარმოვიდგინო.

— მაგრამ ჩვენ ხომ მოსკოვთან ძალიან ახლოს ვართ.

— მოსკოვს თქვენ ვერახოდეს ვერ აიღებთ!

— რისთვის არიან წითელ არმიასში კომისრები?

— საბრძოლო სულისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

— თქვენ თვლით, რომ რუსეთში ახალი ხელისუფლება უფრო შეესაბამება მუშებისა და გლეხების ინტერესებს, ვიდრე მეფის დროს?

— უმეტესად.

— უკანასკნელად როდის ელაპარაკეთ მამას?

— 22 ივნისს, ტელეფონით. გაიგო რა, რომ მე ფრონტზე მივდიოდი, მითხრა: „წადი და იბრძოლე!“

უნდა ვიფიქროთ, რომ აზვერის ოფიცრებს იმედი გაუცრუა სიტყვათაშორის ტყვის დაკითხვამ. შესთავაზეს, წერილი მიეწერა ოჯახში. უარი განაცხადა. რადიოთი გადაეცა წერილი სახლში, ამაზეც უარი განაცხადა. როცა მიანიშნეს, სააგენტო ფურცლებით მიემართა საბჭოთა მეომრებისათვის, ჩაბრუნებულიყვნენ ტყვედ, პასუხად მხოლოდ ჩაიცინა.

და მინც ფაშისტებმა ასეთი ფურცლები გამოუშვეს. ფარული კამერით იაკობს

გადაუღეს სურათი ორ ფაშისტ ოფიცერთან საუბრის დროს და ეს სურათი გამოიყენეს სააგენტო ფურცლებში. აი მისი ტექსტი, თავიდან ბოლომდე მტყნარი სიცრუე:

„1941 წლის ივლისში, ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი წერდა მამას — იოსებ სტალინს: „ძვირფასო მამა, მე ტყვეობაში ვარ. ჯანმრთელად ვარ. მალე გადამიყვანენ გერმანიაში, ოფიცერთა ბანაკში მოპყრობა კარგია. ვისურვებ ჯანმრთელობას. მოკითხვა ყველას, იაშა!“

მიბაძეთ სტალინის შვილის მაგალითს! ის ტყვედ ჩაბარდა. ცოცხალია და თავს შესანიშნავად გრძნობს. თქვენ რად გინდათ თავის განწირვა, როცა თვით თქვენი უმაღლესი უფროსის შვილი ჩაბარდა ტყვედ? მწვიდობა ტანჯულ სამშობლოს. ნიშნები მიწაში!“

იაკობ ჯულაშვილის შემდეგი დაკითხვა შედგა არმია „ცენტრის“ ჯგუფის ხელმძღვანელის, გენერალ-ფელდმარშალ ვიუნტერ ფონ კლიუგეს შტაბ-ბინაში. დაკითხვას აწარმოებდა კაპიტანი ვილფრიდ შტრიკ-შტრიფელი, პროფესორი ალი მზვერავი, რომელიც მთელი ცხოვრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწეოდა შიონაისს. შტრიკ-შტრიფელი სიკვდილამდე — 1977 წლამდე, კეთილდღეობაში ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საკუთარი მოგონებებიც კი გამოსცა. მასში ნაწილობრივ მოთხრობილია 1941 წელს, ზაფხულში, იაკობ ჯულაშვილის გადაბირების მცდელობაზე. მის წიგნში ვკითხულობთ: „კარგი, კეთილი, სახე მკაცრი, ქართული ნაკვთებით. თავი ეჭირა მედგრად და კორექტულად. მამას უკანასკნელად ელაპარაკა ტელეფონით ფრონტზე წასვლის წინ. კომპრომისის კაპიტალიზმსა და კომუნისმს შორის კატეგორიულად უარყოფს. არ სჯეროდა გერმანელთა საბოლოო გამარჯვება.“

და მინც 1941 წლის გვიან შემოდგომაზე ფაშისტებმა კიდევ ერთხელ სცადეს, პოლიტიკური კაპიტალი ამოეჩაჩათ უჩვეულო სამხედრო ტყვისაგან.

ის მიიყვანეს ბერლინში და გადასცეს ჰებელსის დეპარტამენტის განკარგულებაში. ზედამხედველობას გესტაპო უწევდა. ჯულაშვილი მოათავსეს ფემენებლურ სასტუმრო „ადლონში“. ჰებელსს იმედი ჰქონდა, რომ მოახერხებდა, ჩაეყენებინა ის რაიხის სამსახურში და კვლავ ამოდ. ამიტომ ძალიან მალე ჯულაშვილი ჰებელსის „სტუმრის“ კვლავ ჩვეულებრივ სამხედრო ტყვედ იქცა. 1941 წლის დეკემბრის ბოლოს ჯულაშვილი გადაჰყავთ ჰამელბურგის ოფიცერთა ბანაკში „XIII-დ“. ასე სრული კრახით დამთავრდა ფაშისტების მიერ წამოწყებული ეს პოლიტიკური თამაში.

ჰამელბურგში, სხვა მრავალი ბანაკისაგან განსხვავებით, არ ბოლავდა კრემატორიუმის მიწები, არ იყო გაზის ღუმელები, არ ატარებდნენ ადამიანებზე გაუგონარ სამედიცინო ექსპერიმენტებს. ბანაკის მარცხენა ნაწილში განლაგებული იყო მომცრო ზომის სახლები გერმანელი ოფიცრებისათვის, მათ შორიახლო ყაზარმები დაცვის ჯარისკაცების საცხოვრებლად. ყაზარმების გვერდით სამხედრო ჰოსპიტლის რამდენიმე ორსართულიანი შენობა და გერმანელების გასართობი დუქანი — „კაზინო“. მის მაღალ, გოთურ კოშკზე ბრწყინავდა დიდი საათის სპილენძის ისრები, რომელიც ყოველ თხუთმეტ წუთ-

ში მელოდიური ზარის რეკვით ახმაურებდა გარემოს. ცოტა მოშორებით გადაშლილიყო უზარმაზარი, ძველი სასახლეო რუსი სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც ქვეყნის ჩვენი კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, იყვნენ დასაფლავებული.

მართალია, კრემატორიუმები არ იყო, მაგრამ ზარების მელოდიური რეკვით გამოწვეული იდილიაც არ სუფევდა. ამ ბანაკში ადამიანებს ხოცავდნენ შიმშილით, აიძულებდნენ, ეძაგძავათ ნესტიან, ცივ ბარაკებში. ცდილობდნენ, ტყვე საბჭოთა ოფიცრები დაეყოლებინათ ნაცისტებთან თანამშრომლობაზე. ვინც უარს იტყოდა, განადგურება ელოდა. 1941 წელს აქ დაიღუპა ჩვენი 652 ოფიცერი. მათ შორის, ვინც მტერთან გარიგებაზე უარი განაცხადა და სასწაულით გადაარჩა, იყო კაპიტანი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე უჟინსკი, რომელიც შემოთ უკვე მოვიხსენიე.


— მე ჰამელბურგში ვიმყოფებოდი, როცა 1942 წლის დსაწყისში იქ მოიყვანეს იაკობ ჯულაშვილი, — იგონებს უჟინსკი. — ის ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. გამხდარი, სახეგამაგებელი, ღრმად ჩაცვივებული თვალები, მძიმე და მოღუშული გამოხედვა. ეცვა ძლიერ გაცვეთილი შინელი და დახეული გიმნასტურა. თავზე სამხედრო პილოტურა ეხურა. მასთან მივიდა ერთ-ერთი დაცვის ჯარისკაცთაგანი, დაასველა ფუნჯი ვედროში და წითელი საღებავით დაახატა მკერდზე, ზურგზე, მხრებზე, და შარვალზეც კი ასოები (ზოვიეტუნია). იაკობ ჯულაშვილი შემობრუნდა გვერდით მდგომი ოფიცრებისაკენ და დაიყვირა: „ღებოს! საბჭოთა კავშირი — ეს ჩემი სამშობლოა“. ამ სიტყვებმა ტყვეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი მამაცობა და გამბედაობა იყო საჭირო ამ სიტყვების წარმოსათქმელად. ეს იაკობს აშკარა სიკვდილის საფრთხეს უქმნიდა.

იაკობი მოათავსეს ქვის ორსართულიანი შენობაში, სადაც იმყოფებოდნენ ოფიცრები, ჩინით მაიორიდან დაწყებული ზევით და ზევით.

— ბარაკთან არსებულ სარაიაში, მახსოვს, მოვაწყვეთ პატარა სახელოსნო, — ჰყვება ალექსანდრე კონსტანტინეს ძე. — ჩვენ რვანი ვიყავით. ვაკეთებდით სხვადასხვა სათამაშოებს. ეზოში სასწაულით გადარჩენილი ვაშლის ხის ტოტებისაგან მე როგორღაც გამოეჭერი ჰადრაკის ფიგურები. ერთხელ ჩვენთან შემოვიდა ბანაკის ერთ-ერთი ტყვეთაგანი, პოლკოვნიკი ფისენკო, იაკობ ჯულაშვილთან ერთად. დავიწყეთ ჰადრაკის ფიგურების გამოჭრა. ეს საქმიანობა მას ძალიან მოეწონა — ის ხომ პირველთაწიგონიანი იყო ჰადრაკში.

სახელოსნო, სათამაშოები, ჰადრაკი, ყველაფერი ეს ნიღბავდა პატრიოტთა ჯგუფს, რომელმაც დაიწყო მზადება გაქცევისათვის. მაგრამ ისინი პროვოკატორმა გასცა. ამას მოჰყვა კვლავ ახალ ადგილას, ნიურნბერგში ბანაკ „XIII ბ-ში“ გადაყვანა.

მალე ნიურნბერგიდან იაკობ ჯულაშვილი გადაიყვანეს ლიუბეკის მახლობლად. აქ იმყოფებოდნენ პოლონელი ოფიცრები და რიგითი ორდინარტები. ბანაკში ორდინარტების როტის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა პოლონეთის ერთ-ერთი დივიზიის ულანთა მე-17 პოლკის ყოფილი პორუჩიკი მარიან ვენცლევსკი. რამდენიმე წლის წინ, ვარშავაში მე შევხვდი თადარიგის როტმისტრს, პოლონეთის



უმალესი ჯილდოების კავალერს მარიან ვენცლენიჩს. დღეს ის უკვე ცოცხალი აღარ არის. ჩვენი მაშინდელი შეხვედრის დროს კი მან აღელვებით მოიგონა ფაშისტთა ტყვე ოფიცრის მოქუფრული დღეები და მაჩვენა ძვირფასი რელიქვია — მომცრო ზომის მწვანე ფუტლარი. მასში იდო იაკობ ჯულაშვილის ხელით დაწერილი ორი პატარა წერილი.

**მარიან ვენცლენიჩის მონათხრობი:**

— ბანაკში მარშალ სტალინის შვილის მოყვანის ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონელ ოფიცერთა შორის. 1942 წლის 4 მაისს ავტომატით შეიარაღებულმა სამმა მცველმა და ჰიტლერელთა კაპიტანმა ჩვენს ბარაკში შემოიყვანა ტყვე საბჭოთა ფორმით. განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ეს ტყვე იყო უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯულაშვილი. ჩვენ მაშინვე ვიცანით ის: უქულოდ, შავთმიანი, ზუსტად ისეთი, როგორც იყო გერმანულ ვაზეთში მოთავსებული სურათი. ამ ვაზეთის წაკითხვას ჩვენ როგორღაც ვახერხებდით.

გერმანელებმა იაკობისათვის სპეციალური შენობა მოამზადეს. მაღალი ჩინის პოლონელ ოფიცერთა ბანაკში შენობის ძირითადი ნაწილიდან ტიხარით გამოჰყვეს ორი პატარა ოთახი შუაში, მცირე ზომის დერეფნით. კარები საიმედოდ გაამაგრეს და შიგ ჩაუყენეს „სათვალთვალოები“. იაკობ ჯულაშვილის მეზობელი იყო კაპიტანი ბლიუმი, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლეონ ბლიუმის შვილი.

ტყვე პოლონელ ოფიცრებს ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ ორდინარტების მომსახურებით. მე, როგორც როტის მეთაურმა, იაკობ ჯულაშვილს მივამაგრე კარალი ვლადისლავ ხმელისკი იმ საბაბით, რომ თვითონ იაკობს აკრძალული ჰქონდა სამზარეულოში შესვლა, ხანმოკლე გასეირნების უფლება კი მიეცა მხოლოდ განსაზღვრულ საათებში და ისიც მცველის თანხლებით.

გერმანულ კომენდატურას არ მოსწონდა ჩვენი კონტაქტი საბჭოთა ტყვეებთან. ოფიციალურ აკრძალვას მაინც ვერ ბედავდნენ. მე ამით ვსარგებლობდი და სულ უფრო ხშირად ვნახულობდი ხოლმე საბაბს იაკობ ჯულაშვილის მოსანახულებლად. უფროსი ლეიტენანტს, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ოფიცრებს, არ ჰქონდა უფლება, ესარგებლა სამხედრო ტყვეების მიმართ ყენევის კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიებით. რუსები არ იღებდნენ პროდუქტიან ამანათებს. არ შეეძლოთ, მიეღოთ ან მიეწერათ წერილები. პოლონელების, ფრანგებისა და ინგლისელებისაგან განსხვავებით, ეკრძალებოდათ ფულადი გზავნილების მიღება.

ამიტომ ბარაკთა კომენდატების თათბირზე პოლონელმა ოფიცრებმა გადაწყვიტეს, რომ იაკობს ყოველთვიურად მიეღო ერთი ამანათი ჩვენთვის განკუთვნილი საერთაშორისო წითელი ჯვრის ამანათებიდან, და აგრეთვე ერთი ამანათი პროდუქტებით, რომელსაც ოფიცრები თავიანთ წილად გაამზადებდნენ.

მე ერთხელ ვკითხე იაკობ ჯულაშვილს, ხომ არაფერი გირადებოდა. მან მთხოვა, შემეცვალა ჩემები, რომელიც ძალიან გაცვდა და თუ შესაძლებელი იქნებოდა, მი-

მეცა ახალი შინელი. შეკვეთა რამდენიმე დღეში შეასრულეს ორდინარტთა როტის ჯარისკაცებმა, წარსულში მეწაღეებმა, მკერავებმა, თავიანთი საქმის ჩინებულმა სპეციალისტებმა. ამ სამსახურისათვის მაღლობაა იმ წერილებში, რომელთაც მე დღემდე ვინახავ...

რამდენჯერმე მოვახერხე იაკობთან პირისპირ მესაუბრა. ერთხელ ის ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ არასოდეს არავითარი განცხადებით არ მიუმართავს გერმანელებისათვის და მთხოვა, თუ ის ველარ ელირსებოდა სამშობლოს ნახვას, როგორმე შეეტყო იოსებ სტალინს, რომ მას არასოდეს უღალატია მამისათვის: ყველაფერი, რაც ფაშისტურმა პროპაგანდამ გადმოსცა, თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა.

გერმანელები ცუდი ფსიქოლოგები აღმოჩნდნენ: ისინი ფიქრობდნენ, წაეხზებებინათ იაკობ ჯულაშვილი პოლონელებთან. მაგრამ მოხდა კი პირიქით. პოლონელმა ოფიცრებმა იაკობი შეიყვანეს ჯგუფში, რომელმაც დაიწყო საგულდაგულო მზადება გაქცევისათვის. მამაცმა აღამიანებმა მოახერხეს, გაეთხარათ გვირაბი მაღალი ჩინის ოფიცერთა ბარაკიდან ხიდის ბურჯამდე, ბანაკთან ახლო მდებარე გზაზე ბრმა შემთხვევამ ჩაშალა გეგმა.

გაქცევის გამომქვავებისთანავე რამდენიმე საათის შემდეგ იაკობ ჯულაშვილი გაძლიერებული დაცვის თანხლებით გაიყვანეს ამ ბანაკიდან. ასე მოხდა ის სიკვდილის ბანაკში — ზაკენაუზენში. აქ მოათავსეს განსაკუთრებულ განყოფილებაში ბანაკ „ა“-ში, რომელიც საერთო ბანაკისაგან სამმეტრიანი ქვის კედლით იყო გამოყოფილი. მის წინ ვადიოდა მავთულის ლობე ათასგოლტიანი მაღალი ძაბვის დენით. მავთულის ლობის გასწვრივ მიმოეყარათ „ბრუნოს სპირალები“ — წინააღმდეგობები ფეხით მოსიარულეთათვის. ეს იყო „მკვდარი ზონა“. მასში მოხვედრილ კაცს დაცვა გაუფრთხილებლად ესროდა.

„ა“ ბანაკიდან ცოცხალი არავინ გამოდიოდა. ფაშისტების საყვარელი ხუმრობა გახლდათ: ბანაკიდან გამოსასვლელი მხოლოდ კრემატორიუმის მილიდანაა. და მაინც იაკობ ჯულაშვილისათვის შეიძლებოდა, გამოჩენილიყო გამოსასვლელი. სამწუხაროდ, არქივებში მე ვერ აღმოვაჩინე ფაშისტთა ხელმძღვანელობის სტალინისადმი გაგზავნილი წერილის ასლი, სადაც წინადადებას აძლევდნენ, ფელდმარშალი პაულიუსი გაეცვალა საკუთარ შვილზე. მაგრამ სტალინის ცნობილი პასუხიდან, რომელიც შვეციის წითელი ჯვრის თავმჯდომარის გრაფ ბერნარდტის მეშვეობით გადასცა, ნათელია, რაში მდგომარეობდა წინადადების არსი. სტალინმა უარყო ის, როცა განაცხადა, რომ „ჯარისკაცს მარშალზე არ ვცვლი“. იაკობისათვის ეს უარი სიკვდილს უდრიდა.

იმის შესახებ, თუ როგორ დაიღუპა იაკობ ჯულაშვილი, გვიმოწმებს ძველი გერმანელი კომუნისტი, ბანაკის ყოფილი ტყვე, ვარი ნაუიოქსი. მისი მოგონებები ინახება ზაკენაუზენის მემორიალის არქივში:

„იაკობ ჯულაშვილი გამუდმებით გრძობდა თავის გამოუვალ მდგომარეობას. ხშირად დებურესიაში ვარდებოდა, საჭმელზე უარს აცხადებდა. მასზე განსაკუთრებით იმოქმედა ბანაკის რადიოთი რამდენჯერმე გადმოცემულმა სტალინის განცხადებამ იმის შესახებ, რომ „არ არსებობს სამ-

ხედრო ტყვეები — არიან სამშობლოს მოღალატეები...“ შეიძლება ამან უკმაყოფილო ნაბიჯის გადადგმისაკენ. მან დაიწყო სიკვდილის ძებნა და „სიკვდილი“ კი 1943 წლის 14 აპრილს იაკობმა უარი თქვა ბანაკში შესვლაზე და შევარდა მკვდარ ზონაში. გუშაგმა ესროლა. სიკვდილი წამიერად მოხდა. და მაშინ მისი გვამი შეადგეს მაღალი ძაბვის მავთულის ლობეზე. „გაქცევის მცდელობა“ — მოახსენეს ბანაკის უფროსობას... იაკობ ჯულაშვილის ნაფლეთებად ქცეული სხეული დაწვეს ბანაკის კრემატორიუმში.

მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის მუზეუმში ინახება ურნა ჰიტლერელთა ყოფილი კონცლაგერის, ზაკენაუზენის მიწით, სადაც მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიღუპა ათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვე. მათ შორისაა ინსტიტუტის კურსდამთავრებული იაკობ ჯულაშვილი. მისი სახელი უკვდავყოფილია ძეგლებზე, რომლებიც დაიდგა სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპული მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის აღმზრდელების სადიდებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით იაკობ იოსების ძე ჯულაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებული იქნა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით. როგორც ბრძანებულება ნათქვამი „ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ფაშისტთა ჯურღმულებში გამოკუთვნილი მამაცობისა და სიმტკიცისათვის“.

ეს ჯილდო გადაეცა იაკობის ქალიშვილს — ვალინა ჯულაშვილს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. ის არაბულ-ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტია. ახლო წარსულში მუშაობდა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, მეცნიერ მუშაკად... დედა, იაკობის მეორე ცოლი, ნიჭიერი მოცეკვავე, იულია მელცერი დააპატიმრეს 1941 წელს, დაახლოებით ორი წელი ვაატარა ცალკე საკანში და შემდეგ გაანთავისუფლეს. ომის შემდგომ წლებში ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში და 1962 წელს გარდაიცვალა.


მე ვაგრძელებ მუშაობას დოკუმენტურ ნოველაზე იაკობ ჯულაშვილის ცხოვრების შესახებ. უკვე შევაგროვე დიდძალი მასალა, მაგრამ სასურველია უფრო დაწვრილებით შესწავლა მისი ომამდელი წლებისა, იმ პერიოდისა, როცა იგი მოსკოვში სწავლობდა და შრომობდა. უფრო ღრმად შეასწავლი მისი ხანმოკლე საბრძოლო ცხოვრება, უმკაცრესი გამოცდა ფაშისტთა ჯურღმულებში. შეიძლება ეს სტრიქონები წაიკითხოს ვინმემ, ვინც პირადად იცნობდა იაკობ ჯულაშვილს. მოხარული ვიქნები, თუ მათგან მივიღებ წერილს მოგონებებით.

თარგმანა ქეთევან ჩხაიძემ.

„ნაფილია“, 1988 წ. № 12.

ამ მასალის ავტორი დიდი სამამულო ომის დროს მსახურობდა ჩრდილო დასავლეთის ფრონტის ნაწილებში თარგმანად. კარგა ხანია გულმოდგინედ სწავლობს მეორე მსოფლიო ომის წლებში ანტიფაშისტური მოძრაობის მასალებს. არის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

# საბი ბიპროპონის ერთი „ჯალოჯარი“



მას ყველანი იცნობთ. ცისფერი ეკრანის საშუალებით თქვენი ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმარია. რადიოთი გატკობთ მისი არაჩვეულებრივად მომხიბლავი, თბილი, გულშიამწვდომი ხმა. თითქმის ანალოგიური შეგრძნება გეუფლებათ, როცა ეკრანიდან მის მიერ ქართულ ენაზე გახმოვანებულ როლებს ისმენთ.

...და იგი ტელევიზიისა და რადიომუწეებლობის სახელმწიფო კომიტეტის დიქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თინათინ მგალობლიშვილია.

ხელოვნებისადმი სიყვარული ბავშვობიდან დაჰყვა. მამამისი ცნობილი კინოკრიტიკოსი გახლდათ. პატივცემული მიხეილისა და ქალბატონ ელენე ჭუმბურიძის ოჯახში იკრიბებოდნენ პოლიკარბე კაკაბაძე, ბესარიონ ქლენტი, ნატო ვაჩნაძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ხორავა, ალექსანდრე მიქელაძე... ვინ მოთვლის, რამდენ ცნობილ მწერალს, კრიტიკოსსა და მსახიობს შეხვედრია ბავშვობაში, მოუსმენია, მათთვის. ერთი სიტყვით, თინა თეატრალურ გარემოში იზრდებოდა და ამიტომაც გაატაცა ხელოვნებამ.

\*\*\*

ალბათ გაინტერესებთ, როგორ გახდა რადიოს დიქტორი. კომიტეტმა მასინ დიქტორ ქალთა კონკურსი გამოაცხადა. სხვებთან ერთად ისიც ჩაიწერა, ყველაფერი კარგად, ლამაზად, მოხდენილად გამოვიდა. კმაყოფილი დარჩა კოტე მახარაძეც, რო მედიც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სპეციალურად მოვიდა მისი ხმის მოსასმენად. თითქოს ეს ამბავი კარგად უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... მეორე დღეს გულშემატკივარმა ოპერატორებმა დაურეკეს, ხმის ჩანაწერი რეჟისორმა დაიწუნაო. რა მოხდა? მოხდა პატარა კურიოზი: ყველასათვის და მათ შორის, თინასთვისაც უსაყვარლეს რადიორეჟისორ ლევან გურულს ხმის ჩანაწერები არევიდა.

და აი, ოცი წელია მიკროფონთანაა თინა. მიჰყავს რადიოგადაცემები. ამ ხნის მანძილზე შეიძლება ერთგვარად კიდევაც გაუთამამდე, არ გეშინოდეს... მაგრამ ასეც არ არის. მიკროფონი ისეთი რამაა, შეიძლება ნებისმიერ დროს „გიმუხტოს“. ამიტომ რა გადაცემაც უნდა მიჰყავდეს — „უკანასკნელი ცნობები“, „სიფლის დილა“, თუ „საქართველოს პიონერი“, მუდამ იმის ცდაშია, კარგად დაწერილი ტექსტი გააზრებულად, შინაარსიანად, ამაღლებულად მიიტანოს მსმენელამდე. ზოგჯერ მასალა სუსტია. მაშინ თინა სულსა და გულს ჩადებს შიგ, რომ ეს სისუსტე არავინ იგრძნოს.

და ყველაფერი ეს შესაძლებელი ხდება, როცა მაქსიმალურად მობოლიზებული ხარ და გინდა,

იმდღევანდელი შრომისა და გარჯის ნაყოფი ყველასათვის შესამჩნევი გახადო.

\*\*\*

სანამ რადიოს დიქტორად დაიწყებდა მუშაობას, ვერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტს, ტელევიზიით მიჰყავდა გადაცემები... ბევრი წარმატებითაც.

ერთმა გადაცემამ მაინც განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა: ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციამ მოამზადა და პირდაპირ გადაიკა ეთერში „ლიტერატურული საღამოები“ — ქართული ხალხური პოეზია. ეს გახლდათ 1979 წელს. სხვათაშორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გადაცემით სათავე დაედო ქართული ხალხური პოეზიის საღამოებს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. იმ პირველ გადაცემაში მონაწილეობდნენ მურმან ლებანიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, გურამ საღარაძე, ანზორ ერქომაიშვილი თავისი გუნდით...

მას ხომ ხშირად მიჰყავს სატელევიზიო ჟურნალები „ჩვენი სოფელი“, „ადამიანი და კანონი“, „ჯანმრთელობა“, „შემოქმედებითი პორტრეტები“, უთვალავი ნარკვევი, რეპორტიჟი, ინტერვიუ.

რამდენიმე კითხვა:  
— თქვენი საყვარელი, სასურველი პარტნიორი დიქტორი?

— ყველა მიყვარს. განსაკუთრებით დავით სოკოლოვი, ჩვენი დათო. ამას ყველა კარგად გრძნობს. აგრეთვე თემურ ჩხიკვაძე, რადიოთი — რევაზ ჩხაიძე, თამაზ ჭყონია. მშვენივრად ვგრძნობ თავს ახალგაზრდა ლალი ზანგურაშვილთან დუეტში. ეს ალბათ იმიტომ, რომ მისი ხმა რადიოთი ჩემსას ჩამოჰგავს.

— თქვენ, როგორც გამოცდილი რადიო და ტელედიქტორი, რას უფრო ანიჭებთ უპირატესობას, სიტყვას თუ გამოსახულებას?

— მთავარი ჩემთვის სიტყვაა. ზოგჯერ ყოფილა, გარეგნულად ნორმალურად გამოვიყურებოდი, მაგრამ ისე ვერ წამიკითხავს, როგორც საჭიროა. ისე, ორივე რომ თანაზომიერად იყოს შერწყმული, ამას არაფერი აჯობებს. მიყვარს უშუალო კონტაქტი მაყურებელთან. თუმცა გადაცემის ჩაწერას როგორც რადიოთი, ისე ტელევიზიით, თავისი დადებითი მხარეები აქვს: დაზღვეული ხარ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან... მაგრამ, ამასთან, ბევრიც იკარგება.

\*\*\*

შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ფაქტია, 600 მთავარი როლი აქვს გახმოვანებულში. მასზე, როგორც კინომსახიობზე, ამბობენ: „ხასიათი, განწყობა, ასაკი, რეაგირების არაჩვეულებრივი ალლო“. აი ყველა ის კომპონენტი, რომელიც ერთი მოკლე,

მაგრამ ტევადი სიტყვით გამოითქმის — „ნიჭი“. სხვანიირად წარმოუდგენელიც კია ამდენი მთავარი როლის გახმოვანება. რამდენიმე მათგანი აუცილებლად უნდა ჩამოვთვალოთ: თამარი („მთვარის მოტაცება“), შორენა („დიდოსტატის მარჯვენა“), ესმა („სამი სიცოცხლე“), ნატაშა როსტოვა („ომი და მშვიდობა“), მარიტა („ნატვრის ხე“), ია („ფიროსმანი“)...

მუშაობდა თითქმის ყველა თაობის რეჟისორთან. განსაკუთრებული სიბოთითი და სიყვარულით იგონებს რეჟისორ კოტე მიქაბერიძესთან მუშაობის ერთ ეპიზოდს.

— ბატონი კოტე, როგორც ეს ძველი თაობის წარმომადგენლებს სჩვეოდათ, განსაკუთრებული პუნქტულობით გამოირჩეოდა. მე კი ამ მხრივ ცოტას ვცოდავდი. პირველი შეხვედრისას 5 წუთით დამაგვიანდა. დაუძახა ადმინისტრატორს და უბრაძანა, მგალობლიშვილი მოხსენით და დაუყოვნებლივ შეეცავლეთო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ისევ მანვე გააგრძელა: იმუშავე და, როგორც კი შეგცვლი, წახვალო. შევუღვქით საქმეს, ჩავწერეთ ერთი, ორი, სამი ნაწყვეტი. ამთავან ერთ-ერთი ისე მოეწონა, რომ წყენა გადავიწყვდი, მოვიდა, გადამეხვია და გადამეოცნა.

— ვინ არის თქვენი საყვარელი რეჟისორი?  
— ოთარ იოსელიანი. მასთან გახმოვანებული მაქვს „გოგორგობისთვე“, „პასტორალი“, „იყო შავი მგალობელი“ და ბევრი სხვა. ერთზე კი მწყვდება გული: იოსელიანის ფილმებში რომ არ ვმონაწილეობ. არადა, რამდენჯერ მიმიწვია საქვეყნოდ აღიარებულმა რეჟისორმა გადაღებამზე. გამორჩეულად მიყვარს თენგიზ აბულაძე.

\*\*\*

მომხიბლავი, საყვარელი ქალია თავისი ადამიანური თვისებებით. კარგი ოჯახის პატრონი, შესანიშნავი დიასახლისი, მეგობარი, მეუღლე. ქალიშვილი მკა ბარდაველიძე დედის კვალს გაჰყვა. თავდაპირველად არ უნდოდა, ერთადერთი ქალიშვილი მის კვალს გაჰყოლოდა, ერჩივნა, დეიდისთვის მიეზაძა და ეჭიმო გამოსულიყო... ძლიერი გატაცება რომ შეატყო, ვეღარ დაუშალა.


...დღეს მისი მარშრუტები ასეთია: კინოსტუდია (პლუხანოვი-დიდომი), რადიო, ტელევიზია.

...თინა მგალობლიშვილს ყველანი იცნობთ. ცისფერი ეკრანის საშუალებით თქვენი ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმარია.

თქვენ იგი უთუოდ გიყვართ, ძვირფასო მკითხველებო, რადიომსმენელებო და ტელემაყურებლებო!

ასეთი სიყვარული კა მხოლოდ ღირსეულთა ხევდრია.

თეიმურაზ მორგოზია.



აქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში დაცული უცნობი მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ და აკონკრეტებენ არსენა ოძელაშვილზე არსებულ დღემდის ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს, ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას ვასილი საუკუნის სახალხო გმირზე.

ამჟამად ხელთა ვვაქვს 1836-1844 წლების ოცამდე დასახელების სხვადასხვა საბუთი. მათ შორის, როგორც მოცულობით, ასევე შინაარსით, ყველაზე მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული „სამართლისა და განჩინების ექსპედიციის“ 1838 წლის 21 დეკემბრის თარიღით შედგენილი საბრალდებო აქტი და შესაბამისი განაჩენი. დოკუმენტებში გადმოცემულია 1836 წლის მაისიდან 1837 წლის 31 დეკემბრამდე (ძვ. სტილით) მომხდარი ამბები. მათ შემოკლებით გადმოცემით საარტივო საქმეში მოცემული თანამიმდევრობით.

1837 წლის 9 ივნისის თბილისის პოლიციაში მიუყვანიათ სავარჯისო მკვიდრი, საეკლესიო გლეხი ესტატე ცულიკაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა სოფელ კოდასთან ვინმე ვაჭარ სუქიასოვზე თავდასხმა. დაკითხვისას უჩვენებია, რომ მას დიდი მეგობრობა აკავშირებს ოძელაშვილთან. კერძოდ, უთქვამს: „მე მას ვახლდი ზაალ ბარათაშვილისაგან მოტაცებული მოსამსახურე გოგოს იმერეთში ვადაყვანისასო“. მისივე სიტყვით, მათ თან წაუღიათ არსენას მიერ ერთი თბილისელი მდიდრისათვის წართმეული მრავალი ნივთი.

1837 წლის 17 აგვისტოს თბილისის პოლიციაში მოუყვანიათ შეპყრობილი არსენა ოძელაშვილი, რომელსაც უღიარებია ესტატე ცულიკაშვილთან მეგობრობა, ამასთანავე უთქვამს, რომ 1836 წლის ნოემბერში მას ნასვამ მდგომარეობაში მოსვლია პირისპირ შეტაკება ზაალ ბარათაშვილთან და არ ახსოვს, დაჭრა თუ არა იგი თავისი ხმლით. ხმალი შეხლა-შემოხლაში წაურთმევეია მისთვის მარაბდის ბატონს. სამაგიეროდ, არსენას გაუტაცებია ზაალის ცხენი.

გამოძიებით დაუდგენიათ, რომ ამ კონფლიქტის შემდეგ არსენას მალულად გაუპარებია მარიამი, ზაალის მოახლე გოგო, რომელიც ჩაუყვანია შორაბნის საბოქაულოს სოფელ ღვერკში და მიუყვანია დავით თხელაძესთან, ქალის ბიძასთან.

ზაალს სოფელ ბოგვი მცხოვრები ნათესავისთვის პოლიციის პროპორშიკ აზნაურ ნინია (იგივე ივანე) საგინაშვილისათვის უთხოვია, რომ მოერიგებინა იგი არსენასთან. მას შეუსრულებია მარაბდის ბატონის თხოვნა და მხარეები მართლაც მოურიგებია: ზაალს მიუღია ცხენი, არსენას კი ხმალი.

ნინია საგინაშვილმა პოლიციას ასეთი ახსნა-განმარტება მისცა: „ზ. ბარათაშვილმა მთხოვა, ვადამეცა არსენასათვის, რომ იგი შეწყნარებულია ხელისუფლების მიერ, დამიბრუნოს ჩემი ცხენი და წაიღოს თავისი ხმალიო. მას ჩემთვის არ უთქვამს არც შეიარაღებულ შეტაკებაზე და არც იმაზე, რომ იგი დაჭრილი იყო არსენას მიერ“. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზაალ ბარათაშვილს უჩვენებია: „ნ. საგინაშვილმა თვით მომცა წინადადება, შევრიგებოდი ა. ოძელაშვილს, ხოლო თუ დავეთანხმებოდი, მას სურდა, იგი სახლში მოეყვანა ჩემთან მოსარიგებლად. ნ. საგინაშვილის შემვეობით მიკიტანმა გაბრიელ აკი-

მოვმა ჩემი ცხენი მომიყვანა, ხოლო არსენას წაუღო თავისი ხმალიო“.

გამოძიებას დაუდგენია ვინაობა ისაალი ოღლისა, არსენას კიდევ ერთი თანამზრახველისა, რომელიც იმხანად ერთი წლის მანძილზე მეჯინებედ ყოფილა პროპორშიკთან — აზნაურ დოე (დავით) ზალდასტანიშვილთან სოფელ მაჩხანაში.

1837 წლის 21 აგვისტოს ქიზიყიდან იძულებით ჩამოყვანილ ისაალი ოღლს ყოყმანის შემდეგ უთქვამს, რომ იგი კარგად იცნობს არსენა ოძელაშვილს, ადრე მასთან ერთად რამდენიმეჯერ ყოფილა ოსმალეთში და ხშირად მიუღია მონაწილეობა ცხენების გატაცებაში. „დ. ზალდასტანიშვილმა იცოდა რა ჩვენი საქმიანობა, იგი მე და არსენას ხშირად გვიფარავდა კიდევცო“. მაგრამ დ. ზალდასტანიშვილს უარუყვია ისაალი ოღლისა და არსენას მფარველობა და უჩვენებია, რომ ისაალი ოღლი მასთან მეჯინებედ იმყოფებოდა 1836 წლის ნოემბრიდან და რომ საამისო სანქცია მას მიღებული ჰქონდა სიღნაღის მაზრის ყოფილი უფროსის, იმხანად გარდაცვლილი ზაპოროშიჩეკოსგან. „მე მას ჩემთან ვაჩერებდი იმიტომაც, რომ გადაწყვეტილი აქვს ქრისტიანობის მიღებაო“.

ნიშნავს: „არსენას მიერ ჩემს ბინაზე უნაგირის როგორც დატოვებას, ასევე უცნობი წაღებას ადგილი ჰქონდა ჩემი შინაარსობის დროსო“.

ოძელაშვილისაგან გატაცებული ცხენების ვადამალვის საბაბით პასუხისგებაში მიუციათ კიდევ ხუთი პიროვნება. ესენა ყოფილან კუმიხელი მეღუქნეები: სოსია დემეტრაშვილი, ასლან ოვანაშვილი, გიორგი მოსიაშვილი და მისი თანამშრომელი ბაღდასარ სისუაშვილი, გიორგი იორდანიშვილი. სასამართლოს მოწმის სახით დაუკითხავს სოფელ ბოგვის მცხოვრები დედა-შვილი ელენე და გიორგი თეგიშვილები.

ს. დემეტრაშვილს აღუნიშნავს: „მე არსენას ვიცნობ იმ დროიდან, როცა იგი ცხვარში დადიოდა და ხშირად შემოდინდა ჩემს დუქანში ღვინის დასალევადაო“, ხოლო ა. ოვანაშვილს უთქვამს: „ცხენი არსენასაგან არ მიყიდა, იგი დავიჭირე ჩემს პურის ყანაში, როგორც უპატრონო“. ასეთივე არგუმენტი მოუშველიებია გიორგი იორდანიშვილს, რომელსაც დაუმატებია: „ის იყო გადაწყვეტილი, ნაპოვნი ცხენი ჩამეყვანა პოლიციაში, რომ ბოქაულმა დამასწრო მოსვლა და წაიყვანაო“.

ელენე და გიორგი თეგიშვილებმა თა-



მომხდარ ამბებთან დაკავშირებით საზარო პოლიციას და სასამართლოს ჩვენება ჩამოურთმევეია კიდევ რამდენიმე პირისათვის. ესენი ყოფილან სოფელ არბოშიკში მცხოვრები სოლომონ ალავერდაშვილი, სიღნაღელი მეღუქნე გეო ხალათოვი და მისი თანამშრომელი გიგო ხოჯაშვილი, აგრეთვე სიღნაღის მაზრაში მცხოვრები ნოდარ ასათიანი (იგივე ზალდასტანიშვილი).

ს. ალავერდაშვილს სასამართლოსათვის განუცხადებია შემდეგი: „დაკარგული ჩემი ცხენის ასაგალ-დასაგლის გასარკვევად მიემართე პროპორშიკ დოე ზალდასტანიშვილს, რომელმაც მითხრა, შენი ცხენი, გიგო ხალათოვის უნაგირით შეკაზმული ამჟამად არსენა ოძელაშვილსა ჰყავსო“.

მეღუქნე გ. ხალათოვის თავის ჩვენებაში დაუდასტურებია, როგორც არსენა ოძელაშვილთან ნაცნობობა, ასევე მისთვის უნაგირის თხოვების ფაქტი. გ. ხალათოვის ჩვენებას დაეთანხმა გ. ხოჯაშვილი, რომელსაც თავის მხრივ დაუმატებია: „გ. ხალათოვმა თავისი უნაგირი დაიბრუნა არა არსენასაგან, არამედ აზნაურ ნოდარ ასათიანის ოჯანიდან ერთი ახლობლის ხელითო“.


ნ. ასათიანს არ უარუყვია ა. ოძელაშვილთან, როგორც „მისი ქალიშვილის ნათლისთან, ახლო მეგობრობა“, მაგრამ აღუ-

ვიანთი ახსნა-განმარტებით დაადასტურეს ა. ოძელაშვილისაგან ცხენის ყიდვის ფაქტი, მაგრამ კატეგორიულად განუცხადებიათ „ცხენი მის პირად საკუთრებას შეადგენდაო“.

იმერეთიდან იძულებით ჩამოყვანილმა მარიხე თხელაძემ დაადასტურა არსენა ოძელაშვილის დახმარებით ზაალ ბარათაშვილის სახლიდან ბიძასთან გაპარვის ფაქტი. მისივე ჩვენებით ს. ღვერკში ცხოვრების პერიოდში (დაახლოებით ერთი წლის მანძილზე) არსენას ორჯერ მოუხანულებია იგი და საჩუქრად მიუტანია შალი, ქოშები, სარტყელი, წინდები და ორი არშინი წითელი ნარმა.

სასამართლო ექსპედიციის მიერ შედგენილ ამავე დოკუმენტში საგანგებოდ აღნიშნულია თბილისის საპოლიციო ნაწილის სახელზე მეტეხის საპყრობილის უფროსის ცნობა „1837 წლის 31 დეკემბერს არსენა ბერუას ძე ოძელაშვილის პატიმრობიდან გაქცევის შესახებ“. ამავე ცნობით, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, პოლიციას დაუყოვნებლივ გაუვრცელებია წერილობითი განცხადება მთელს საქართველოში.

შემოთ აღნიშნული ფაქტებისა და შემთხვევების განხილვის შედეგად, თანამედარსებული სუბორდინაციისა, „სამართ-



ლისა და განჩინების ექსპედიციას“ „საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისათვის“ შესასრულებლად გადაუცია შემდეგი შინაარსის დადგენილება:

ა) ბრალდებული ესტატე ცულიკაშვილი, 30 წლის, გაეტარებინათ შპიცრუტენში (ათას ჯარისკაცს შორის), ხოლო შემდეგ იგი გაემწესებინათ კატორღულ სამუშაოზე ქ. ტობოლსკში;

ბ) მარიამ თხელაძე, რომელსაც არ დაუმტკიცდა დანაშაულებრივი კავშირი ა. ოძელაშვილთან, გაეთავისუფლებინათ მსჯავრისგან, ხოლო სასახლიდან გაპარვისათვის სასჯელის განსაზღვრა მიხედობდა ზაალ ბარათაშვილს;

გ) პროპორშიკი ნინია საგინაშვილი კანონით დაუშვებელი შუამავლობისათვის 5 თვით მოეთავსებინათ მეტეხის ციხეში.

დ) თავადი ზაალ ბარათაშვილი მკაცრად გაეფრთხილებინათ, რათა მას შემდგომში აღარ ჩაედინა „კეთილშობილი ადამიანისათვის შეუფერებელი საქციელი“ (იგულისხმება ხელისუფლებისათვის არსენასთან შეიარაღებული შეტაკების დამალვა, ცხენისა და ხმლის ურთიერთგაცლა);

ე) „სამართლის და განჩინების ექსპედიციას“ საჭიროდ უცნია ღრობით თავის შეკავება ბრალდებულ ისა-ალი ოღლისათვის სასჯელის განსაზღვრისაგან და წინადადებას იძლეოდა, მისი საქმე გადაეცათ სამხედრო სასამართლოში დამატებითი გამოძიებისათვის, რათა გაერკვიათ, ხომ არ ჰქონდა მას ჩადენილი სხვა დანაშაული სამშობლოში — კახახის საბოქაულოში;

ვ) დოე (იგივე დავით) ზალდასტანიშვილი განთავისუფლებულიყო მსჯავრისაგან, ვინაიდან არსებული მასალებით მას არ უმტკიცდებოდა ა. ოძელაშვილის თანამზრახველობა. „აღმასრულებელ ექსპედიციას“ ამასთანავე ევალებოდა, დაწვრილებით გამოეკვლია, როგორ და რა პირობებში მოხვდა ისა-ალი ოღლი მასთან მეჭინბედ;

ზ) ა. ოძელაშვილის დანაშაულის დაფარვაში ეჭვმიტანილი სიდნადის მახრის მცხოვრები მეღუქნეები გ. ხალათოვი და გ. ხოჯაშვილი განთავისუფლდნენ სასჯელისაგან სარწმუნო მასალების უქონლობის გამო, მაგრამ ექსპედიციას მიზანშეწონილად უცნია, მათზე დაეწესებინათ მკაცრი ზედამხედველობა;

თ) აღნიშნული მოტივით ექსპედიციამ ბრალდებისაგან გაათავისუფლა ა. ოძელაშვილის ნათლიამა, აზნაური ნ. ასათიანი, მეღუქნეები გ. იორდანიშვილი, ა. ოგანაშვილი, ს. დემეტრაშვილი, გ. მოსიაშვილი და ბ. სისუაშვილი, აგრეთვე დედაშვილი ე. და ვ. თეგიშვილები.

„განჩინების ექსპედიციამ“ ასევე დაადგინა, ა. ოძელაშვილისათვის ჩამორთმეული ნივთების (თოფი, ხანჯალი, ხმალი და ცხენი) შესახებ საჯაროდ გამოცხადებულიყო, ხომ არ ეკუთვნოდათ ესენი სხვა პირებს, ხოლო თუ მათ პატრონი არ გამოუჩნდებოდათ, გაეყიდათ და შემოსული თანხა გადაეცათ „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგისათვის“.

აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერენ განჩინების ექსპედიციის უფროსი ილინსკი, მრჩეველები გავრილენკო, სარაჯიშვილი, ალექსეევი და დ. ორბელიანი, მდივანი სოფრონსკი.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება

მიმოხილული საარქივო დოკუმენტებიდან?

1. პირველ ყოვლისა, გამოვლინდა ვინაობა არსენა ოძელაშვილის თანამზრახველებისა. ესენი არიან ესტატე ცულიკაშვილი და ისა-ალი ოღლი; დადგინდა მთელი ნუსხა პიროვნებებისა, რომლებიც მეტნაკლებად მფარველობდნენ მას, რათა აეცდინათ სახალხო გმირისათვის ხელისუფლების რისხვა. ესენი ყოფილან მეღუქნეები (რახედაც ასე ხაზგასმით არის მინიშნებული „არსენას ლექსში“): გ. იორდანიშვილი, გ. მოსიაშვილი, ს. დემეტრაშვილი, ბ. სისუაშვილი, გ. ხალათოვი, გ. ხოჯაშვილი.

ამავე დოკუმენტების მეშვეობით ვეცნობით ხელისუფლების სამსახურში მყოფი პირების სახელებს: პროპორშიკ დ. ზალდასტანიშვილისა და აზნაურ ნ. ასათიანისა, რომლებიც, როგორც ჩანს, ცდას არ აკლებდნენ, რომ შეემსუბუქებინათ ოძელაშვილისა და ისა-ალი ოღლისათვის მოსალოდნელი ხვედრი. როგორც ვაირკვა, ნ. ასათიანს ქალიშვილიც კი მოუხატავდა „ყაჩაღისათვის“, რაც, ბუნებრივია, სახალხო გმირის პოპულარობის კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია.

2. სრულად უცნობი ფაქტია 1836 წელს ზ. ბარათაშვილის სახლიდან არსენას ხელშეწყობით შინამოსამსახურე მარინე თხელაძის გაპარება და ახლობლებთან ჩაყვანა, აგრეთვე მისი სანახავად ორჯერ ჩასვლა ს. დევრაშვილსა და ს. ხოჯაშვილს.

ამჟამად, მ. თხელაძე ზ. ბარათაშვილის ის მოახლე არაა, რომლის გამოც არსენას სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მოუხდა მარაბდის ბატონთან და რის შედეგადაც იგი „ყაჩაღად გავიდა“ (დაახლოებით 1823-24 წწ.).

3. ა. ოძელაშვილის შესახებ არსებულ ლიტერატურაში აგრეთვე უცნობია ზ. ბარათაშვილთან მისი პირისპირ შეტაკება 1836 წლის ნოემბერში და მათი მშვიდობიანი მორიგება. როგორც ჩანს, ასეთი შედეგი ხელს აძლევდა თვით ზ. ბარათაშვილს, რადგანაც არსენას მიერ მისთვის ხელის შემობრუნების გახშირება ზვიადი ფეოდალის პრესტიჟისათვის არცთუ თავმოსაწონებელი ამბავი იქნებოდა.

საარქივო მასალებში პირველი კონფლიქტის მოუხსენიებლობა (მხედველობაში გვაქვს შინა მოსამსახურის მოტაცება და ცოლად შერთვის ფაქტი) უნდა აიხსნას მომხდარი ამბის ხანდაზმულობის ვადის გასვლით.

4. კარგა ხანია, ცნობილია ა. ოძელაშვილის დაპატიმრების თარიღი (1837 წ. 17 აგვისტო), მაგრამ დღემდის არ იყო ცნობილი, თუ რამდენ ხანს იმყოფებოდა იგი მეტეხის საპყრობილეში. ახალწარმოჩენილი საარქივო მასალების მიხედვით არსენა პოლიციას გაქცევია 1837 წ. 31 დეკემბერს, ე. ი. ა. ოძელაშვილის სულ პატიმრობაში დაუყვია ოთხი თვე და 13 დღე და არა „შვიდი კვირა და შვიდი დღე“, როგორც ვადმოგვცემს „არსენას ლექსის“ ავტორი. როგორც ჩანს, არსენას ახალი წლის წინა დამე ყველაზე მოხერხებულად მიუჩნევია პატიმრობიდან თავის დაღწევისათვის.

5. მიმოხილული დოკუმენტების საშუალებით ზუსტდება, თუ რამდენად შესაბამება სინამდვილეს ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ვერსია ა. ოძელაშვილის მიერ მოწინააღმდეგის დანდობაზე მესტვირის თქმული „თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ ადევსა“

როგორც „სამართლისა და განჩინების ექსპედიციის“ საბრალდებო დასკვნით მტკიცდება, ა. ოძელაშვილს 1836 წლის განმავლობაში ორჯერ ჰქონდა შეტყუება სხვადასხვა პირთან, მაგრამ მისი მიხედვით არავინ დალუპულა.

რაც შეეხება არსენასათვის ხმლის წართმევას, აქაც უთუოდ საქმე გვაქვს რაინდულ ექსტთან, რადგან იგი არ ეკუთვნოდა იმათ რანგს, ვისაც ხელიდან ხმალს წაართმევდნენ. ამჟამად, ა. ოძელაშვილმა დაინდო მოწინააღმდეგე, თუმცა დაჭრა იგი, მაგრამ უარესი შედეგის თავიდან ასაცილებლად, ხმალი შეატოვა და გაეცალა.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსენა დაჩაგრულთა და უმწეოთა მოსარჩლეა. ამის საუკეთესო მაგალითია მ. თხელაძისადმი მისი სულგრძელი დამოკიდებულება. მეზატონეს მოახლე მან მოსტაცა არა საცოლედ, არამედ მოაცილა იგი სასახლის კარს და ჩაუყვანა მის ბიძას „ერთი თბილისელი მდიდრისათვის წართმეული მრავალი საქონელით“ დასაჩუქრებული.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა 1840-1844 წლებში შედგენილ იმ ზოგიერთ საარქივო დოკუმენტზე, რომლებიც, აგრეთვე, დაკავშირებულია არსენა ოძელაშვილის ბიოგრაფიასთან. ესენია თბილისის მაზრის სასამართლოს, სამაზრო პოლიციისა და საგუბერნიო სამმართველოს შორის მიმოწერა, რომელიც ეხება 1837 წლის 17 აგვისტოს დაპატიმრებულ ა. ოძელაშვილისათვის ჩამორთმეული ცხენისა და პირადი აღჭურვილობის — ხმლის, ხანჯლისა და თოფის ადგილსამყოფელის ძიებას. სულ მალე ხელისუფლებამ შეიტყო, რომ გარდა ერთი მოძველებული ხმლისა, არსენასეული იმ საგნებიდან არც ერთი არ იყო ადგილზე. ერთი ამტკიცებდნენ, ისინი სამაზრო სასამართლოს ხაზინადარს, იმხანად უკვე გარდაცვლილ ლაზარევს ჰქონდა ჩაბარებული, მეორენი დაჟინებით იფიცებოდნენ, ცხენი ბოგვის ნაცვალს გადაეცა შესანახადო და სხვ.

შვიდი წლის ძიების შემდეგ 1844 წლის 8 ივლისს იპოვეს გამოსავალი, კერძოდ, 1841 წლის 15 აპრილის უზენაესი მანიფესტის მოშველებით შეეწყვიტათ ძიება ა. ოძელაშვილის ნივთების მიმოვსებელი ოფიციალურ პირთა მიმართ. ასე ანეკდოტურად დამთავრდა კანონიერების დამცველი ორგანოების ცდა, გაერკვიათ უკვე გარდაცვლილი ოძელაშვილის იარაღისა და ცხენის ადგილსამყოფელი. აღნიშნულის გამო აუქციონზე საჯაროდ გაყიდულა 45 მანეთად შეფასებული არსენას ნაქონი ხმალი.

უთუოდ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საბრალდებო დასკვნას ხელს არ აწერს ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც 1838 წ. 21 დეკემბერს, როდესაც ეს დოკუმენტი გაფორმდა „სამართლისა და განჩინების ექსპედიციის“ პასუხისმგებელი თანამშრომელი იყო. ჩანს, ტატო ბარათაშვილმა, როგორც ზაალის ახლო ნათესავმა, მიუკერძოებლობის დაცვის მიზნით, განსახილველ საქმეში მონაწილეობას შეგნებულად აუარა გვერდი.

**სოლომონ ლაიიშვილი,**

სოლომონ ჯანაშიას სახელობის საპროფილო სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე.



წუთისოფელი ასეა


პოზირება

პორტრეტი კატიო და ბზრიალით

მარინე უჯმაჯურიძე



თბილისის შურნალისტის სახლის  
საგამოფანო დარბაზიდან



თავჯღოვარს ერთი ღღუ



ფოტოგრაფი კვლევებში და  
სახეობის



ქვემოთა  
საქართველო





საქართველოს  
ფილმების  
ფესტივალი



ტოკიო, ნ. ჯორჯაძე პრესკონფერენციაზე

### ნანა ჯორჯაძე



ნიუ-იორკი



ტოკიოში



პარიზი, ნ. ჯორჯაძე, ი. კვიციანი





# ოქროს კაფერა

ყ

ოველი ხელოვანი ოცნებობს  
ლურჯ ფრინველზე. ცხოვრე-  
ბაში მასთან შეხვედრა მხო-  
ლოდ რჩეულთა ხვედრია...

...ობერპაუზენში, მოკლემე-  
ტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კი-  
ნოფესტივალზე, სუსტმა, მომხიბლავმა ქა-  
ლმა ყველა გააოცა. ქართველი კინორე-  
ჟისორის ნანა ჯორჯაძის სადიპლომო ნა-  
მუშევარს „მოგზაურობა სოპოტიში“ ხუთი  
პრიზი მიენიჭა — „გრან-პრი“, „ტილ-  
ულენშპიგელის“ სახელობის დიდი პრი-  
ზი, ვატიკანის პრიზი, საბავშვო და საყმა-  
წვილო სურათების ყიურისა და, აგრეთ-  
ვე, კინოკლუბების ინტერნაციონალური  
ფედერაციის დიპლომები...

რაზე მოგვითხრობს „მოგზაურობა სო-  
პოტიში“? ორ „არაჩვეულებრივ“ გმირზე  
— გოგისა და ომარზე, რომლებიც მატა-  
რებელში პორნოგრაფიული სურათებით  
ვაჭრობენ. თურმე რამდენის თქმა შეიძ-  
ლება ასეთ ტიპებზეც, როცა დაინახავ სი-  
კეთისა და ერთგულების ნატამალს, რო-  
მელიც ღრმად არის ჩამოთვლილი მათ სუ-  
ლებში. ვატიკანის პრიზი ამ სურათმა ხომ  
„განკიცხულის სულის აღორძინების. ჰუ-  
მანური ჩვენებისათვის“ მიიღო.

— რა შუაშია სოპოტი? — ვეკითხები  
ნანას.

— ჩემი გმირებისათვის სოპოტი არის  
მიუწვდომელი ოცნების სიმბოლო. სურა-  
თში მათ ასახიერებენ არაპროფესიონალი  
მსახიობები, ჩემი მეგობრები — ომარ  
გვასალია, გიორგი დადიანი. და, როგორც  
დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის შეერ-  
თებული შტატების რადიომ აღნიშნა, „მა-  
თი შემურდებოდა ნებისმიერ პროფესიო-  
ნალს“.

მიუწვდომელი ოცნება... რამდენჯერ ჩა-  
მოგვიყრია ფრთები პირველი დამარცხე-  
ბისთანავე, რამდენჯერ გვიფიქრია იმაზე,  
რომ საქმე, ესოდენ საყვარელი და სანუ-  
გემო, ჩვენთვის მიუწვდომელია. ვერც  
ერთი აღამიანი, მითუმეტეს, ხელოვანი  
ვერ იტყვის, რომ ეს არ გახუცდია.

ნანას კინემატოგრაფიულ ცხოვრებაშიც  
იყო მწარე წუთები. ფილმზე, მის ავტორ-  
ზე, რომელზედაც ახლა ბევრს ლაპარაკო-  
ბენ, შვიდი წელიწადი თითქმის არავინ  
არაფერი იცოდა. მისი შემდეგი სურათი  
— „დაქმნარეთ იალბუზზე ასვლაში“,  
გადაღებული ცენტრალური ტელევიზიის  
დაკვეთით, ისე შეკვეცეს, ამჟამად ძნელია  
მისი შინაგანი ერთიანობის აღდგენა.

უნდა გქონდეს რკინის ნებისყოფა, რომ  
შეინარჩუნო ოცნების ერთგულება...

— კინოს გარეშე მე არ შემძლია, —  
ამბობს ნანა. — მიყვარს ლიტერატურა,  
ენები, მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა,  
მაგრამ კინო ჩემი სიცოცხლეა.

როგორც ჩანს, ამაშია ნანა ჯორჯაძის  
„კინემატოგრაფიული ფენომენის“ საი-  
ღუმლოც.

კინო, როგორც სინთეტური ხელოვნება,  
აერთიანებს მრავალ სახეობას. ნანას სუ-  
რათებში ყველა შემადგენელი ნაწილი ლა-  
კონური და დახვეწილია. ეს გასაკვირი  
არც არის, რადგან თითქმის ყველა თავის  
კინონაწარმოებში იგი სცენარისტიც არის,  
მხატვარიც, მუსიკალური გამფორმებელიც  
და ეპიზოდური როლის შემსრულებელიც.  
გამონაკლისს წარმოადგენს „მოგზაურო-  
ბა სოპოტიში“ (მუსიკა ამ სურათისათვის  
დაწერა თემურ ბაკურაძემ) და „რობინ-  
ზონადა“, რომელიც ნანამ გადაიღო თავი-  
სი მეუღლის — ირაკლი კვირიკაძის სცე-  
ნარის მიხედვით.

...ნანას მშობლებმა, ლარისა და გიორ-  
გი ჯორჯაძეებმა, თავიანთ შვილებს ბრწყინ-  
ვალე განათლება მისცეს, ჩაუნერგეს ცო-  
დნის დაუშრეტელი სურვილი და სიყვა-  
რული.

მუსიკალური სასწავლებლის დამთავრე-  
ბის შემდეგ ნანამ მისაღები გამოცდები  
სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. კინოს  
ფაკულტეტი იმ წლებში ჯერ არ იყო  
თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. მო-  
სკოვში წასვლა კი ვერ მოხერხდა, ახალ-  
გაზრდა ქალი დედა გახდა...

დაფიქრების უნარი, ნაწარმოების არ-  
სის ღრმა წვდომა, რომელიც ნანას შეს-  
ძინა მუსიკალური სასწავლებლის ერთ-  
ერთმა საგანმა „ფორმების ანალიზმა“,  
უფრო დაიხვეწა არქიტექტურის ფაკულ-  
ტეტზე სწავლის დროს და შემდგომ წლე-  
ბში, როცა მუშაობა დაიწყო საპროექტო  
ინსტიტუტში. ნანა ჯორჯაძე არის სამი  
პროექტის ავტორი და მთელი რიგი არ-  
ქიტექტურული ნაგებობების თანაავტორი.

...ჩვენს დროში ვის გააკვირვებ დიდი  
განათლებით? ნუთუ მარტო ეს კმარა ისე-  
თი სურათის გადაღებისათვის, რომელიც  
კანის საერთაშორისო კინოფესტივალის  
მთავარ პრიზს — „ოქროს კამერას“ და-  
იმსახურებს და უკან ჩამოიტოვებს მსოფ-  
ლიო კინორეჟისურის აღიარებულ ოსტა-  
ტებს. რა თქმა უნდა, „რობინზონადის“  
ტრიუმფი განაპირობა ნანა ჯორჯაძის  
უზადლო ტალანტმა და განსაცვიფრებე-  
ლმა შრომისუნარიანობამ.

აი, რა მოგვითხრო ნანა ჯორჯაძემ კანის  
საერთაშორისო ფესტივალის შესახებ:

— კანის საერთაშორისო ფესტივალის  
ფარგლებში მიმდინარეობს პარალელუ-  
რად ორი კინოშეჯიბრი. პირველი, ეგრეთ  
წოდებული „ოფიციალური“, რომელ-  
საც აქვს მთავარი ჯილდო — „ოქროს პა-  
ლმის შტო“ და მეორე, რომლის „გრან-  
პრი“ არის „ოქროს კამერა“.

ეს უკანასკნელი დაყოფილია ოთხ ნაწი-  
ლად: „განსაკუთრებული ხელება“, „ფიარე-  
სი“ — კინოკრიტიკოსების მსოფლიო ფე-  
დერაცია, „დებიუტები“ და „რეჟისურის  
ორკვირეული“. საიუბილეო, მეორმოცე  
ფესტივალზე, ზემოჩამოთვლილ ოთხ კონ-  
კურსში მონაწილეობდა 181 სურათი. თი-  
თოეული მათგანი იბრძოდა „ოქროს კა-  
მერისათვის“.

საბჭოთა კავშირი ამ კონკურსებში წა-

რმოდგენილი იყო კონსტანტინე ლაპუშან-  
სკის ფილმით „მკვდარი კაცის წერილები“  
(„ფიარესი“), იულიუს პოდნიეჟის „ად-  
ვილია იყო ახალგაზრდა?“ („რეჟისურის  
ორკვირეული“), ალექსანდრე კაიდანოვს-  
კის „უბრალო სიკვდილი“ და ჩემი „რო-  
ბინზონადა“ (ორივე „განსაკუთრებული  
ხელება“).

სწორედ რომ ამ განსაკუთრებულმა ხე-  
ლვამ მოუტანა გამარჯვება ნანას. ეს უწი-  
ნასწარმეტყველა კიდევ მას ფრანგმა კი-  
ნოკრიტიკოსმა ჟინეტ ბილარმა ჟურნალ  
„ლე ფილმ ფრანსეზის“ ფურცლებზე. ეს  
მოხდენილი, სინატიფით სავსე სურათი,  
გაკეთებული წუნდაუღებელი გემოვნებით,  
„ოქროს კამერის მთავარი პრეტენდენ-  
ტი“ — წერდა იგი.

არაორდინალურად, იუმორის დიდი  
გრძნობით მოუთხრო ნანამ მსოფლიოს  
ჩვენი რევოლუციის ამბავი და ამ ისტო-  
რიულ ფონზე ფაქიზად ამოქარგა ორი მი-  
ჯსურის, ინგლისელი ტელეგრაფისტის  
კრისტოფერ ჭიუზის და ქართველი გოგ-  
ნას ანა ნიორაძის სიყვარულის ამბავი.

კანში გამართულ დიდ პრეს-კონფერენ-  
ციაზე და პრესაში აღინიშნა, „რობინზონა-  
დის“ ისეთი ღირსებანი, როგორცაა უჩ-  
ვეულო მონტაჟი, ეპოქის ჩვენების საინ-  
ტერესო გადაწყვეტა, სურათის ლირიზმი,  
რაფინირება, ლევან პაატაშვილის მშვენიე-  
რი საოპერატორო ნამუშევარი, ენრი  
ლოლაშვილის მუსიკალური გაფორმება  
და შესანიშნავი სამსახიობო ანსამბლი.  
ყველაფერმა ამან განსაზღვრა პარიზის კი-  
ნოთეატრ „კოსმოსის“ ადმინისტრაციის  
გადაწყვეტილება, მოეწყო ნანა ჯორჯაძის  
სურათების რეტროსპექტიული ჩვენება.  
დასავლეთ ევროპის რამდენიმე პროდიუ-  
სერმა კი შესთავაზა მას ერთობლივი სუ-  
რათის გადაღება.

„რობინზონადის“ შესყიდვის სურვილი  
გამოთქვეს ამერიკის შეერთებული შტა-  
ტების, გერმანიის ფედერაციული რესპუბ-  
ლიკის, იტალიის, საფრანგეთისა და შვე-  
ციის ტელეკომპანიებმა.

...ლურჯი ფრინველი ნანა ჯორჯაძემ  
იპოვა. იპოვა თავისი თავდადებით, მიზან-  
სწრაფვით და კინოსადმი თავდავიწყებუ-  
ლი სიყვარულით.

ლელია მღებრიშვილი.



შვენიერი გაზაფხული დგას. მაისის მზეს თავდავანებით უგალობენ ფრინველები. რულელე-მდინარეები ზანს ეუბნებიან. ფრინველთა კალობა

— ეს გაღვიძებული ხმაა დედამიწისა, იაყონივარდა-ენძელები კი მისი თვალები. რა სასიამოვნოა მკერდგალობილი, წყლით მაძლარი დედამიწის, კვირტებისა და წიწვების სურნელი...

ფიჭვი ოქროსფერ მტვერს აფრქვევს. ვერხვები და ტირიფები „ბამბის ქულეებით“ დაიხუნძლნენ, შოთხვი, ატამი, ალუბალი საპატარძლო კაბებში გამოწყობილან. ზამბახებით, ტიტებით, ყაყაჩოებით მოგვირისტდა დედამიწა. ასეთ დროს ყოველთვის გამახსენდება ხოლმე ანა კალანდაძის სტრიქონები.

თქვენ სიცოცხლე ხართ, კრელნო ყვაილნო, მარად სიმშვიდის ხსივთა მფენები. თქვენ მიწის ხმა ხართ, ო, მიწის ხმა ხართ, მზის, მშვიდობის და ბედნიერების.

გამრავლების წინ თავს იწონებენ ცხოველებიც. ხოხობი, ღურაჯი, ფარშავანგი უმდიდრესი მორთულობის დემონსტრირებას იწყებენ. ბულბული, ტოროლა, შაშვი იშვიათი ტონალობის, მრავალფეროვანი და პარმონიული ვალობით ატყვევებენ გულის სწორს. წეროები განუმეორებელი გრაციით აღსავესე საბალეტო სიუიტებს დგამენ. გაზაფხულზე, ქორწინების წინ, ცხოველთა სამყაროსათვის ისეთი წარმოდგენელიც ილამაზებს თავს, როგორც ბიც საქართველოს ტბა-ტბორთა ბინადარი ამფიბია-ტრიტონია. აპრილის დადგომისთანავე ამ ცხოველის მამრი უჩვეულო ფერებითა და ზურგზე სავარცხლისებური წანაზარდით — საქორწინო მორთულობით იმოსება. საკმარისია, ჩაიაროს შეწყვილების პერიოდმა, ტრიტონი მაშინვე იცვლის მდიდრულ მორთულობას და კვლავ მონოტონური ხდება.

ბუნებაში ორგანიზმებს შორის მრავალმხრივი ურთიერთობა შეინიშნება. ხშირად გამეფებულია კონკურენცია. ამას განაპირობებს არსებობისათვის ბრძოლა. მაგრამ ვხვდებით ურთიერთობის სრულიად განსხვავებულ სურათსაც. ეს უკანასკნელი ორი სხვადასხვა წარმოშობის ორგანიზმის (სახეობის) ურთიერთსასარგებლო კავშირზეა აგებული.

არსებობს ჰიპოთეზა, რომ სიცოცხლის წარმოშობის ვარიეტაჟზე, თვით უჯრედის წარმოშობაც კი ასეთი ურთიერთხელსაყრელი კავშირების საფუძველზე მოხდა. „მეგობრობის“ პრინციპზეა აგებული მჭიდრო ურთიერთობანი ცხოველთა სამყაროში. მაგალითად, ნიანგსა და დალდას, გარეულ კამეჩსა და წეროს, ჯიხვსა და შურტხს შორის... „მეგობრობის“ ფაქტებს ვხვდებით ცხოველებსა და მცენარეებს შორისაი.

ეს ურთიერთობანი ხშირად იმდენად სპეციფიკურია, რომ საკმარისია, ერთ-ერთი ორგანიზმი (ან ცხოველური, ანდა მცენარეული) დაიღუპოს, რომ მეორეც წყვეტს არსებობას და პირიქით, ერთის კეთილდღეობა განაპირობებს მეორის დღეგრძელობას. ცნობილი ფაქტია: ამჟამად დედამიწის ზურგზე ყვავილოვანი მცენარეები არ იქნებოდნენ ასე მრავალფეროვნად წარმოდგენილები, თუ არა მათი დამამტვერიანებელი ცხოველები მწერთა კლასიდან, უწინარესად კი ფუტკარი და პეპლები.

ყვავილოვან მცენარეთა ისტორია ასეთია: ისინი, მსგავსად ძუძუმწოვრებისა



ცხოველთა სამყაროში, მცენარეთა ევოლუციური განვითარების უმაღლეს საფეხურს, გვირგვინს წარმოადგენენ. გეოლოგიურ წარსულში წარმოშობის თვალსაზრისით ყვავილოვნები ანუ ფარულთესლოვნები ყველაზე ახალგაზრდა მცენარეები არიან. მათზე ადრე წარმოიშვნენ წიწვოვნები, კიდევ უფრო ადრე გვიმრები, შვიტები, ხავსი და ა. შ. პალეობოტანიკოსთა უკანასკნელი შეხედულებით ყვავილოვნები წარმოიშვნენ იურული პერიოდის მიწურულს, ცარცული პერიოდის დასაწყისში. ე. ი. დაახლოებით 140-130 მილიონი წლის წინათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხმელეთზე მცენარეები დასახლდნენ დაახლოებით ხუთასი მილიონი წლის წინათ ირკვევა: დედამიწის ფლორა მთელი 350 მილიონი წლის განმავლობაში მოკლებული იყო მის ყველაზე მშვენიერ წარმომადგენლებს — ყვავილოვნებს.

ყვავილი ნაზი და ერთი შეხედვით სრულიად უმწეო ქმნილება, სინამდვილეში შეიცავს კოლოსალური ძალის პოტენციალს. მისი დანიშნულება ფრიად პროზაულია. ეს არის თესლის წარმოქმნა, იმ თესლისა, რომელიც წარმოადგენს საწყის მასალას მცენარეთა ამა თუ იმ სახეობის ახალი თაობისათვის. მაგრამ როგორი ფუფუნებით, როგორი ბრწყინვალეობით, უფრო

მეტეც, როგორი პომპეზურობით ხორციელდება სიცოცხლის წარმოქმნის ეს აქტი. ყვავილობა მცენარეთა სამყაროში სიცოცხლის ზემის ყველაზე ნათელი გამოვლენაა. იგი უზრუნველყოფს მცენარეთა ახალი თაობების წარმოქმნას. საკითხის არსი როდი იცვლება შემოდგომობით, როდესაც ფოთლოვანი ტყე ჯერ საოცარი ფერებით ფერადდება, შემდეგ კი ჰკნება. ჰკნობაც მცენარეთა სიცოცხლის გარდაუვალი მომენტი, მისი გაგრძელების აუცილებელი პირობაა.

...ყვავილოვნებში სიმშვენიერით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ორქიდეებია. ორქიდეებისებრი სახეობრივად დედამიწის მცენარეული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მცენარეებია. ამჟამად ცნობილია ამ ყვავილთა სულ მცირე, თხუთმეტი ათასამდე სახეობა. ფიქრობენ, რომ ეს ციფრი საკმაოდ შორს დგას სინამდვილისაგან. ორქიდეები ხარობენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელშიც (საქართველოში მოზარდი გუგულის კაბებიც ამ ოჯახს მიეკუთვნებიან). მაგრამ განსაკვირვებელ მრავალფეროვნებასა და ზღაპრულ სილამაზეს ისინი მხოლოდ ტროპიკებში აღწევენ. ორქიდეები ებიფიტებად ანუ სხვა მცენარეთა „მდგმურებად“ მხოლოდ ტროპიკებში იზრდებიან.

# ბაიოლოგიკა

ამ მცენარეთა სწორედ ამ ფორმებს უძღვნეს ინდივუდებმა პოეტური სახელწოდება — „ჰაერის ქალწულები“. ტროპიკული ამერიკა, განსაკუთრებით, მდინარე ამაზონის აუზი და ანდების ყველაზე თბილი კალთებიან ორქვიდების დიდი უმრავლესობის სამშობლო, თუმცა ზოგიერთი სახეობა კორდილიერებში აღმოჩენილია 4200 მეტრზედაც (კიტოს ანდები).

ორქვიდების ერთი ჯგუფი გამოირჩევა უაღრესად თავისებური ჯადოსნური ფერებითა და ფორმებით, ფრიად განსხვავდება ზომითაც.

ამ ყვავილებში ყველაზე შთამბეჭდავი მაინც მათი ფერებია. ორქვიდებში შეფერილობა დიდ დიაპაზონში ცვალებადობს. რა ფერს არ შეხვდებით აქ, დაწყებული ბრძღვივალა ალისფერიდან და ყვითლიდან, ვიდრე თვალისმომკრულ თეთრ ყვავილებამდე, სხვებში იშვიათად ერწყმის თეთრი, იისფერი და ვარდისფერი. შეფერილობა თვით ერთი სახეობის შიგნითაც ძლიერ ვარირებს. მაგალითად, ცნობილია სანტა-კატარინას კუნძულზე მოზარდი ორქვიდა — ლაელია პურაპურატას სამასი ფერითი ვარიანტი. მათგან ძნელია ორი ერთნაირი ფერის მქონე ყვავილის გამოყოფა.

ორქვიდები ტროპიკულ ტყეა განუყრელი ნაწილია. ეს ის სამყაროა, რომელიც უშურველად იფრქვევა ბუნებრივი სილამაზის ათასგვარ ათინათად. ორქვიდების ხელოვნურ მომზადებას ევროპაში ჯერ კიდევ მეფორამეტე საუკუნის დასაწყისში მიჰყვეს ხელი. ამ საქმით განსაკუთრებით ინგლისელები იყვნენ გატაცებულები. ორქვიდებთა მოყვარულების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა.

ამ ყვავილთა ახალი და იშვიათი სახეობები ზღაპრულ ფასებს აღწევდა. მეორე მსოფლიო ომის წინ ორქვიდებს ერთ-ერთი ნაირსახეობა — ოდონტოგლოსუმი, ინგლისში 1720 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ორქვიდებზე თავგამოდებულმა ნადირობამ გააღარბა ბუნებაში მათი სახეობრივი შემადგენლობა.

ყვავილზე მონადირეები დაუზოგავად ჰრინდნენ უზარმაზარ ხეებს, რათა ხელში ჩაეგდოთ მოუწყვდომელ სიმალღეზე მოყვავილე მცენარე. მაგალითად, ერთ-ერთმა კოლექციონერმა შეაგროვა ოდონტოგლოსუმის ათი ათასი ეგზემპლარი. ასეთი ძვირფასი ნადავლისათვის „მონადირემ“ ოთხი ათასი ზე მოჰრა. ტყეების მსგავსი უგუნური განადგურება მით უფრო გულსატკეპნია, რომ იგი სპობს ამ მშვენიერი ყვავილების არსებობის ეკოლოგიურ გარემოს.

დედამიწის სხვადასხვა ზონაში ყვავილოვნების სახეობრივი გამრავალფეროვნება ბევრად იყო დამოკიდებული სხვადასხვა დამამტვერიანებლებზე და, როგორც ითქვა, უწინარესად, მწერებზე. ევოლუციის პროცესში რანაირი ფერები და ფორმები არ გამოიმუშავეს ყვავილოვნებმა მწერთა მისაზიდავად. თავის დროზე ასე ჩაეყარა ბალავარი ორი მშვენიერი ორგანიზმის — ყვავილისა და მწერის სიმ-

ბიოზს, ურთიერთსარგებლობაზე აგებულ მეგობრობას.

საერთოდ, როდესაც ბუნების შვილებზე, განსაკუთრებით დედამიწის ტროპიკული ზონის ფლორასა და ფაუნაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი ბირველი ფენომენი, რაც თვალწინ წარმოგვიდგება, ეს აქაური ბუნების ცალკეული წარმომადგენლისათვის დამახასიათებელი მოვლენა — ფერთა საოცრად პარადული ბრწყინვალებაა. ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ცოცხალი ბუნება ყველა თავის გამოვლენაში ზომიერია, უფრო მეტიც, რაციონალურია, მაგრამ რით შეიძლება აიხსნას დედამიწის ტროპიკული ზონის ზოგიერთ ბინადართა ფერების განსაკუთრებული სიჭრელე და ელვარება? ხომ არ დაუშვა ბუნებამ ამ შემთხვევაში რაიმე შეცდომა?

არსებობს ტროპიკულ პეპელათა — მორფიდების ჯგუფი. მნახველები მას ხშირად ლაყვარდოვან სასწაულს უწოდებენ. ფანტასტიკურად ელავენ მზის სხივებზე. ამ პეპლის ფრთებზე მზისნავი და ლაყვარდოვანი ქვეყნად არაფერია. ეს ერთ-ერთი ამ შემთხვევათაგანია, რომელზეც ჩვეულებრივ, იტყვიან ხოლმე: „ბუნებას შეუძლია შექმნას ისეთი რამ, რომლის მსგავსის გამოგონება არავითარ ფანტაზიას არ შეუძლია“.

ლაყვარდოვანი სასწაულის გვერდით ტროპიკებში ბინადრობს კიდევ ერთი უჩვეულო არსება, რომლის ფრენის დროსაც თვალებს ერთბაშად ჰრის ძვირფასი ქვების: ალმასის, ლალის, საფირონის, მალაქიტის, ჰროზოლითის, იანგუნდის ბრწყინვალება. ეს კოლიბრია.

რატომ მაინცდამაინც კოლიბრებისა და მორფიდებისათვის არ დაიშურა ბუნებამ ფერთა ეს უბადლო ბრწყინვალება? ერთიცა და მეორეც შესანიშნავი მფრინავია. კოლიბრის გრძელი და წვრილი ფრთები, ისეთი სისწრაფით მოძრაობენ, რომ ერთი ცილა ჩიტის ირგვლივ თითქოს ბრილიანტის ნისლი იქმნება. მოზრდილ, ჩიტისხელა ფრთებს, რამდენიმე მოქნივით მიჰყავს პეპელა-მორფიდები ცის უსაფრთხო სილაყვარდენში. მაგრამ საკმარისია კოლიბრმა ფრენა შეწყვიტოს, რომ ძვირფასი ქვის ბრწყინვალება ჩვეულებრივი, არაფრის მთქმელი მუქი ლაქით შეიცვლება, აკეცავს ფრთებს ტროპიკული პეპელა და ლაყვარდოვანი ბზინვარება ჩვეულებრივ ფერდაკარგულ ფოთლად იქცევა.

მაშ, რისთვისღა სჭირდებათ მორფიდებს, ჩვენებურ პეპლებს — აპოლონებს, მაქაონებს, მერცხალკატებს, მეგლოვიებს, ფრინველებიდან — კოლიბრებს, ხობებს, ფარშავანებს ფერთა მსგავსი პარადულობა, მაქმანთა ასეთი უნატიფესი ფორმები? საქმე ის არის, რომ ბრწყინვალებათა ეს ფეიერვერკი — თავისებური სიგნალი, უწინარესად, აუცილებელია თავისი მოღვაძის საწინააღმდეგო სქესის მისაზიდავად, სახეობის გასაგრძელებლად და, რაც უფრო აქტიურად, მთელის პომპეზურობით წარსდგება მამალი დედლის, ყვავილი პეპლის წინაშე, გამრავლებაც უფრო გარანტირებულია.

**არნოლდ გეგეჰორი**

### მეფა იშვიათი

ინგლისის მეფე ჯორჯ III ერთხელ ქალაქგარეთ გავიდა. ფუნდლუქში შეიარა. მაინცდამაინც არ შეიქცა. ორი მოხარული კვერცხი მიირთვა. მეფუნდლუქემ თითო კვერცხში გირვანჯა სტერლინგი უნაგარიშა. რას წარმოიდგენდა მეფე, თუ საუზმე ასე ძვირი დაუჯდებოდა

— ალბათ, თქვენთან კვერცხი იშვიათია! — უთხრა.

— კვერცხი კი არა, ბატონო, მეფე იშვიათია!

### ფორთოხლაი

მეხიკოში რომ ცცხოვრობდი, ქუჩაში მოვაპრე ქალისგან ორ-ორ ცალ ფორთოხალს გყიდულობდი. ერთხელ სტუმრები მყავდა და გადავწყვიტე ოთხი დუქინის ყიდვა.

— აი შენი ორი ფორთოხალი. ყოველთვის საუკეთესოს გირჩევი. — მწყურალად შემომხედა.

— რა მოხდა, სულ ამიწონი!

— მერე მთელი დღე უქმად ვიჯდე?

### ერთადერთი ქალიშვილი

ძვირფასო ჯეკსონ, ვიცი, ძალიან გიყვართ ჩემი ქალიშვილი და გსურთ, მასზე ჯვარი დაიწეროთ. ოღონდ, უნდა გამოგიტყდეთ, გავკოტრდი და სულს იქით აღარაფერი მახადია.

— სერ, სამწუხაროა. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, დიდი უსულგულობა იქნება, ერთადერთ ქალიშვილსაც თუ წავართმევთ...

### წვიარს უხვავს

— სერ, — უსაყვედურა მალაზის გამგემ ნოქარს, — უნდა გაიპაროს.

— კი, მაგრამ, — არ ეპრიანა ნოქარს, — მე ხომ წვერს ვუშვებ!

— სახლში რაც გინდა, ის ქენი, აქ კი არ დაგინახო ასე მოსული!

### მეამ უამოვივლი

ლესინგს მოხუცებულობაში მესხიერება ლალატობდა. ერთ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ზარი დაერკა. მოახლემ სიბნელეში ვერ იცნო.

— პროფესორი შინ არ გახლავთ, სერ! — გადმოსძახა.

— არა უშვავს, მერე შემოვივლი!

### კრიშანნი

ერთ მოხუცს ხელზე მოსამსახურე ჰყავდა. ბიჭს ჰამას ვერაფერ ასწრებდა, მაგრამ სადმე გზავნიდა თუ არა, ფეხს ითრევდა. ბერიკაცი სულ იმას ნატრობდა, რა იქნება, ეს ვაჰბატონი საქმეშიც ისეთი მარჯვე იყოს, როგორც ჰამაშიაო.

### დაგმული კვები და ახვეპული ძაღლები

სოფელი ბიჭი ქალაქს გაავზავნეს. ორღობიდან ძაღლი გამოვარდა და კინდამ დაგლიჯა. რომელ ქვასაც დასწვდა, მიწაში მაგრად იყო ჩაჭვილილი.

— ამ დასაქცევიმ ქვები დაუბამთ და ძაღლები აუშვიათო, — თქვა და მოკუტრცხლა.

### თიაბრზი

პარტერში მგდომი მაყურებელი შეაწუხა ახალგაზრდა წყვილის გაუთავებელმა ჩურჩულმა.

— მაპატიეთ, — მიუბრუნდა, — არაფერი მესმის!

— ძალიან კარგი, რა თქვენი საქმეა, ცოლს რას ვუთხნებო?

### მოსწრავული პასუხი

— მზე უფრო სასარგებლოა თუ მთვარე?


— რა შედარებაა, მთვარე ღამით ანათებს, როცა ბნელა, მზე კი — დღისით, როცა ისედაც სინათლეა.

### ჰკვიანი ბივი

— შეილო, ხელოსნის ნუ გადადებ იმას, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლება!

— მაშ, მოდი, ვკამოთ დარჩენილი პუდინგი!

ინგლუსტრიდან თარგმანა  
გამიკონ თაქორიანა.



აღვიძარას წუთით, წუთნახევრით ასწრებს შამშე, ვადმოდგამს ფეხებს საწოლიდან, შეიზნევს კოჭებთან საცვლის თასმებს და აჩხრიალებულ საათს დილაკზე აჭერს თითს.

— აი შე ეშმაკის ფეხო, — შენა, — წაიბუტბუტებს ბერიკაცი. — ისევ გაჯობე, განა?!

შამშე იცვამს შარვალს და წინდებს, მერე რთავს შუქს და მომცრო ოთახში აულაგებულ ლოგინთან დგას სამოცს მიტანებულო, საშუალოზე ოდნავ დაბალი, ფუნჩულაულვამებინანი კაცი, მრგვალი პირისახითა და კეთილად მომზირალი თვალებით.

იღვიძებს ოთახის მეორე ბინადარი — დიდი რუხი კატა. იგი პატრონის ფეხებს ეალერსება ფაფუკი კუდით.

— აბა, ბაჩუნ, ახლა წავიხემსოთ, არა, მე წავიხემსებ, შენ ლოთიანად უნდა დანაყრდე. ვანა ქარხანაში მივდივარ, ადრე რომ დავბრუნდე და გამოვადლო. როველში მივდივარ, ბაჩუნ, როველშია.

ესა თქვა და ოთახის კუთხეში მიდგმულ ბაკთან ხელი წაისველა, გამოალო განჯინის კარი, ძეხვს კარგა დიდი და მომცრო ნაწილი ჩამოაჭრა. დიდი კატას დაუდო, პატარა თავად შეჭამა, წყალი დააყოლა და გარეთ გამოვიდა.

— ჰე, გამოიტა ახლა შენი საუზმე და გამოდი, გესმის?!

კატა მორჩილად გამოჰყვა პატრონს.

— ჰო, კიდევ აი რა, არ იჩხუბო, იცოდე. დაებრდი, ბაჩუნ, რაღა დროს ჩვენი ჩხუბია და დავიდარაბა. კატომ რომ დავგაობლა, სამი წლისა იყავ, მას შემდეგ კიდევ, იცი რამდენი დრო გავიდა? — შეწყვიტა ლაპარაკი, კბებს ჩაუყვა. ეზოში მანქანების ტყვა არ იყო.

შამშემ წინაღობით დაიჭირა თადარიგი, „ზაპოროჟეცი“ ისეთ ადგილზე ეყენა, ძრავის აუმუშავებლად გასულიყო ეზოდან, ხმაურზე მეზობლები შეწუხდებიანო დილაუთენია.

უყვარდა ეს ვარდისფერი ჭიამაია შამშეს. მისი დანახვა კატოს აგონებდა. კატომ ლატარიის ბილეთით მოიგო ის. შამშე ორმოცს კარგა ვადათილებული იყო მაშინ და გაუჭირდა მართვის შესწავლა, მაგრამ კატოსთან ერთად ვანა დაუძლეველი იყო რამე?..

მანქანა უნდაუროდ დაქანდა ფერდობზე, ჩაუჭროლა რკინის უკვე მოძველებულ, მაგრამ მაინც თვალნათლივ ლამაზ ჭიამკარს და ქუჩაში რომ დაეშვა, ძრავა შემდეგ ათუხთუხდა.

მიჰყვა შამშე გზას და თავის სვე-ბედს. ვანა ისეთი რა ჰქონდა მოსაგონარი? სამოცი წელი კი შემოაღწა ხელში, რამდენი ვინმე ახსოვს, რამდენი რამე. არა, კაცმა რომ თქვას ცუდად როდი აეწყო მისი წუთისოფლის ჩარხსაბრუნავი, მაგრამ ობლის კვერი კუტი გამოდგა მაინც, გული არ გამოუშრა, არ დაპურდა და გამაწიერდა...

აღარც კი ახსოვს, როგორ მოხვდა ქალაქში. მეხსიერების უშორეს კუნჭულში ბავშვობისდროინდელი ერთი სურათილა შემორჩა — ვაზის გრძელ-გრძელი რიგები და ვენახის ბოლოს უსამველოდ დიდი კაკლის ხე, ერთადერთი კაკლის ხე წნულ ლობესთან და ღობეს იქით მდინარე.

მედუქნეს რომ ედგა, ეს კარგად ახსოვს, თუმცა როდის მივიდა იმასთან, ან რა რიგად მივიდა, ამისთვის ვერ დაედგა მეხსიერების თვალი.

ღვთისნიერი კაცი იყო მედუქნე. შვი-

ლივით უვლიდა, სუფთად ჩაცმულ-დახურული დაუდიოდა, კინოს ფულსაც აძლევდა, ცირკისასაც, მაგრამ შამშეს არც ერთი უყვარდა და არც მეორე. არც სკოლა ეხატებოდა გულზე. მტკვრისპირა ჯდომა და წყალში კენჭების სროლა უფრო მოსწონდა. ამ დროს ბავშვობის მინაწლებული სურათები უცოცხლებოდნენ და სულ იმას ელოდა, რომ გაიხსნებოდა ცისკარი და ეს მდინარე იმ მდინარედ გადაიქცეოდა, კაკლის დიდი ხე რომ ედგა ნაპირზე.

მედუქნეს რომ მოაშორეს, შემდეგ სამ წელიწადს ეჯაჯგურა შამშე წიგნს, სამ გაუთავებელ და მის ცხოვრებაში ყველაზე მტანჯველ წელს. ერთ მშვენიერ დღეს კი დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა იქიდან.

ბოლოს ქარხანაში ამოყო თავი. დააგორებდა ქარხნის დიდ საამქროებში ურიკას და დაატარებდა რაღაც რკინებს. ომის დაწყებთან მეორე თვეს გამოიძახეს სადღაც, გააშიშვლეს, მისხალ-მისხალ გასინჯეს და ისევ ქარხანაში წადიო, უთხრეს.

მერე კატოს შეხვდა. კატომ კი გამოჯგა. დისევამა წინ ბაღლივით, ელაპარაკებოდა, ემუდარებოდა, უხსნიდა, ასწავლიდა.

უკვირდათ ქარხანაში შამშეს ფერისცვალება, კოხტობა, მიხვედრილობა. ესაო, სუ კატოს ოინებიაო, — თქვა შამშემ. კატო ვინააო, ჰკითხეს, ერთი გოგოაო, ძა-

# კაკლის ხე

ფეხის ფაბრიკაში მუშაობს, სუ ერთადა ვართო.

დაინტერესდნენ ქარხნის ახალგაზრდები, ნახეს გოგო.

— ცოლი ვარ მაგისიო, — თქვა კატომ. თუკი ასეა, ხელი უნდა მოაწეროთო. მიდგნენ-მოდგნენ, ხელიც მოაწერინეს, ქორწილის მსგავსი რაღაც ვახშამიც მოუწყვეს და ბინაც გაუჩარხეს.

მუშაობდა ბიჭი ბეჯითი კაცის თავგამოდებით, თუ საჭირო იყო, სულაც არ მიდიოდა სახლში. მაშინ კატო მოაკითხავდა ხელსახოცში გამოკრული ყველითა და პურით. დასხდებოდნენ სადმე მოფარებულში და ვახშამობდნენ. ცხოვრობდნენ სიამტკბილობით. შამშემ მხოლოდ ერთხელ შეუღრინა კატოს:

— შენ ქალი ხარ და ბავშვი უნდა მობო. თუ გამზრდელი ხარ, ის ვაზარდე, რას გადამეკიდე, ოხერო! — სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა შამშეს, რომ გულში სინანული იგრძნო, მაგრამ დაიჭერკია გაფრენილსა?..

— არ მეყოლება, შამშევ, შვილი მე. მაქვს ამის მიზეზი, — მწარედ გაიქნია თავი კატომ. — იმ დამეს თავის მისკვლას აპირებდა შამშე. მერე იმდენს ეფერა და ეალერსა ქალი, სევდაც გადაჰყარა და გულიც აუჩუყა.

— კარგი, შე მართლა დაბდურა. დახე, რა გულჩვილი მყოლინარო, — უთხრა.

არ შეუწყვეტია კატოს იმის წვრთნა და გაიტანა კიდევ თავისი. ომის შესამე წელს შამშე ქარხნის მუშათა კომიტეტის წევრი გახდა.

მერე გახეთშიც გამოჩნდა, მოწინავე მუშის შამშე კახელაშვილის სურათი. მოგვიანებით კი ტელეხედვა რომ შემოვიდა, იქაც აჩვენეს. ორდენებისა და მედლების მთელი წყება დაუგროვდა, სიგელებსა და ფასიან საჩუქრებს ხომ თვლა არ ჰქონდა. ამასობაში ის ქარხანა გადიდდა და გაიზარდა, შამშე წარმოების ოსტატი გახდა.

მაშინ იყო, კატომ „ზაპოროჟეცი“ რომ მოიგო ლატარიის ბილეთით. იმ დღიდან ორნახევარი წლის თავზე კი თავდაღმა წამოვიდა ცხოვრება, — კატო მოულოდნელად გამოვიდა ხელიდან.

მარტოდ დარჩენილს, ეშმაკმა იცის, საიდან გამოტყვრა, ისევ განუახლდა მდინარის სიყვარული და ძილში თუ ცხადში ბავშვობისდროინდელ მოგონებით იმ დიდ კაკლის ხეს შეხაროდა. შაბათ-კვირას, სასაფლაოს რომ მოივლიდა, ჩაჯდებოდა თავის ჭიამაიაში და გიყვარდილს... ხან წნორს იყო, ხან თელავს, ყვარელი და ლავოდენიც შემოიარა, გურჯაანიც, მაგრამ...

— ჰაი დედასა, როგორ გააჭენებს ფიქრი ადამიანს! — ამოიოხრა შამშემ და სიჩქარე გამოცვალა. მანქანა აღმართს მიჰყვებოდა. — არაფერია კაცი, როგორც ყინმათი მოისურვებს, ისე აავგრავენს და ააბურთავენს.

ის იყო აივაკა „ზაპოროჟეცმა“ ფრუტუნ-ფრუტუნითა და ჯახირით, რომ გზის შუაგულში ფორმიანი კაცი გამოვიდა და ჭრელი ჯოხით გაჩერების ნიშანი მისცა

შამშეს. მიაბრუნა მოხუცმა საჭე და ტაბლით მიძავალი მანქანა გააჩერა. ჯერ სარკმლიდან გამოლაპარაკება დააპირა, მაგრამ მერე იფიქრა, მოდი, მუხლის ქარს ამოვიღებ და ამ კაცსაც ვასიამოვნებო. გაალო კარი, გადმოვიდა და მშვიდობის დილა უსურვა დამხვდულს.

— სოფელში მივდივარ, ჩემო ბატონო, მთელი ჩვენი ქარხანა მიედინება როველში. უნდა მოვეხმაროთ სოფელს. დაილოცა ჩვენებური როველი, — ცქვიტად თქვა შამშემ, წამღერებით რატომცა.

— კარგია, შენმა მზემ?! — უკმაყოფილოდ გაიქნია თავი წესრიგის დამცველმა. იგი ახალგაზრდა იყო, ჯან-ღონით სავსე, თეთრი ჩაკრიალებული კბილები ჰქონდა.

უძილო იქნება, იმიტომაცაა უგუნებოდ, — დაასკვნა შამშემ.

— მოსაწივი არა გაქვს? — იკითხა წესრიგის დამცველმა.

— არ ვეწვი. თავი მომიკვდეს, იქნებ წაიხემსო. საჭმელ-სასმელი მაქვს, — შესთავაზა შამშემ.

— არა, გმადლობთ, მოსაწივი მინდა. წელან გამითავდა, ან რა გეყოფა მთელი დამე...

— ძნელია, მაშა, — დაეთანხმა შამშე და მანქანაში ჩაჯდა. — ას გრამს მაინც არ გადაჰკარავდი დილის მადლისას? — აქედან დაეკითხა.

— ყურძენი არ წამოაყოლო ხელს, — ისევ მთქნარებით თქვა წესრიგის დამცველმა.

— აბა, როველიდან თუ ყურძენი არ

წამოვიღე, რაღა რთველია? — გაიცინა შამშემი.

— მაშა, ჩვენ აქ ვირებსა ვეკვდეთ? — ხალისით თქვა წესრიგის დამცველმა და ჰრელი ჯიხი ახლა საპირდაპირო მხრიდან მომავალ მანქანას დაუქნია.

„ზაპოროჟეცი“ წივილით დაიძრა. შამშემ სარკეში დაინახა, როგორ მიუახლოვდა ჰრელჯიხიანი კაბინაში მჯდომ მძღოლს.

— დიდი სახათაბალო საქმე კი აქვს, ხო იცი, — გაიფიქრა, — მაგას, ალბათ, ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ეყოლება, ეს კი აქ ბუღრუგანაში ტეხს ღამეს. სამსახურია, რას იზამ.

18707



— ჰა, კაცო, ყურძენი არ გამოაყოლო ხელსაო? — რა რიგად იხუმრა.

მიქროდა ვარდისფერი „ზაპოროჟეცი“, წიოდა ძრავი, ზმუოდა შამშემ და ლამაზი იყო ირგვლივ ყველაფერი.

ზვრის ხილვამ ერთბაშად გამოცვალა შამშემ. სიყვარულივით ზემატაცი და ნატერასავით ლამაზი ეჩვენებოდა ყოველივე.

დაიარებოდა კოლმეურნეობის დასახმარებლად ჩამოსულთა შორის. გაბადრული იგრეხდა ულვაშებს, ნაპარევად ისევამდა მუქს ცრემლმორეულ აუთუტუნებულ თვალებში. აქ რომ ვინმეს ვაზის ჯიშსა და ჯავარზე ეტყოდა, იქ გოდრის წამოწევაში შეველოდა, ხან საქმის მცოდნე კაცად გადაიქცეოდა:

— ამას გაუსინჯე გემო, ნახე, მარცვალნაკლულია. ასეთი მეტ მზეს იკიდებს, თავლივითაა, — მასპინძლის სიამაყე ეღერდა მის ხმაში.

ხარობდა კაცი, ფრთები ამოსდიოდა.

ნაშუადღევს კი ცამ უყო პირი, თუ მიწამ, გადაიკარგა შამშემ. მანქანაც მოათვალიერეს, ზვრის გრძელ რიგებში ჩადგმული ჩალაბულის მომცრო ზვინებიც, მაღალი ბალახით დაფარული არხისპირებიც, მაგრამ ამაოდ.

— რა ძუძუთა ბავშვი შამშემ ნახეთ, დამშვიდდით, გამოჩნდება! — დამაჯერებლად თქვა ვილაკამ და დაიჯერეს კიდევ კარგა ხანს არავის მოჰგონებია შამშემ.

უკან დაბრუნების თადარიგს რომ შეუდგნენ, ისევ მოისაკლისეს, მოიკითხეს, მიმოიხედეს, ითათბირეს, აზრი გამოთქვეს. მერე ერთი ტანწვრილი ბიჭი იქვე ბლის ზეზე აგზავნეს, მიათვალ-მოათვალიერე,

იქნებ თვალი ჰკიდო სადმეო, ავიდა ბიჭი და ბევრი არც უძებნია, უცებ დაინახა.

— ზის ე იქ, არხეინად, თავისი ყვითელი ქურთუკით! — დაიძახა ბიჭმა.

— სადა? — დაინტერესდნენ.

— მდინარის პირას, იქითა მხარეს...

— რა უნდა იქითა მხარეს, აკი ვთქვი, რალაცას აუტეხს თავს-მეთქი, — თითქოს გაუხარდა ადგილკომის თავმჯდომარეს.

— დაუძახე, მოვიდეს!

— ვერ გავაგონებ!

ესენი რომ ამ ამბავში იყვნენ, იჯდა შამშემ წყალდიდობისას გამონარიყ ჯირკზე და შეუტნობელი სიამით გაბრუებული ჩასტყეროდა წყლის დინებას. გააყოლებდა მზერას წყალზე მოტივტივე რაიმე საგანს, ფოთოლს უბრალოს ან პჭირს რასმე, ჩააცილებდა ასე თვალდათვალ და ისევ ამოიჩემებდა ახალს.

— აკი გეუბნებოდი, კატო, გენაცვალოს შენი შამშემ, გეუბნებოდი, უსათუოდ ვიპოვნი-მეთქი, ჰა? — ბუტბუტებდა ხან-გამოშვებით. — განა ინკუბატორში გამოჩევილი წიწილა ვარ, ჰა? აი ვნახე კიდევ, ვიპოვე...

— შამშემ! ჩაესმა მოხუცს გაღმიდან.

— ანდე, აქა ვარ! — უცბად დაიძახა შამშემ.

— რას შვრები, კაცო, მანდა? — იკითხა იმავე ხმამ.

— თქირებს ვიჭერდი, — ღიმილით თქვა და ცუხცუხით გატრია ვაღმა. — არა უშავს, მალე გავშრები. — თავი ინუგეშა. — მიდიხართ? — იკითხა შემდეგ: — გაიქე, აბა. მეც მალე დავეწევით. თუ გინდა, ჩემი მანქანით წავიყვან.

იუარა კაცმა, ავტობუსით წავალო.

— დაგეწევით, მაშა! — თავისთვის ჩაილაპარაკა შამშემ და ფეხსაცმელების გახდას შეუდგა. დაიწურა წინდები, ბალახზე შეიმშრალა ფეხისგულები და ჩაიცვა კვლავ. დაგრიხა შარვლას ტოტები, ადინა ჭუჭყიანი წყალი, დაბერტყა და მიაშურა მანქანას.

— ი, ვაღმა რა გინდოდა, კაცო?

შამშემ აიხედა. მისი კბილა, წვერმოშვებული კაცი ადგა თავზე თუშური ქურთით, გასუნებული. მზეზე შემქნარი სახით. იცნო. ამ დილით რომ მოვიდნენ, პირველი ის შემოეგებათ, ვენახებს ედგა დარაჯად.

— ჩემი ეზოა იქა, — თქვა შამშემ და მდინარის ვაღმა გაატარა მზერა.

— სადა, კაცო? — დაეკითხა დარაჯი.

— ე მანდა, დიდი კაკლის ხე რო ჩანს.

— ისა? — ახლა დარაჯმა გაიხედა იქით.

— ჰო, ისა, — რატომღაც გაბრაზდა შამშემ.

— ის ხომ ჩემია, კაცო!

— იყოს მერე, ვართმევე განა? — შამშეს სულ სხვა რამის თქმა უნდოდა, უფრო თამამადაც, მაგრამ არ დაუჯდა ჰკუშაში ამ სახეგახუნებულ კაცთან ლაქლაქი.

— დაიჯა, კაცო, ასე ხელცარიელი როგორ გავიშვა. აგე, — რიგში შევიდა, ადრევე გამზადებული ორი კარგა გამოყვანილი აკილო გამოუტანა. — შენთვის გავამზადე, აჰა!

შედგა შამშემ. დაუდგა კაცს წინ, ახელდახელა.

— რა გვარისა ხარ შენა? — ჰკითხა მობოლიშვებით.

— ყიდულანთი ვარ, მარკოზაშვილი.

შამშემ თვალმონისლული უმზერდა ხან კაცს, ხანაც შორეთს, უფრო სწორად მდინარის ვაღმა მდგომ კაკლის ხეს. აქედან სხვა კაკლებიცა ჩანდა ვაღმა ნაპირზე, სოფ-

ლის ბოლოში, მაგრამ მათ არ აქცევდა ყურადღებას.

— მარკოზაშვილი, — ჩაილაპარაკა, მე კახელაშვილი ვარ, შამშემ კახელაშვილი მადლობელი ვარ აკილოებისთვის. — ჩამოართვა, უკანა სავარძელზე დააწყო.

— გაფუჭდება მაგარე, — გააფრთხილა მარკოზაშვილმა. — დაჰკიდე, უკეთესია.

— რალაც თოკიც ამოაძვრინა ჯიბიდან. — აი, ამითი დაჰკიდე.

შამშემ უკანა სარკმელთან აქეთ-იქეთ დაჰკიდა აკილოები.

გამოეთხოვა, ჩაჯდა და გაუტია. ძნელად მისაწვდომ საფიქრალს ეგაჯგურებოდა. წელთა სიმრავლიდან უტყეროდა თავის ბავშვობას და ეს უბნევედა თავგზას.

— ჩემიაო, კაცო, ჩემიაო, — წამოიძახებდა დროდადრო. — განა ვართმევე, რო მისია, ვკადრე რამე?! ჩემიაო...

გულდამღულრული ვაჰყურებდა გზას. უსწრებდნენ და უსწრებდნენ კრიალა მანქანები. მერე ბინდი რომ ჩამოწვა, შუქი ჩართო.

— ეკითხა მამაცხონებულს, საიდან არის შენო, როგორაო, მომეფიქრებინა იქნებ რამე, დამეხმარებოდა კიდევ, ხო დაინახა, რო ვერაფრით აზრი ვერ მოვიკრიფე. არა და ის იყო, ის კაკალი, ის გრძელი ვენახი, ის მდინარე, აკი ისევ ისე მიედინებოდა და მიჰქონდა ფოთლები...

უკან მიიხედა, მოეწონა აკილოები.

— ისე კარგი კაცი კი ყოფილა, გულუხვი, — ჩაილაპარაკა, თუმცა უცბადვე შეორჭოფდა, — მესმა მზემ, გულუხვი? კოლექტივისა არ ენანება. კაკლის ხე რომ იმწამსვე დაისაკუთრა, შენი კი არა, ჩემიაო.

გზა თეთრხელთამანიანი ხელით აღმართულმა ჰრელმა ჯოხმა გადაულობა.

— აუჰ, მოესულეზარ, კაცო! — წამოიძახა შამშემ და გზის კიდისკენ მიაბრუნა მანქანა.

— გამო, მანქანა უნდა გავჩხრიკოთ.

— გაჩხრიკეთ, რა უნდა გაჩხრიკოთ. ორი აკილო მაჩუქეს.

შეჭოტმანდა შამშემ, შექანდა სავარძელზე.

„აი, ახლა ხო მოვიშორებ იმ ახირებულ კაცის საჩუქარს, ან რაში მჭირდება, ან როგორ გადამივა ყელში მაგისი ნაძღვენივი“, — გაიფიქრა.

— მოგვარდევ მაინცა, შე კაცო! — იწყინა წესრიგის დამცველმა.

— რათა, კაცო, განა ამის მოპარვა მსურდა? — თითქოს დიდი ტვირთი რამ ჩამოიშორა, სახე გებადრა შამშეს.

ახლა წესრიგის დამცველის განცვიფრების ჯერი დადგა.

— შენ რა?.. — ხმადაბლა, მაგრამ მკვეთრად თქვა წესრიგის დამცველმა.

— რა და ისა, რომა ხე, ჩემი ხე არ დამანება, კოლმეურნეობის ყურძენი კი, — ბაჯბაჯით გადმოვიდა მანქანიდან, აკილოებს რკინის დიდ ძარაში გადაუძახა.

— ვის არ გადაეყრები, ამ ოხერ გზაზე, — მხრებს იჩეჩავს წესრიგის დამცველი.

— მაშა და წავილებდი? — თავისას ბუტბუტებს შამშემ, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, რალაცაში ვერ გარკვეულყო ბოლომდე. ან როგორღა გავრკვეოდა, როცა ამდენ უცნაურობას გადაეყარა დღეს. იმ კაკლის ხესაც რალა ახლა მიაგნო, ჰა? ან ის რა იყო, კაცო, მარკოზაშვილმა რომ უთხრა, ჩემიაო, ეჰე. — დაბნეული ვინმე კი ჩანდა, ან რას გაიგებ, რასა?..

დავით ასაშრაშა

ჩაქ. სსრ კ. მარქსის ხას. სან. რესპუბ. აკილოები



# ერთი უსწრაში სურათის ირბვლივ

პროკოფი რატიანი და ლადო ასათიანი.

ამ რამდენიმე თვის წინ ფოტო-ატელიე-ში სანდომიანი შეხედულების შავებში ჩაცმული მანდილოსანი მეწვია და მუდარით მითხრა, სასწრაფოდ მჭირდება ხელნაწერის გადაღება, მოსკოვში წიგნი გამოდის და დღეს თუ არ ვავაგზავნე, ვგინდება, გამოცემა შეფერხდება.

სიმართლე რომ ვითხრათ, ფოტო-ატელიეში ვინც შემოდის, ყველა ჩქარობს, ყველას სასწრაფოდ უნდა სურათის გადაღება, ყველას სადაც ეჩქარება. ხშირად, ძალიან ხშირად ასეთი თხოვნა-ვედრებით სასწრაფოდ დამზადებული სურათები კვირაობით, ხანდახან კი თვეობითაც შემორჩენილა ჩემთან, ან სამუდამოდ ჩემს არქივში დაუდვია ბინა. რას იზამ, დრომ აჩქარა ყველა, მაგრამ...

ამ ქალბატონს კი ასეთი მუდარით რომ შემომეყურებდა, ღიმილით ვუთხარი:

— ხვალ რომ ვავაგზავნოთ, არ შეიძლება? ახლა უკვე საღამოს ექვსი საათია, სამუშაოდღე იწურება.

— უი, რას ბრძანებთ, დღეს აუცილებლად უნდა ვავაგზავნო.

— კარგი, მაჩვენეთ ხელნაწერი.

მანდილოსანმა ხელჩანთა გახსნა და იქიდან მოლისფერყდიანი საერთო რვეული ამოაძვრინა. ვადაფურცლა. ერთიანად ლექსებით იყო აჭრელებული... ერთ მათგანზე შეაჩერა ყურადღება და მომაწოდა:

— აი, ამ ლექსის გადაღება მინდა.

გამოვართვი. კითხვა დავიწყე, ლადო ასათიანის ლექსი იყო ჩვენი ლადოსი, ასე ნაადრევად რომ წავიდა და ასეთი ბევრი მარგალიტი დავვიტოვე:

რუსთაველის პროსპექტზე სიარული  
ნუ მომიშალოს ღმერთმა,  
ვიყო მუდამ ასე მხიარული,  
ქართველი პოეტი მერქვას.

პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო,  
სიმდიდრედ ჩამითვალეთ,  
თუ მეტი ვინატრო, ან ეს ვითაკილო,  
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...

მხოლოდ დროდადრო დამარტყანოს  
ქაშვეთის შემოხედვამ —  
რუსთაველის პროსპექტზე სიარული

ნუ მომიშალოს ღმერთმა.  
1941 წ. ნოემბერი.

ერთ წუთს ვავშემიდი, გამახსენდა ბავშვობის ხანა, ლადოს ლექსებს რომ ვკითხულობდი სკოლის სცენაზე: „ხომ ლამაზია ეს საქართველო...“ ჰო, ლამაზია, ძალიან ლამაზია. შენც ერთი ლამაზი ვარსკვლავი ხარ საქართველოს ცაზე! მერე გონს მოვედი და ჩემდა უნებურად წამოვიყვირე:

— თქვენ ლადოს მეუღლე ბრძანდებით, თქვენ ქალბატონი ანიკო ვაჩნაძე ბრძანდებით?

ვაიღიმა და თავის დაკვრით დამიდასტურა მიხვედრილობა.

— მობრძანდით, — დავფაცურდი მე. — აი, აქ, სკამზე დაბრძანდით.

...ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი ვისაუბრეთ ლადო ასათიანზე, ნიკა აგიაშვილზე, ალექსანდრე საჯიანზე, მირზა ველოვანზე, რაჟდენ გვეტაძეზე, სხვებზე, ვისთანაც ლადოს უშუალო კავშირი ჰქონდა.

ლექსი გადავიღე, სურათები დავუბეჭდე.

ქალბატონმა ანიკომ ორი ნეგატივი გადმომცა, როცა მოცილით, აქედან რამდენიმე სურათი ამომიბეჭდეთო, ერთში მე და ლადო ვართ, მეორეში კი ლადო და პროკოფი რატიანი.

ამ ნეგატივებიდანაც მაშინვე ამოვუბეჭდე სურათები და თითო მათგანი ჩემი არქივისათვის ვთხოვე.

ქალბატონმა ანიკომ სურათები კი არა, ნეგატივი მაჩუქა:

— თქვენ ისეთი პატივი მეცით...

მეორე დღეს ბატონ პროკოფი რატიანს ვავუგზავნე სურათი, მან კი თავისი წიგნი მაჩუქა ავტოგრაფით.

მოგვიანებით ბატონ პროკოფის თავად ვეწვიე სახლში. მის არქივში ეს სურათი არ ინახებოდა.

გარდასულ დღეთა გახსენებამ და სურათის პოვნით გამოწვეულმა სიხარულმა სახე ვაუნათა, მოგონებებში ჩაიძირა და კარგახნის ღუმელის შემდეგ დაიწყო მოყოლა:

— ეს სურათი 1939 თუ 1940 წლებში აბასთუმანში გადავიღეთ. სამკურნალოდ ვიყავით ჩასული. თუმცა რას ვმკურნა-

ლობდით, სად იყო წამალი, რაღაც სიტყვები ვასმევდნენ, ეეჰ... იმ დროს გამოდიოდა „კურორტნაია ვაზეტა“. ვაჭეჭე...  
ციში ვაუვიათ, აბასთუმანში ლადო ასათიანი ჩამოსულაო, და მისი სურათის გადასაღებად კორესპონდენტი გამოუგზავნიათ. საწყალი კაცი დადიოდა და მთელ დაბაში ეძებდა ლადოს... მე და ლადო სანატორიუმის წინ, ბადის განმარტოებულ კუთხეში, სკამ-მერხზე ვისხედით და ვსაუბრობდით. აი, სწორედ აქ წამოვადგა თავს ის კორესპონდენტი და ლადოს სთხოვა, ცალკე გადმოგეჩით, ვაზეთისთვის სურათი უნდა გადაგიღოთ.

ლადომ უთხრა:

— ცალკე რატომ უნდა გადმოვჯდე. ეს ახალგაზრდა, — ჩემზე მიუთითა, — ვაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეა, ძალიან ნიჭიერი და ცნობილი პიროვნებაა. ორივეს გადავვიღეთ, ვანა ვაზეთში ორივენი ვერ დავეჭვევითო?

კორესპონდენტმა იუარა: მე ლადო ასათიანის სურათის გადაღება დამავალეს და არა „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილისაო.

— გიქია, ეს კაცი, — გადმომილაპარაკა ქართულად. — რა მნიშვნელობა აქვს, მარტო ვიქნები თუ შენთან ერთად?

კორესპონდენტი არ დასთანხმდა. გინდა თუ არა, მარტოს უნდა გადავიღოთ, ჭირვეულობდა.

ლადოც არ თანხმდებოდა, ძალიან თავისებური კაცი იყო. სხვებს არ ჰვავდა. რომ იტყოდან, მორჩა, თავის ნათქვამს აღარ გადათქვამდა.

ვიფიქრე: ლადო ვაბრაზდა, სურათის გადაღებაზე საერთოდ უარს იტყვის, თუ რაიმე არ ვიღონე-მეთქი და წამოვდექი. კორესპონდენტს ხელი გამოვდე, გვერდზე გავიყვანე და ვუთხარი:

— გადავვიღე ერთად, შე კაცი. მერე ლადოს სურათი ცალკე ამოვბეჭდე, რედაქციებში მაგის მეტი ვანა არაფერი შევღებო?

ეტყობა, ჩემი ნათქვამი ჰკუთხა დაუჭდა, მაშინვე დამთანხმდა. ლადო მიგვიხვდა და ისევ ვაჭირვეულოდა. როგორც იქნა, დავარწმუნე, ორივეს ერთად გვიღებს-მეთქი და დავიყოლოე.

სურათი გადავიღეთ, მაგრამ ვაზეთში ის არ დაუბეჭდიათ. „კურორტნაია ვაზეტამ“ სულ სხვა სურათი დაბეჭდა ლადოს: ლადო განმარტოებით იღვა ხეივანში და წიგნს კითხულობდა. ეტყობა, ვაზეთის კორესპონდენტი ლადოს უკან დასდევდა და როდესაც სასურველ პოზაში დაიხელთა, ჩუმად ვადაულო.

როდესაც ლადომ სურათი ნახა, ძალიან გაბრაზდა.

— რანაირად მოხვდა ეს სურათი ლადოს არქივში, არ ვიცი, — თქვა ბოლოს ბატონმა პროკოფიმ. — ადრე არასოდეს მინახავს. დიდი მადლობა, მეგობარო! ახალგაზრდობა გამახსენე. ეეჰ, ლადო, ლადო...

— მადლობას მე რატომ მეუბნებით, — მორიდებით ვუთხარი. — ეს მადლობა ქალბატონ ანიკოს ეკუთვნის, რომელმაც ასე სათუთად შემოგვიანახა ძვირფასი მეუღლის არქივი.

...დღეს აღარც ბატონი პროკოფია ჩვენ შორის. სიკვდილმა წარგვტაცა შესანიშნავი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კაცი, რომელიც ჩვენს ლადოს გვერდით ედგა და ამხნევებდა იმ გასაჭირის უამს.

ზურაბ გომურაშვილი.



## ცისარტყელას ფერები

### ტილოზე

საქართველოში, ამ უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, სადაც ღღესაც ნიჭიერ მხატვართა მთელი პლეადა მოღვაწეობს, არც ისე ადვილია რაიმე ფსიქოლოგიური შექმნა. და მაინც, ყოველი თაობა ცდილობს, თამამად თქვას თავისი სათქმელი, შემოიტანოს ფერწერაში თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმი, ახალი გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით გადმოსცეს მის გარემო მიმდინარე ცვლილებანი.

ამიტომაც ყოველი ახალგაზრდა მხატვრის პირველ ნაბიჯს ეჭვის თვალითა და ამავე დროს დაუფარავი ინტერესით ადევნებს თვალყურს საზოგადოება. ხელოვანს, რომელსაც ამჯერად წარმოადგენთ, იმდენად განსხვავებული ხედვა და ხელწერა გააჩნია, რომ მისმა პირველივე პერსონალურმა გამოფენამ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

მარინე უქმაჯურიძე მხატვართა ეგრეთ წოდებულ „ოთხმოციანელთა“ თაობის წარმომადგენელია. ნიჭიერმა გოგონამ ჭერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება. მისმა პირველმა მასწავლე-

ბელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა დიმიტრი თაყაიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მუყაით გოგონას სამუშაო პირობები ჰქონოდა.

მაინც რითი გამოირჩევა ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები მისი თანატოლების ფერწერული ტილოებიდან? უპირველეს ყოვლისა, ფერადობებით. საღებავის ბუნების ზედმიწევნითი ცოდნა საშუალებას აძლევს, ემოციურად მძაფრი, საინტერესო გახადოს თითოეული ნახატი. ტილოები იმდენად გადატვირთულია ფერით (იგი არ გაუბრუნებს მყვირალა, მკვეთრ საღებავს), რომ მყუდროებას მაშინვე ვერც კი აღიქვამს სურათის შინაარსს. იგი იძულებულია, საკმაოდ დიდხანს დაჰყოს ნამუშევართან და უაღრესად საინტერესო კომპოზიციაში უამრავი შესანიშნავი დეტალი აღმოაჩინოს.

ახალგაზრდა მანდილოსნების პორტრეტთა მთელი გალერეა, რომელსაც წლობის განმავლობაში ქმნიდა მხატვარი, ფსიქოლოგიური პორტრეტის მშვენიერ მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მართალია, ყველა მათგანი თავისებურ, გამორჩეულ გარემოშია წარმოდგენილი, მაგრამ საერთო ხაზი რეფერენციით გასდევს თითოეულს. მაჟორული ტონალობის მიუხედავად, სევდიანი თვალებით შემოგვეყურებენ ქალები („პოზირება“, „პორტრეტი ბზრიალით“). სპეციალურად დეფორმირებული სხეულები, ძველმოდური ტანსაცმელი, თუ უცნაური აქსესუარები, თითოეული მათგანის სულში მიმდინარე ცვლილებებზე მიგვანიშნებენ. მოძრაობა, ნერვულობა, ტენილი ხაზი, რომელიც უაღრესად პლასტიკურს ხდის ქალთა ფიგურებს, დინამიზმთან ერთად, მოუსვენრობის, შეშფოთების შეგრძნებასაც აძლიერებს.

როგორც ჩანს, თავად ქალი, ახალგაზრდა და მხატვარი, მშვენიერად იცნობს ქალის ბუნებას, და არა ინტუიციურად, არამედ პროფესიონალურად აგნებს სევდისა და დარდის მიზეზს, რომელსაც მოგვიანებით ფერად ლაქებად ანაწილებს ტილოზე.

პორტრეტების გარდა, მარინე უქმაჯურიძე საინტერესო მრავალფეროვანი კომპოზიციებსაც ქმნის. აქ მის ფანტაზიას განსაკუთრებით დიდი გასაქანი ეძლევა („წუთისოფელი ასეა“). უმეტეს შემთხვევაში, ეს არის არარეალური, ზღაპრული სამყარო, სადაც წამყვანი მნიშვნელობა ისევ ფერს ენიჭება. მხატვარი ადვილად აგებს რთულ კომპოზიციურ კონსტრუქციებს, უცნაურ გარემოს მშვენიერად უხამებს უჩვეულო ინტერიერს. ამის გამოცდილება მას, რასაკვირველია, კინოში მუშაობამ მოუტანა. მარინე უქმაჯურიძე გახლდათ სამი ფილმის მხატვარი (გოგი ლევანოვი-თუმანიშვილის ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, გუგული მგელიძის „მაცივარში ვიღაც იჯდა“ და ერთი ახლად დანიის „მოგზაურობა“). დეკორაციებისა და კოსტიუმებისათვის შექმნილ ესკიზებში ნიჭიერი გრაფიკოსის ხელი იგრძნობა. ამჯერად ფერის გამოყენების გარეშეც გამომსახველობის საოცარ სიზუსტეს ალწევს მხატვარი.

დანარჩენს კი ახალგაზრდა, საინტერესო მხატვარ ქალზე, მისივე ფერწერული ნამუშევრები იტყვიან. და თუმცა ძალიან ძნელია, ყურნალო დაბეჭდილი ილუსტრაციების მიხედვით მხატვრის შემოქმედებაზე იმსჯელო, გვჯერა, რომ ეს რამდენიმე ფოტო-სურათიც სიამოვნებას მიანიჭებს ხელოვნებისმოყვარულთა და დამახსოვრებს მარინე უქმაჯურიძეს, მხატვარს, რომლის ნახატებშიც თავს იყრის ცისარტყელას შვიდივე ფერი...

მედიკალი

# კახი, რომელმაც მოჭკნა სახლი

ქაიროში, სამხედრო პარადზე, სტუმრები ცაში აკრილ თვითმფრინავებს ადევნებენ თვალყურს. სწორედ ამ მომენტში საბატიო ტრიბუნაზე ხელყუმბარები აფეთქდა. წამოვიდა ავტობატების ჭერი. ატეხილ პანიკაში ხალხი ტრიბუნაზე ექებდა თავშესაფარს. მძიმედ დაიჭრა ეგვიპტის მაშინდელი პრეზიდენტი ანვარ ელ სადათი. იგი ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა. იმავე საღამოს, 1981 წლის 6 ოქტომბერს, ტელევიზიით გადასცეს მომხდარი ფაქტის ამსახველი კინოკადრები. მსოფლიომ შეიტყო თავდასხმის შედეგი.

ეგვიპტის პრეზიდენტის უშუალო მკვლელს ხალიდ ალ-ისლამბულის და მის 23 თანამზრახველს მაშინ ჭერ კიდევ არ შესრულებოდათ 28 წელი.

ჭერ კიდევ სიჭაბუკეში უყვებოდა მამა ხალიდს, თუ როგორ იქცა პირამიდების ქვეყანა ნასერის დროს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუ რა ძვირად დაუჭრა ეგვიპტელ ხალხს ინვლსივლთა კოლონიური უღლის მოშორება, რასაც სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოჰყვა. მამა უამბობდა შეილს, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტეს საბჭოთა კავშირთან და რა როლი ითამაშა ნასერმა ბრიტანეთ-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის შეჩერებაში.

1967 წელს, როდესაც ისრაელი კვლავ დაესხა თავს ეგვიპტეს, ხალიდი ათი წლისა იყო. იგი ხდე-

ბა უშუალო მოწმე ხალხმრავალი დემონსტრაციებისა, რომლებიც მიუხედავად სამხედრო პარცხისა, კვლავინდებურად უჭერდნენ მხარს ნასერის პრეზიდენტობას. სწორედ მაშინ მიიღო ხალიდმა გადაწყვეტილება, შესულიყო ეგვიპტის არმიაში და თავისი წვლილი შეეტანა სამშობლოს დაცვაში. ნასერის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ეგვიპტელმა ჯარისკაცებმა გადალახეს სუეცის არხი და ისრაელელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს სინაის ნახევარკუნძულის ნაწილი.

ვითარებათა მსვლელობამ ცხადყო, რომ ახალმა პრეზიდენტმა ანვარ სადათმა თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, სულ სხვა გზა აირჩია. 1974 წლიდან ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მისმა მრავალგანშტოებიანმა კონცერნებმა, რასაც ეკონომიკის მოჩვენებითი აყვავება მოჰყვა. 1976 წელს ეგვიპტემ დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული მეგობრობის ხელშეკრულება. ხოლო ერთი წლის შემდეგ სადათმა ისრაელელთა მიერ ოკუპირებულ იერუსალიმში აგრესორთან სეპარატულ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

1978 წელს 21 წლის ხალიდ ალ-ისლამბულიმ დაასრულა სწავლა საარტილერიო სკოლაში. ამავე პერიოდში დასრულდა მისი ანტიიმპერიალისტური

და ანტიიონისტური აქსიომებით შექმნილი მსოფლმხედველობა. სიღარიბემ და სიმდიდრემ ეგვიპტე კვლავ ორ ნაწილად გაყო. ქვეყანა აღშფოთებამ მოიცვა. სასოწარკვეთილებში ჩავარდნილი ხალიდი თავშესაფარს ეგვიპტეში მიმოხნულ სა-მოცდათ ისლამურ დაჯგუფებაში ექება. და ბოლოს იგი შეუერთდა „ძმები მუსლიმების“ მძლავრ ორგანიზაციას. 1981 წლის სექტემბერში დაპატიმრებული იქნა ამ ორგანიზაციის 1500 წევრი, მათ შორის იყო ხალიდის ძმაც.

სასამართლოზე რელიგიურ სამოსელში ჩაცმულმა ხალიდ ალ-ისლამბულიმ პრეზიდენტ სადათზე თავდასხმის სამი მიზეზი დაასახელა: ეკონომიკის დაცემა და სოციალური მდგომარეობის გაუარესება; სიონიზმთან ხელმოწერილი პაქტი და მოსახლეობის ჩაგვრა. ასეთი მემკვიდრეობა დაუტოვა სადათმა ქვეყნის დღევანდელ პრეზიდენტს მუბარაკს.

1982 წლის დასაწყისში ხალიდ ალ-ისლამბულიმ და თავდასხმის ოთხი მონაწილე სიკვდილით დასაჯეს...

მალხაზ რაფიანი.



კიდევანო, დამეულ მინდვრებზე მიჰქროდა მანქანა. უკვე გვიანი იყო. საღლაც შორს, ხანგამოშვებით ქუნდა, ღრუბლებს ელვა ხანჯლავდა. შეხუთულ ჰაერში სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა მოახლოებული ავდრის სურნელი. მანქანა, მინდორში რომ მიჰქროდა, ერთი იმათგანი იყო, ღლისით კოლმეურნეთა ბავშვებს რომ აოცებს თავისი ელვარებით, ზომითა და საბურავებზე შემოვლებული თეთრი რგოლებით. სოფელში რომ გაიქროლებს, ეს ერთი უფრო მეტ მტვერს ააყენებს, ვიდრე სხვა მანქანები, ბავშვებიც დიდხანს მისდევენ ხოლმე მტვერის კორიანტელში და რაღაცას ალტაცებით გაიძახიან.

დღეს უკვე ბევრ ადგილას ნახეს ეს მანქანა. საშინელი სისწრაფით ჩაუქროლა სოფლებს, საველე ბანაკებს და მხოლოდ საღამოხანს გაჩერდა თევზის საბჭოთა მეურნეობასთან ტირიფთა ჩრდილში. დაბინდებამდე იქ იღვა. ცნობისმოყვარეები შორიდან ხედავდნენ წელში მოხრილ მოფერს, რომელმაც ჯერ ძრავას უკირკიტა, მერე რადიატორში წყალი ჩაასხა. მეთევზეები კი ნაპირზე კოცონს აჩაღებდნენ.

ახლა მანქანაში, ექვსი კაცისთვის რომ იყო ნავარაუდები, მხოლოდ სამი ისხდნენ. საჭესთან მოფერი, ხოლო მის ხელმარჯვნივ — ძონძროხა კაცი, მათ ზურგს უკან კი, სიბნელეში გატრუნულიყო ვილაც მესამე. ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ შეეცუბოდა სიცოცხლის ნიშანწყალი, როცა გამოეხმაურებოდნენ.

ძონძროხა კაცი უთუოდ თვლემდა. ეს როგორც ჩამოყრილ მხრებზე ეტყობოდა, ისე შუბლზე ჩამოფხატულ, ნახევრადსამხედრო თეთრ ქუდზე და კიდევ იმაზეც, რომ ყველაფრისადმი გულგრილი იყო. არც ცაზე დაკლაკნილი ელვა აღეღვებდა, არც თანამგზავრები, არც ფარების უშუქზე თოვლის ფიფქებივით მორიალე ქიჩქლების გუნდი — დაბრმავებული ქიჩქლები ფარებს ასკლებოდნენ, მინებს თხუბნიდნენ.

მოფერს გვერდითა მინა ჩალეწილი ჰქონდა და ყურებში ჰაერი ზუზუნებდა. მანქანა აფრთხობდა გზის პირას დაბუღებულ ტოროლებს. საბურავებს გადარჩენილი, გულგახეთქილი ფრთოსნები ცად ადიოდნენ.

მანქანაში ღუმდნენ. ყველა კარი მაგრად იყო მიხურული, არ ზრიალებდა. თანაბრად მუშაობდა ძრავაც, ოღონდ ღროდადრო ჩვეულ სიჩუმეს არღვევდა მოკლე, წყვეტილი, მაგრამ საკმაოდ ხმამაღალი სტვენა, რაც არც ფანჯრის მიღმა მოზუზუნე ქარის ხმას ჰგავდა და არც ბალახებიდან წამოფრენილი რომელიმე ფრინველის წივილს.

სტვენა კი ნამდვილად ისმოდა, საღლაც იქვე, სულ ახლოს ვაისმოდა, ხანდახან ისე მკაფიო იყო, რომ ისიც კი, რომელსაც ეძინა, უცებ გამოფხიზლდა, სცადა, გაერკვია, რაში იყო საქმე, მერე ამოიოხრა და უკმაყოფილოდ გასძახა ზურგს უკან ჩამომდგარ სიბნელეში:

— ეუხარევ, შენ უსტვენ?

— ივან პეტროვიჩ, როგორ გეკადრებათ, — მოკრძალებით მიუგო ეუხარევმა. ივან პეტროვიჩმა კიდევ უფრო ჩამოი-

# გაფსულოლ ლაქუს

მოთხრობა

ჩაჩა შუბლზე ქუდი და თავი ისევ ჩაქინდრა, თითქოს ფიქრებმა წაიღესო. მერე მანქანის რესორებმაც დაარწია და მალე დამშვიდდა.

გავიდა ერთი-ორი წუთი და იგივე გამეორდა. ისევ გაისმა რაღაცნაირი სტვენა, თავის მომაბეზრებელი, გამაღიზიანებელი.

ანაზღად ივან პეტროვიჩი უკან მჯდარ თანამგზავრს მიუტრიალდა.

— ეუხარევ, ბოლოს და ბოლოს შეწყვეტ თუ არა სტვენას? შენ რა, განზრახ მიწლი ნერვებს?!

— ივან პეტროვიჩ, პატიოსნებას ვფიცავ, — დამნაშავესავით, მორჩილად უპასუხა ეუხარევმა. — მე ბავშვობაშიც კი არ მიყვარდა სტვენა, მით უმეტეს ახლა, სამსახურებობრივი მოვალეობისას.

ივან პეტროვიჩმა მგონი ირწმუნა ერთი თანამგზავრის უცოდველობა და ახლა მეორეს — მოფერს გადახედა აღმაცერად, თან კონიაკის სუნი შეაოროტქლა.

— მაშ, შენ იქნები.

— მე?

— ჰო, შენ უსტვენ?

— თქვენდა საყურადღებოდ — შეურაცყოფილად ჩაიბუტბუტა მოფერმა. — მანქანის მართვისას სტვენა არ მჩვევია, არც სასმელს ვეკარები.

— ეს რა, მე ვადმომაკარი? — იკითხა ივან პეტროვიჩმა. — თქვი, გისმენ, გამაკრიტიკე. კრიტიკას პატივს ვცემ. ვერაფერი გამივიო. არც შენ უსტვენ, არც ეუხა-

რევი... არადა აშკარად გავიგონე. თითქოს მილიციელი მომეპარა და აგერ აქ, ზედ ჩემს ყურთან სასტვენს ხმადაბლა ჩაბერა. აი, ასე: „სრა... სრა... სრა...“ იქნებ მანქანაში ჭრიჭინები გაჩნდა?

— როგორ გეკადრებათ, — ეწყინა მოფერს.

— აბა, თქვენი აზრით, რა უნდა იყოს? სული წმინდა? იქნებ მართლაც მილიციელი უსტვენდა, აგერ მხარზე რომ მიზის მფარველი ანგელოზივით?

— მილიციელი რა შუაშია, როცა ის სტვენა... თქვენი საკუთარი ნიშანი გახლავთ.

ივან პეტროვიჩი გაოგნდა.

— არაფერი მესმის. კი მაგრამ, რანაირად?

— სრულიად უბრალოდ, ცხვირით.

— აბა, ეგეთები არ იყოს! მე... ცხვირით? შეუძლებელია!

— მაშ, სცადეთ და წაუძინეთ... მაშინვე სტვენას ატებს.


— ეუხარევ, სიმართლეს ამბობს? — მკაცრად იკითხა ივან პეტროვიჩმა.

— მაპატიეთ, მაგრამ შეკითხვა ვერ გავიგონე.

— რა ვიცი, რაღაცებს ბოდავს, — გულგრილად ანიშნა მოფერზე, — მეუბნება, საკუთარმა სტვენამ გაგაღვიძაო, მართალია?

— ვშიშობ, ივან პეტროვიჩ, მაგრამ მგონი სიმართლე უნდა იყოს, სურლო





ხომ არ შეგეყარათ? თევზის საბჭოთა მეურნეობაში სინესტე იყო, თქვენ კიდე არაფრის დაგება არ გინდოდათ.

ივან პეტროვიჩმა ჰაერის შესუნთქვა სცადა.

— ცხვირი მართლაც გაჭედული მქონია.

— პელიცილინის აბი მაქვს, იქნებ ენის ქვეშ ამოგედოთ?

— ჯანდაბას, — იუარა ივან პეტროვიჩმა და ტკბილად დაამთქნარა. — ჟუხარევი, როგორ გგონია, იწვიმებს?

— პროგნოზს თუ დავუჭერებთ, არ უნდა იწვიმოს.

— აბა ელვა რამ გააგვიყა?

— ალბათ იწვიმებს.

— ცაც ღრუბლებს დაუფარავს.

— იქნებ დროა, ღამისგასათევზეც გვეზრუნა?

— ნუ გეშინია, არ დავდნებით, — მხნედ შეეხატყვა ივან პეტროვიჩი. — როგორც იქნა, დრო ვიხელთეთ, ქვედა ფენებს ვეწვიეთ და ახლა ლაფაროში შევიყუყოთ? შენ რა გითხარია!

შენამუსებული ჟუხარევი დადუმდა. ივან პეტროვიჩმა საწვავის აღმრიცხველ ისარს გადახედა.

— ბენზინი გვაქვს?

— კი. ნახევარი ავზი დაგვრჩა.

— ჰოდა, დააწევი, საბოლოო მიზნამდე... ერთ ღლე-ღამეში მთელ ოლქს შემოვივლით. უარეს შემთხვევაში ღამეს საღმე თივის ზვინქვეშაც გავათევთ.

— მგონი, ისედაც შორს წამოვედით, — საკუთარი აზრის გამოთქმა სცადა ჟუხარევი, მაგრამ ივან პეტროვიჩმა სიტყვა გააწყვეტინა მხიარული, დამცინავი შეძახილით:

— რას ნიშნავს, შორს წამოვედით? რას დავშორდით, „ავანგარდს?“ მაშინ გეტყვი და დაიმახსოვრე, რომ წინ კიდე მრავალი „ავანგარდი“ გველოდება და ჩვენც ყველგან უნდა მივასწროთ მისვლა, ხალხთან გასაუბრება... შენ თუ ღამის გასათევი ადგილი ვაღარღებ, ჟუხარევი, დარწმუნებული იყავი: ყველგან მივვიღებენ, ჩვენი მისვლა ყველგან გაეხარდებათ.

მალე მინდვრის სიღრმეში ტრაქტორის ნათურა აკიაფდა. საიდანღაც ღარტაფიდან ამოცოცებული ტრაქტორი ნელა შეუყვამლობს, იფიქრებდი, ჰორიზონტზე მიბობლავსო, ჩამოქნძილი ღრუბლებისა და ელვის საუფლოში, ელვა უცაბედად გაკრთებოდა და ნახევარ ცას ცისფერი, მოცახცახე ზოლებით იპყრობდა.

მანქანასა და ტრაქტორს შორის მანძილი ჩქარა მცირდებოდა. მოულოდნელად გზის პირას წყვილიადიდან ფარების შუქით განათებული საველე ჯიხური გამოიკვეთა. მანქანა გააჩერეს, გადმოვიდნენ.

ჯიხურთან ძალი აყეფდა. იქვე იდგა საწვავიანი კასრებით დატვირთული წყვილცხენა საზიდარი. ორი კაცი პაპიროსს აბოლებდა. ალბათ ერთი დარაჯი იყო, მეორე კი საწვავის მზიდავი. ივან პეტროვიჩი მაშინვე ტრაქტორისაკენ გაემართა, გრუხუნ-გრუხუნით რომ მოარღვევდა წყვილიადს.

დაიკლაკნებოდა ელვა და გაანათებდა ნახნავზე მძიმედ მიმავალ, თითქმის გაგულისებულ კაცს, რომელსაც თეთრი ტილოს კიტელი და ქრომის ჩექმები ეცვა. ეს კაცი ივან პეტროვიჩი გახლდათ. ერთიორჯერ წაიფორხილა კიდევ ახლად გადმობრუნებულ ბელტზე, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა. იგი ისე მტკიცედ მიაბიჯებდა, იფიქრებდი, საგმირო საქმეს ესწრაფისო.

ამასობაში მჩატე, ხმელ-ხმელმა და მკვირცხლმა ჟუხარევი, როგორც სირბილს ნაჩვევ კაცს შეჰფერის, ივან პეტროვიჩს წინ გაუსწრო და მბრძანებლური ხელის დაქნევით შეაჩერა ტრაქტორი.

ტრაქტორზე იჯდა პირმრგვალი, გათხუნული, გახეთიანებულ კომბინიზონიანი ქალიშვილი, თავზე ალისფერი თავსაფარი წაეკრა. ხელები საჭეზე დაეწყო და გოცებული ელოდა, როდის მიუახლოვდებოდა ის, ვის გამოც უბრძანეს გაჩერება.

ივან პეტროვიჩი მივიდა, სული მოითქვა, თევზით გადმოკარკლული თვალები მიაშტერა ქალიშვილს.

— რას აკეთებ? ხნავ?

— როგორც ხედავთ, ბოლოში ვავედი.

— ისევ ნასვენ მიწებზე ჯახირობთ, არა?!

— კი არ ვჯახირობთ, — შეუსწორა ტრაქტორისტმა ქალიშვილმა. — ვხნავთ.

— აკი უკანასკნელ გოჯამდე მოვხანითო?!

— ასეთი ცნობა ჩვენ არ მოგვიწოდებია.

— ესე იგი, თვალში ნაცარს მაყრით, არა?

— არ ვიცი, თვალში ნაცარს ვინ გაყრით. ჩვენ კი მუდამ ზუსტ ცნობას ვაგზავნით.

— თავმჯდომარე სადაა?

— შინ იქნება. ასეთ დროს სად უნდა იყოს!

— კეთილი, იმას მოველაპარაკები. შენ როგორა გაქვს საქმე?

ტრაქტორისტი უკვე აშკარა ათვალწუნებით უყურებდა ამ ძონძროხა, ტილოს კიტელიან კაცს. მის ფერმკრთალ, შეშუპებულ პირისახეს მზის სხივის კვალიც კი არ აჩნდა... „გეტყობა, ძიაკაცო, კაბინეტიდან იშვიათად გამოდინარა!“

— პირადად შენ რამდენი მოხანი?

— აქ რასაც ხედავთ, სულ მე მოვხანი. მოიცათ, მოიცათ, კი მაგრამ, თქვენ საიდან ბრძანდებით?

ივან პეტროვიჩმა მოწყალედ გაიღიმა:

— გეტყობა, რომ მოწინავეთა საოლქო შეკრებას არ დასწრებიხარ.

— როგორ არა... ერთხელ სიტყვითაც გამოვედი.

— და მე ვერა მცნობ?

— ვერა.

— ცუდად გცნობია შენი ოლქის ხელმძღვანელები. არადა კომკავშირელი იქნები... სირცხვილია, სირცხვილი! — მამობრივად დატუქსა ივან პეტროვიჩმა ტრაქტორისტი ქალიშვილი და ხმადაბლა, ნაძალადევი თავმდაბლობით დასძინა: ივან პეტროვიჩი ვარ მე. არ გაგიგონია?

— პირველად მესმის.

— საოცარია. აქამდე როგორ არ გაგიგონია. არც თუ ისე ბევრნი ვართ ხელმძღვანელები.

— ჩვენს ხელმძღვანელებს კარგად ვიცნობ, თქვენ კი...

და უკებ, გეტყობა, ქალიშვილს რაოაც ვარაუდმა გონება გაუნათაო, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა.

— კი მაგრამ, თქვენ რომელ ოლქს ეკუთვნით?

ივან პეტროვიჩი სახტად დარჩა.

— როგორ თუ რომელს? ჟუხარევი, ჟუხარევი სენი!

ჟუხარევიმ რაღაც ჩურჩხულ-ჩურჩხულ ტრაქტორისტს და ანაზღად ქალიშვილს ხმადაბლა, გულიანად გაეცინა.

— რა გაციენებს?

— ხა-ხა-ხა-ხა! რა დოყლაპიები ყოფილხართ! გზა შეგეშალათ, ეს ხომ სულ სხვა ოლქია!

ივან პეტროვიჩმა, თითქოს მეხის დაცემას აერიდაო, ერთბაშად უკან დაიხია. ახლა კი მიხვდა. „ჰოი, სირცხვილო! გზა აებნა! მეზობელი ოლქი თავისად მიიჩნია!“ გეგონება, დაუძინებელი მტერი მდგარიყოს მის წინ, ისე დაუღჭიალა კბილები თავის ერთგულ ჟუხარევის.

— ეს არის თქვენი მომენდე, არ გიღალატებთო. ამას არ გააბატებ!

მიტრიალდა, თავი მხრებში ჩარგო და გაგულისებულმა გზას მიაშურა.

ქალიშვილის გულიანი სიცილი კვალდაკვალ მისდევდა, ბეჭებში მათრახვით სცემდა, ასე ეგონა, მართო ქალიშვილი კი არა, მთელი მინდორი ხარხარებდა.

— ხელმძღვანელები... საკუთარი ოლქისთვის ვერ მიუგვინათ!

იცინოდა ტრაქტორისტი ქალიშვილი, მერე ვიღაც ჯიხურთანაც ახარხარდა, ხველებაც კი აუტყდა.

ისევ ავუგუნდა ტრაქტორი, მინდორს გაუყვა, მიწის ბელტებს აბრუნებდა.

ჟუხარევიმ ამჯერადაც გაუსწრო ივან პეტროვიჩს, გზაზე გავარდა, შოფერს გასძახა, მანქანა მოაბრუნეო.

— უკვე მოვებრუნე, — მოესმა პასუხად. — განა ვერ ხედავთ?

გაჯახუნდა კარი, ერთიც, მეორეც. ავუგუნდა ძრავა, აზუზუნდა ქარი. მალე ყველაფერი უკან დარჩა. ტრაქტორიც, ჯიხურიც, საწვავიანი კასრებით. დატვირთული საზიდარიც.

მანქანაში გულის გამაწვრილებელი სიჩუმე ჩამომდგარიყო. ჟუხარევი უჩუმრად სუნთქავდა, თითქოს უკანა სავარძელზე, სიბნელეში სული დაეღია. ივან პეტროვიჩმა შოფერს მიმართა:

— განზრახ მომიყვანე სხვა ოლქში?

— ო, ახლა ყველაფერი მე დამბრალდება!

— მაშ, ვის უნდა დაბრალდეს?

— ვისა და ლოქოს!

— ლოქოს?

— ჰო, მეურნეობაში წვნიანი რომ მოხარშეს.

— ერთი დავბრუნდეთ და ისეთ ლოქოს გაჩვენებთ, სამუდამოდ ვერ დაივიწყოთ.

— რამდენჯერ გკითხეთ, თქვენ კი, და აჭირე და დააჭირეო. მეც ვაჭირავდი. ჩემი საქმე სინქარეზე ფეხის დაჭერაა.

და თუმცა შოფერი სერიოზულად ლაპარაკობდა, იგრძნობოდა, პირზე ღიმილი ადგა და გულში ისიც იმ დამცინავი ქალიშვილის აზრს იზიარებდა.

მინდორს ელვა აკაშკაშებდა, სულ უფრო და უფრო ახლოს გაისმოდა ქვეა-ქუხილის ხმა. აგრილდა. საქარე მინა წვიმის პირველმა წვეთებმა გადაწინწკლა.

შპრანიშლიდან თარგმნა

ჯაბა ასათიანმა.

# სამასი სანთელი და მართი კელაპტარი

მოთხრობა



ურჯაღდაწინწკლულ, სქელკი-სერა და დაბალმუხლა თეთრ ცხენზე მჯდარმა მხედარმა სამარხილე ვზიდან გადაუხვია, აღმართს შეუდგა, მცირე ხანს იარა, რაკი ცხენს სიარული გაუძნელდა და ქოშინი აუვარდა, დაიქვეითა. ცხენი დაისადავა და წინწახრით შეება დაკლაქნილ ბილიკს.

მალლა სოფელი ჩანდა, სოფელს ზემოთ კი პატარა კორომი.

ბილიკი მარცხნიდან აუდიოდა სოფელს. იქ ორად იყოფოდა. ერთი ტოტი სოფელში შედიოდა, მეორე უფრო მალლა მიიწევდა. როცა ცხენ-კაცი ბილიკსაყართან მივიდა, კაცმა იფიქრა, რომელმე მეომარს შევეხმიახები, ცხენს დავეტოვებ, მე ფეხით წავალ და, როცა ჩამოვბრუნდები, ცხენსაც წავიყვანო. მაგრამ ვადიფიქრა. გაახსენდა, რომ ცხენზე ხურჯინი ეკიდა. ხურჯინში რალა-ტრალაცეები ელაგა

და იმ ხურჯინის აკიდება მოუწევდა, რაც ასე ძალიან ეჩოთირებოდა.

სიარული განაგრძო. ნელა მიდიოდა. ტუჩებზე ჩამოფხატულ უღვაშსა და მოკლედ შეკრეჭილ წვერს თითებით იწიწკნიდა და ფიქრობდა. ფიქრობდა წარსულზე, დღეის დღეზე და მომავალზეც. სამივე დროში ერთად იყო და ერთად ფიქრობდა.

— მეფე ერეკლეს რომ რუსეთისაკენ ნაბიჯი არ გადაედგა, იქნებოდა თუ არა დღეს ქართველი ხალხი? — აი, რაზე ფიქრობდა კაცი. — ვთქვათ, სპარსთა და ოსმალთა ხელქვეითად დარჩენილიყო საქართველო. მოვლებოდა თუ არა ბოლო ქართულ რჯულსა და მეტყველება-ზნეჩვეულებას? შეიძლება, საღაცა გადარჩენილიყო ქართველი კაცის ჩამომავალი, მაგრამ ენა და ქვეყანა თუ არ ექნებოდა, საქართველო არც ერთ კუთხეს აღარ ერქმეოდა. ქართულ მიწაზე ქართველი კაცი აღარ იბოგინებდა. დიდი და ძლიერი ხომ მუდამ საზიზია პატარისთვის? შვილის ნუქს ხომ მარად ემტერებიან და მუდმივ ცახცახშია? ეგებ ქართველებიც შიშსა და ცახცახში უნდა ამოღამდნენ და ისე გადაშენდნენ.

არა, ეგ არ მოხდება! დრო შეიცვლება, ხალხი განათლდება, ერთმანეთს დაუმეგობრდებიან და მცირე რიცხოვან ერსაც ქომაგი გაუჩნდება. ან ვის რა დაუშავდება, ტყეში რომ ირემთან ერთად შევილიც ცხოვრობდეს, დათვიცა და კურდღელიც?.. ერთია! ვინ არის კურდღელი? ქართველი ხალხი ლომივით იბრძოდა დასაბამიდან და ლომად დარჩება.

კორომს მიუახლოვდა. ქვეყნის მხედრები დაყრილი მტერი გაიბეჭდნენ, ცხენი პურებულ ბალახზე მიუშვა, ხურჯინი გადმოიღო და სიპით ნაგები ხატისკენ გაემართა.

— მშვიდობა მოგცესთ გულანის ჯვარმა! — მიესალმა ყორეებზე მსხდარ თუ ფეხზე მდგარ ხალხს, რომელთა ირგვლივ საკლავი ტყავდებოდა და ლული იხარშებოდა, უფრო იქით კი ბელლისკარიან საჩენში, სანთლები იწოდა და ხევისბერი ქადაგებდა.

— გწყალობდეს უფალი! — გფარავდეს გულანის ჯვარი! — უბასუხეს კანტიკუნტად. სხვანი ან სდუმდნენ ან ერთთურთში ზჭობდნენ. არც შეუმჩნევიათ უცხო კაცის მიახლოება.

მოხუცმა ხევისბერმა ვილაცის საკლავის კურთხევა მოათავა და ყორეზე ჩამოჯდა მლოცველთა გვერდით.

მოსულმა არ შეიმჩნია, არც ითაკილა, სალამზე რომ აქა-იქ უბასუხეს. დირწე გადალაგა და საკურთხევლისკენ გაემართა. მოშორებით შეჩერდა, მარცხენა ხელზე ჩამოკონწიალებული ხურჯინი ძირს დადო და რამდენიმე შეკვრა სანთელი ამოიღო ხურჯინის თვლიდან.

მნახველთ სანთლები ებვერათ და ხევისბერსაც გაუკვირდა. უნებურად წამოდგა, მიუახლოვდა და თვალებით შეეკითხა:

- გასაყიდ ას?
- არა! — თავი გაუქნია მოსულმა.
- ფუტკარ გყავს?
- არა. უნდა დავანთო!
- ამდენ სანთელ?
- სამასი სანთელია და ერთი კელაპტარი.

# კუნკულის დედოფალი



სელმა ლაპერლოფი

რობელ მეფე აღმოსავლეთიდან ცხენით გაუყვა მდინარე ნორდრელფს, კუნგამელაში რომ ჩასულიყო. წელიწადი იწურებოდა. ნაცრისფერი ცა და მძიმე ჰაერი აღონებდა კაცის გულს, როგორც ეს ამ დროს ხშირად იცის ხოლმე.

ბილიკი, მეფე რომ დასდგომოდა, ბორცვებიან ქვიშიან სანაპიროზე მიიკლაკნებოდა. ისლიანში აქა-იქ მურყანის ბუჩქები ჩანდა. გზის გასწვრივ

ზოგან ბუჩქები ისე შექუჩბულიყო, თითქოს გამვლელთა ცნობისწადილს შეეპურა. ალაგ-ალაგ კი იმნაირად ჩამოხარდულიყო, მეფეს ცხენით გავლა უძნელდებოდა.

წლის გვიანდელ დროს უკვე ყველაფერი განეძარცვა. ტყეებსა და მდელოებში სიცოცხლე მიწუნარებულიყო. მიწა გაყვითლებულ და დამჟკნარ ფოთლებს დაეფარა. ეს ფოთლები შემოდგომის ხშირ წვიმებს დაეღობო. ერთმანეთში აერ-დაერივნა და ზამთრის ძილს მიცემული უამრავი ობობისა და ლოკონას საფარად ექცია.

გარშემო ნისლში და ბურუსში გახვეულიყო ყველაფერი. — მეფეს უფრო კარგი გზა ეკადრებდა, — ის-ის იყო გულში გაიფლო, რომ ქაობიან სანაპიროსთან მის წინ მშვენიერი ფონტინის მთა წამოიშარა.

მთის ძირს ბაცი ყვითელი ფერის ქვიშა შემოსალტვოდა. ერთ ადგილზე შევეულად აღიოდა პიტალო კლდე. ვიწრო შვერილზე მოცისფრო-მომწვანო ფერის ფიჭვის ხეები შეგუფუფულიყო. უფრო მალლა მოკამყამე წყლის ნაკადებს ნაშალი ადგილი ჩამოედვარა. ზემოთ თეთრტანა, მოწითალო, მოყავისფროტოტებიანი არყის ხეები გამოკრთოდა.

ასე ახლოს ჩაუარა მთას მეფემ, მაგრამ მისმა სილამაზემ როდი მოგვარა ხიხარული. მთის კალთაზე ნისლი მოიწვედა. მთის წვერზე მუქი ღრუბლები ეკიდა. ტყეებიდან და ნაპრალებიდან რუხი ფერის კვამლივით ამოდიოდა წვიმის ორთქლი და არემარე იბურებოდა. როგორც ყველაფერი ირგვლივ, ფერადოვანი ფონტინის მთაც ისევე ნაცრისფრად მოეჩვენა მეფეს.

მძიმედ ოხრავდა ეგი მურყანის ბუჩქნარში. მხედარი ცხენიანად დააღობო კოკისპირულმა წვიმამ. ჭერ არასდროს დაუფლებია მეფეს ასეთი ნალექილი.

— უკუღმართი ბედი მაქვს, — ჩიოდა. — საღაც არ უნდა წავიდე, ყველგან ბურუსი და წვიმაა. წყალზე ნავით გავალ და ისე ჩამოინისლებმა, თვა-

ლთან თითის მიტანაც კა ძნელია. დამით, როცა ცხენით მივდივარ, მთვარე შავ ღრუბლებში შეცურდება, გზა რომ არ გამინათოს.

ამ ფიქრებში წასული მეფე მუშტების კუმშვით მიდიოდა.


— სხვა მეფენი დიდებითა და ბრწყინვალებით მოსილან. პატებს მიაგებენ მათ მსახურნი, განცხრომაში არიან. მე კი ნამდვილად ნისლოვანი ამინდების მეფე ვარ. საქმარისია, აჯანყებაზე დავიწყო ფიქრი, რომ ჩემი სამეფოს ნახევარზე მეტი აღარ დამემორჩილება. ძველად სხვაგვარად ცხოვრობდნენ მეფენი. უსხალაში ისხდნენ და განაგებდნენ მთლიან სამფლობელოს. რად არ მოეწონებოდათ მეფობა?! მე კი ალბათ ასეთი ბედი მარგუწა ბედმა და სხვას აღარაფერს უნდა ველოდე.

ამის დაჭერება არ უნდოდა და ამიტომ ებრძოდა ნაღვლიან გუნება-განწყობილებას. ცხენი შეაჩერა. ყური მიუგდო, ჩიტი ხომ არ ჭიკჭიკებსო, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ სცდებოდა და ეს აზრი სწორად არ იყო. მაგრამ ცა ისევ ნაცრისფერი ჩანდა და მთა კვლავ ნისლში გახვეულიყო. ღრმად ჩაძირულიყო მეფე ფიქრებში.

— რაღაცნაირი მოვლევარე წითელი ფერით დავიტკობდი თვალს, მბრწყინავ, ყორნისფერს მავაპრობდი მზერას. ტუბილი სიმღერა მომხიზლავდა და წერიალა, ხმაიანი სიცილი თუ გადაამყრია სხედას გულიდან.

ირგვლივ გაფაციცებით იცქირებოდა, მაგრამ ყველაფერი უცვლელი რჩებოდა. შეამჩნია, თვით კამკამა მდინარეც დამეხავით ბნელი იყო, ლელიანში რომ მიედინებოდა. გული ისე დაუშინდა, ყველაფერი, რასაც კი საკუთარი ერქვა, სძულდა და ამოებდალ ეჩვენებოდა. თავისი ლამაზი ხასხასლე უბადრუკ ტყის ქონხასად წარმოუდგა თვალწინ. ყველა გამარჯვება დამარცხებდალ მიიღო და ხასხასლის კარის ყველა ქვეშევრდომი ხან აუტანელ გაიძვერად, ხან კი საბრალო მათხოვრად მოსაოლო.

— ამას ყველაფერს ავიტანდი, ყველაზე უხეში



— რაიდ გინდ? — გაიკვირვა ხევისბერმა და გაფანჩული წარბები ისე შეისწორა, თითქოს მხედველობას უშლისო.

— სანთლები სამასი არაგველისაა, კელაპტარი კი მეფე ერეკლესი, — თქვა და სანთლის კონა გადახსნა.

— გწყალობდეს ღმერთი. შეგეწიოს გუდანის ჯვარი. კურათს სჯობს.

— ვიცი, — თავაულებლად უბასუხა მოსულმა და ერთ სანთელს მოუკიდა, მერე მეორეს, მერე მესამეს და...

— ჩგუფ-ჩგუფად დაეანთო, ხალხო. მივეხმაროთ! — თქვა ხევისბერმა ყორეზე მსხდარი ხალხის გასაგონად. — მეფე ერეკლე ყველას ბატონია და სამასი არაგველიც.

რამდენიმე დროული კაცი წამოდგა მისხმარებლად. ათ-ათ სანთელს ჩგუფ-ჩგუფად მოუკიდეს და ქვებზე მიამაგრეს, კელაპტარი კი ამალღებულ საკიდზე მიაკრეს.

სანთლები აჩირაღდნა და გაანათა იქაურობა.

— შეეწიე, გუდანის ჯვარო. ნათელში ამყოფე სამასი კაი ყმა. ბნელი არიდე და შუქი უმძღვარე, — აბუტბუტდა ხევისბერი.

შუქი უმძღვარეო? წასასვლელნი არსად იქნებიან და წამძღვარება რაღად სჭირდებათ? შუქი ალბათ ყველას სჭირდება. შუქი და სული ერთურთს ჰგვანან. სულიც შუქივით ჰაერში ნავარდობსო. ბნელს ვერ ჰკულობსო. სადაც შუქია, ბნელი ჰქრებაო. სულიც შუქსა ჰკავსო. მით უფრო ის სული, რომელსაც ცოდვა არ მიუძღვის კაცთა წინაშე. ვინც ხალხს ემსახურა და სასუფეველი დაიმკვიდრა, ვინც სიკეთეს იმე-

ტებს სხვისთვის, მას სულს კეთილი გზა ეშლებოა წინ, განათებული და აელვებული.

კაცმა ხურჯინიდან ტიკჭორა და ყანწი ამოიღო. საჭმელი არაფერი ჰქონდა. ეუხერხულა. ბოდიშის თქმაც ვერ მოახერხა. ჯერ ხევისბერს დაუსხა და დელოცვინა. თავად თქვა არაგველთა მოსაგონარი. ღობურად ჩამოატარა ყანწი და თითო სიტყვა ყველას ათქმევინა.

— ამ დროშით მიდიოდნენ ერეკლეს ჯარში, — თეთრფერებმოჭარბებული ძველი დროშა გადმოიღო ხევისბერმა. — სამასი არაგველმაც ეს დროშა იწინამძღვრა. ბოლოს ერეკლე მეორეს მიუტანია გუდანის ჯვარში კრწანისის ომის შემდეგ. გუდანის ჯვარი და ერეკლე მეფე ძმანი ყოფილან. მარტო შედენილა გუდანის ჯვართან და ხმამაღლა უსაუბრიათ. ორივეს ესმოდათ თურმე ერთურთის ნათქვამი. ვილაცებმა სახვეწარი ცხვრები მორეკეს შესაწირავად. ხევისბერმა მათ მიაქცია ყურადღება.

ბრიალებდა სამასი სანთელი და უჩვეულოდ ანათებდა იქაურობას. მაღლა, სანთლებში, ცერისსიმსხო კელაპტარი პარპარებდა.

დაეინებოთ მიშტერებოდა კაცი, როგორ იწოდა სანთლებიცა და კელაპტარიც. — ამბობენ, ერეკლემ ბევრჯერ მოატყუაო ხევისბერი, — მოულოდნელად მოესმა ზურგიდან.

— რაო? — ხელნაკრავივით შებრუნდა იქითკენ, საიდანაც ხმა მოესმა. მის წინ ვიწროთვალეობიანი, ცხვირისკარტა მთვრალი აყლავდა ირყეოდა წინ და უკან.

— ხევისბერი მოატყუა მეფე ერეკლემ,

— მაჯით მოიწმინდა აყლავდამ ნისკარტ ცხვირი. — თავად დაიძალა და ხევისბერს ჩაახოცინაო მტრებს. ჩემ პაპამ მითხრა.

— ჰაიტ, — ველარ მოითმინა უკან. — მთქმელს ხელუკლმა სილა გააწნა და ისე ძალუმად გადააყირავა, ფეხები მაღლა ააშვერინა. ხურჯინს ხელი წამოავლო, იქაურობას გამოერიდა და ცხენისკენ წავიდა. — ავი ყბის ხალხი ადრეც იყვნენ და ახლაც არიან. ამან წაახდინა ჩვენი ქვეყანა...

ყველამ ვერ გაიგო, რა მოხდა მაგრამ, როცა კი მიხვნი გაიგეს, შუბლი შეიკრეს და არა თუ ვინმე გამოესარჩლა წაქცეულს, ახიო, ნიშნისმოგებით მიადახეს. უცნობს ვაქცაობა შეუქეს და ზოგიერთმა მიიპატიჟა კიდევ:

— დარჩი, ლუდ შევსვით!  
— გამიშვით! — ძლივს წამოფორთხდა წაქცეული და მტვერში ამოგანგლულ ხანჯლის ვადას დაუწყო ძებნა.

როცა უზომოდ განაწყენებული ცხენოსანი თავქვე დაეშვა და თვალს მიეფარა, მინდია არაბული მოვარდა ხატში.

— ვაჟა რა იქნა?  
— ვაჟა ვინ არს?

— ვაჟა-ფშაველა... სამას ერთი სანთელი რომ დაანთო.

— აუუ, ვაჟა-ფშაველა. რად ვერ ვიცანით?! — შუბლზე ხელი იტკიცეს ზოგიერთებმა, რომლებიც მეზობლებთან იქადნიდნენ ხოლმე, ძმასავით ვიცნობთ ვაჟა-ფშაველასო. მერე ერთ-ერთმა მათგანმა ჯერაც მიწაზე მბლუნავ ავციას დაუტატანა:

— მოსაკლავ ხარ, შე უჯიშოვ!  
— მოსაკლავ ხარ!  
— წიწოლას ჩამონავალი ას ეგ უჯიშო!

სადელოფლო რომ არ მყავდეს. ეს სიმძიმე არ მეყოფოდა ცხოვრებაში, ქალზე ფიქრით რომ არ დავტანჯულიყავ? დღენიადაც ვზრუნავ სამეფოზე. წამითაც არ ვარ მოხვედრებული და კიდევ ჩემგან მოითხოვენ, ახალი ტვირთი ვზილო, — საკუთარ გულში იხარებოდა მეფე.

საქმე ის იყო, რომ იგი ნორვეგიელი მეფის ერთ-ერთ ასულზე დაენიშნათ. დედოფალი მდიდარი და შემღებული გახლდათ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, მეფეზე რომ დაუნიშნავთ.

დედოფალი ნიშნობის დღიდანვე გადასახლდა პატარა კლდოვან კუნძულზე, მდინარე ნორდრელფის შესართავთან, კუნძულს პირდაპირ რომ მდებარეობდა და, რაგნვილდის კუნძულს ეძახდნენ. ამ ადგილზე აეშენებინათ მისთვის საიმედოდ დაცული ჭიჭი კოშკი, სადაც გათხოვებამდე უნდა ეცხოვრა, ვიდრე მეფე სამეფო კარს არ მიგვერიადა.

მეფეს სასახლეში ხშირად ახსენებდნენ, დედოფლის მოყვანის დრომ მოაწიაო. ეს თავდაც კარგად უწყობდა. მიუხედავად ამისა, დედოფალთან შეყრასე არა ზრუნავდა. გული არ მიუწევდა მისკენ და თავს არიდებდა: რა შექორწინება, ქვეყანაში ძნელებლობა და აჯანყებააო. წლიდან წლამდე აღოდინებდა დედოფალს და მის მოხუც პირისფარებებს ნაცრისფერ კოშკში. დედოფალი სარკმლიდან ნაცრისფერი მდინარის გარდა ვერაფერს ხედავდა.

ახლა ბოლოსდაბოლოს, მეფე დედოფლის მოსაუვანად მიდიოდა. დედოფალზე ფიქრმა ისე დაალონა, მხლებლებს გზიდან ჩამოსცილდა.

მურყანის ბუჩქნარი გაიარა. მინდორს მიადგა. ზაფხული რომ ყოფილიყო, მოხალაზე ცხვარძრობას შიანც დაინახავდა. ეს ადგილი პირდაპირ გაუკაცრიელებულიყო. ათხრილი მიწისა და გადაძოვილი ფერდობის გარდა, აღარაფერი ჩანდა. მეფემ ცხენს დეწი ჰკრა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გააქენა, გულს კიდევ უფრო ბნელი ფიქრები რომ არ შემოსწოლოდა.

და აი, მამაცი ვაჟკაცი, გოლიათებოთა და გველშაპებით გარშემორტყმული ჯაღოსური კოშკისკენ მიჰქროდა, რათა მეფის ასული ტყვეობიდან გამოეხსნა. უბედურება ის იყო, საიმედოდ დაცულ კოშკიდან მის გზას გადმოსცქეროდა დედოფალი და მთელ დღინაზე ქალის გულისხთვის მეფეს მეტოქეობას არავინ გაუწყვედა.

მწარედ ნანობდა, რომ უკვე დაენიშნათ:

— ის, რაც სიღიადეს, მშვენიერებასა და ხიამაყეს განმაცდევინებს, დათრგუნულია. წილად არ მხვდა, სწორფერი თავად მეპოვნა, — კაეშანს შეეპყრო მეფე.

ცხენით სიარული შეანელა, რადგან გზა ციცაბო ფერდობზე აღიოდა. მეორე მხარეს კი უკვე კუნძულსა გრძელი ქუჩა იწყებოდა.

მაღლობიდან გარკვევით გამოჩნდა პატარა კუნძული, რაგნვილდს რომ ეძახიან. სწორედ ამ კუნძულზე დედოფალი მეფეს ელოდა.

შეგ შავი მდინარის შუაგულში კუნძული ჩამუჭებულყო. დაინახა მეფემ, როგორ გადმოდიოდა მჭრქალ მიწაზე ნაცრისფერი ტორფის ტალღები. თვალში ეცა ასევე ნაცრისფერი კოშკი და მისი ჭვის კედლები. არ ჰყვავოდა მანანა, მეფის გული რომ გაენათებინა. მინდვრის ბალახის ერთი, პაწაწინტილა მწვანე ღეროც კი არხად ჰქანებდა. აშინებდა და სძულდა იქაურობა. ასე ეგონა, ეს ის ადგილი არ იყო, მონატრებული ფერები რომ დაეაღწა.

რაც უფრო დიდხანს უყურებდა, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ კოშკი კლდიდან ისე ამოზრდილიყო, როგორც ხე და ბალახი ამოდის ხოლმე დედამიწიდან. წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, ასეთი კოშკი დაამიანის ხელს რომ აღემატა ჩვეულებრივ პირობებში. უთუოდ კოშკი ბუნებას წარმოეშვა და ამიტომ აღარც უკვირდა. აქ ამნაირ სიმუქეს — შემწარავსა და სულის შემსუთველ გარემოს რომ დეხსადგურებინა.

როგორც კი ამ კოშკში გაზრდილ დედოფალზე

დაიწყებდა ფიქრს, მაშინვე უხეშად ჩამოთლილი ჭვის ქანდაკება დაუდგებოდა თვალწინ, აი სწორედ ისეთი, ეკლესიის კარიბჭის თავზე რომ შეუმჩნევი ხშირად. მეფის წარმოდგენით, დედოფალი ჰგავდა ნაცრისფერ ქანდაკებას, რომელსაც გაცრეცილი ხახე, უხეშ ტანი და სხვა აღამიანებთან შედარებით ორჯერ უფრო გრძელი და მსხვილი ხელფეხი ჰქონდა.

— ეს არის ალბათ ჩემი ბედი, — ფიქრობდა და მიუყვებოდა გზას. ბორანთან ისე ახლოს მივიდა, გუშაგმა მეორე მხარეს ბუკი პირთან მიიტანა, მეფის ჩამობრძანება რომ ეუწყებინა. მოძრავი ხიდი ჩამოეშვა და ციხე-კოშკის კარი გაიღო. მეფემ თავი მაღლა ასწია და ცხენი შეაჩერა.


— მე ხომ ჯერ მეფე ვარ და არავის შეუძლია, გამაკეთებინოს ის, რისი გაკეთებაც არ მინდა. მთელ ქვეყანაზე არავის აქვს უფლება, მიბრძანოს, ჭვის ქანდაკებას შეხვიდო. ნუთუ არ შემიძლია, მეფის უფლებით ვინარგებლო? — აბობოქრდა მეფე.

ამ ფიქრებში გართულმა, ცხენი მოაბრუნა და იმავე გზით გაქუსლა, რა გზითაც აქ მოვიდა. ქარიშხალივით მიჰქროდა, თითქოს უკან ვინმე მისდევსო. და სანამდე ფონტინის მთის ძირას, მურყანარის ბუჩქნარამდე სული არ მიიტანა, ცხენი არ შეუჩერებია.

დედოფალი კი ისევ დაღონებული უნდა მჭდარიყო კოშკში და, ელოდა და ელოდა მისთვის. მას ნაწი დაწვები, წითელი ფერის ბაგეები, ტალღოვანი, ოქროსფრად მოეღვარე ყორნისფერი შავი თმა ჰქონდა. ხმაც ისეთი ჰქონდა, თითქოს გალობსო და წკრიალა ხმით იცოდა კისკისი.

დედოფლის სიღამაზემ როლი უშველა მეფეს. მიაჭენებდა ცხენს მურყანარის ვიწრო გზაზე და წინ აღრინდელივით სველი და ჭაობიანი ადგილები ხედავდა.

გერმანულიდან თარგმნა მარინამ ქსოვილებს.



**თარაზულად:** 1. ერთობლივი სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი მანქანების ან მექანიზმების კომპლექსი; 4. სავლელ თავშესაფარი სროლის დროს, დროებითი სამხედრო დანიშნულების სადგომი; 7. ცხოველთა სამყარო; 8. ძველი ბერძენი დრამატურგი; 9. ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; 10. ფეხბურთის სახელგანთქმული მწვრთნელი; 15. საწარმოო, მშენებლობის ან რისამე ცალკეული უბანი; 16. მდინარე აფხაზეთში, გამოდის რიწის ტბიდან; 17. საგანთა, პირთა და მოვლენათა ცნობის უნარის ნაწილობრივ ან სრულიად დაკარგვა; 18. ძუძუმწოვარი ცხოველი აქლემისებრთა ოჯახისა; 23. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში კომედიის მფარველი მუზა; 25. თურქული ოქროს მონეტა; 26. აწერბაიჯანელი პოეტი; 27. სპორტული იარაღი; 28. ქართული საჯამთრო ჭიშის ვაშლი; 29. სხვადასხვა ფერის ხის ნაქრების მოწაიკა.

**შვეულად:** 1. კედლის მხატვრობა წყლის საღებავებით სველ ბათქაშზე; 2. სიმარის ერთ-ერთი სახე; 3. ტბა მურმანსკის ოლქში; 4. პარტიის დონეზე განლაგებული ლოუები; 5. ლითონის მოკლე მილაკი, რომელსაც ორივე ბოლოზე ხრახნი აქვს, იყენებენ მიღებისა და მიღსადენების ერთმანეთთან შესაერთებლად; 6. ცალკე გამოყოფა, გამოქვანა; 11. რომაულ მითოლოგიაში: მთვარის სინათლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი; 12. სოფელი მდინარე სურამელას ხეობაში; 13. ქიმიური ელემენტი; 14. ჩინეთის ქალაქ დალიანის ყოფილი სახელწოდება; 17. დეკორატიული ყრუ თაღების რიგი შენობის ფასადზე; 19. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განსაკუთრებული აქტი; 20. მიდროტეკნიკური ნაგებობა; 21. ძალიან დიდი ტანის ადამიანი ან ცხოველი; 22. სისხლნაკლებობა; 24. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი.

შეადგინა ვაჟა მარბაქაძე

### მე-4 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 2. გოლგოთა; 6. იუბილი; 7. ფიასკო; 8. ამბრაზურა; 11. მისტი; 14. პოეტი; 16. პროთეზი; 17. ანატომია; 18. კალიგულა; 20. ყვირილი; 21. არმია; 23. ფინტი; 27. აულიენცია; 28. უსტარი; 29. დამამი; 30. ამბიონი.


**შვეულად:** 1. ლუმენი; 2. გემი; 3. გუჯარათი; 4. აფერა; 5. აკორდი; 9. ატესტაცია; 10. პოლიგინია; 11. მირანდა; 12. კრაოვა; 13. იშმაილი; 15. ერწახვი; 19. პრეფექტი; 22. როდოსი; 24. ტრიუმი; 25. თუთია; 26. დიოლი,

გადაეცა წარმოებას 28.08.88. ხელმოწერილია დასაბუქლად 10.05.88. უფ 01333 ქალაქის ზომა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭედა ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 48000 შეკვეთა 770. ფასი 35კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.



უკვე დიდი ხანია წავიდა დრო, როცა თანამდებობის პირი აშკარად და არაორაზროვნად შეახსენებდა ხოლმე ტექნიკურ მდივანს:

- როგორ მიღის საქმე. ეს კეთდება?!
- აი ეს, არა?
- დიას, დიას. ამაზე მოგახსენებთ.
- კეთდება, როგორ არა!

მაგრამ ეს მეთოდი მოძველდა და იმისათვის, ტექნიკურმა მდივანმა რომ უფრო სწრაფად და მოქნილად გაანაწილოს საქმიანი ქაღალდები, გარდაუვალია აი თუნდაც ამგვარი დიალოგი:

— გამარჯობათ, გეთაყვა. განცხადება მოვიტანე!

— გთხოვთ, დატოვოთ, — პასუხობს ტექნიკური მდივანი მშრალად.

— დაგენიძავეებით, ბატონო, ას ზლოტზე: ამ განცხადებას გზას არ მისცემთ მთელი დღის განმავლობაში.

— ჰოო? — უკვირს ტექნიკურ მდივანს. სწრაფად გადავლეს თვალს განცხადებას და ამბობს:

— მე კი დაგენიძავეებით ორას ზლოტზე, რომ ეს განცხადება ნახევარ საათში მოათავებს თავის საქმეს.

ნიძლავი დადებულია. კომპია ქალი უჯრიდან ოთხუთხა ბეჭედს იღებს. შტამპი დასმულია, საკორექტურო ნიშნებიც.

— მზადაა!

— მართლა? — უკვირს განმცხადებელს. — მოიგეთ. გთხოვთ, აი მოგებული თანხაც.

— გენიძავეებით, — ეუბნება მეორე კლიენტი მდივანს. — გენიძავეებით ერთ შოკოლადზე: თქვენ ჩემზე დღესაც არ მოახსენებთ უფროსს.

— მე კი, — გამომწვევად ამბობს მდივანი, — გენიძავეებით ბამბანიერზე, რომ უფროსს ახლავე მოგახსენებ.

სხვაგან სხვანაირადაც ხდება.

— ნიძლავს ვღებ: თქვენ არ შემიკეთებთ ამ ტელევიზორს გარანტიის ფარგლებში.

— დაგენიძავედით!

— რამდენზე?

— ორმოცდაათ ზლოტზე.

— კარგი. შეაკეთეთ!

დიას, დიას, ყველაფერი რისკია. გვაქვს მიდრეკილება რისკისაკენ.



კოლონურიდან თარგმან იწვა კაპაბაძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: მაისობა ნატანებში. ფოტო სერგო ელიშვილისა და ზია სამსონიასი. შიშობი გვერდზე: ჭრელო პეილა. ფოტო-ეტიუდი არნოლდ გეგეჭკორისა.

### რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, კ/მგ. მდივანის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



დეკორაცია მარკესის მოთხრობის „უც-  
ნაური და დაუჭერებელი ისტორია გულ-  
უბრყვილო ერანდირასა და მის გულქვა  
ბებიაზე“ მიხედვით

მაკა ჩხეიძე

ღებოუტი

